ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

დავით სიჭინავა

# საქართველოს მოსახლეობის ელექტორალური ქცევის გეოგრაფიული თავისებურებები (2008-2014 წლების არჩევნების მაგალითზე)

სადისერტაციო ნაშრომი

წარდგენილი საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
გიორგი გოგსაძე, პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი

თბილისი
2014

# შინაარსი


შესავალი 1

1 თეორიული წანამძღვრები 10

1.1 არჩევნები და გეოგრაფია - სოციალური დაპირისპირების თეორიის საფუძვლები . . . 10

1.2 ხმის მიცემის თავისებურებები და საარჩევნო სისტემები ახალ ევროპაში . 16

1.3 დაპირისპირების თეორია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში და მათ მიღმა . . 22

1.4 არჩევნები, პოლიტიკა და საზოგადოება საქართველოში . . . 25

2 კვლევის მეთოდოლოგია 47

2.1 სივრცითი ანალიზი . . . 47

2.2 თვისებრივ მონაცემთა ანალიზი . . . 50

3 არჩევნები საქართველოში, 2008-2014 წლები 54

3.1 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები . . . 55

3.2 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები . . . 60

3.3 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები . . . 63

3.4 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები . . . 66

3.5 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები . . . 71

3.6 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები . . . 75

4 ხმის მიცემა თბილისის ურბანულ კონტექსტში 81

4.1 სამეზობლო და სოციალური ქსელები . . . 81

4.2 არჩევნების და ხმის მიცემის პერსონალური აღქმა . . . 83

4.3 რამ გამოიწვია ,,საარჩევნო გადატრიალება'' ? . . . 87

4.4 ქსელები და საარჩევნო ქცევის ჩამოყალიბება . . . 92

5 საარჩევნო დაპირისპირების მოდელი საქართველოში 95

6 არჩევნები საქართველოში - ძირითადი გეოგრაფიული თავისებურებები 111

6.1 საქართველოს არჩევნების მიკროგეოგრაფია . . . . . . . . . . . . . . . . . . . 111

6.2 საქართველოს არჩევნების სივრცითი-სტატისტიკური ანალიზი . . . . . . 119

6.2.1 სივრცითი ასოციაციის გლობალური მაჩვენებლები . . . . . . . . . . 119

6.2.2 სივრცითი ასოციაციის ლოკალური მაჩვენებლები . . . . . . . . . . . 123

დასკვნა 128

ბიბლიოგრაფია 136

დანართი 149

# ილუსტრაციების ჩამონათვალი


1 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. მ. სააკაშვილის მიერ მიღებული ხმების ტერიტორიული განაწილება საარჩევნო უბნების მიხედვით . . . . 2

2 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. კანდიდატთა ,,ყულაბა'' დასახლებული პუნქტის ტიპის მიხედვით . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 57

3 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. ხმების მიცემა დასახლების ტიპის მიხედვით . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 58

4 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები. პარტიების ,,ყულაბა'' დასახლებული პუნქტების მიხედვით . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 61

5 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები. ხმის მიცემა დასახლების ტიპის მიხედვით . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 62

6 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები. საარჩევნო ყულაბა დასახლებული პუნქტის ტიპის მიხედვით . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 64

7 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები. ხმის მიცემა დასახლების ტიპის მიხედვით . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 65

8 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. საარჩევნო ყულაბა დასახლებული პუნქტის ტიპის მიხედვით . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 73

9 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. ხმის მიცემა დასახლების ტიპის მიხედვით . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 74

10 მ. სააკაშვილის და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მიერ მიღებული ხმები თბილისში დასახლების ტიპის მიხედვით (%) . . . . . . . . . . . 112

11 ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მიერ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიღებული ხმების განაწილება უბნების ტიპის მიხედვით (%) . . 114

12 მ. სააკაშვილის და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მიერ მიღებული ხმების განაწილება უბნების ტიპის მიხედვით (%) . . . . . . . . . . . 115

13 ეთნიკური სტრუქტურა და ხმების განაწილება პანკისის ხეობაში (ახმეტის მუნიციპალიტეტი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 117
14 ''ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' ხმების კორელოგრამა, 2008-2014 . . 121
დ.1 საარჩევნო დაპირისპირების მოდელი. ნაშთების განაწილების რუკა . . . . 150
დ.2 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. მ. სააკაშვილის ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 151
დ.3 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. ლ. გაჩეჩილაძის ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 152
დ.4 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. ა. პატარკაციშვილის ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 153
დ.5 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. საარჩევნო აქტივობის სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 154
დ.6 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 155
დ.7 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები. ,,ალიანსი საქართველოსთვის'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთისორდის GI* კოეფიციენტი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 156
დ.8 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები. ,,ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი) . . . . . . . . . . . . . . . . . . 157

დ.9 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები. ,,ეროვნული საბჭოს'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 158
დ.10 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. გ. მარგველაშვილის ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 159
დ.11 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. დ. ბაქრაძის ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 160
დ.12 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. ნ. ბურჯანაძის ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 161
დ.13 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები. ,,ერთიანი ოპოზიციის'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 162
დ.14 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები. ,,ალიანსი საქართველოსთვის'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 163
დ.15 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები. ,,ეროვნული საბჭოს'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 164
დ.16 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები. კოალიცია ,,ქართული ოცნების'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 165

დ.17 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. გ. მარგველაშვილის ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 166
დ.18 2014 წლის მუნიციპალური არჩევნები. კოალიცია ,,ქართული ოცნების'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 167
დ.19 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. ა. პატარკაციშვილის ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 168
დ.20 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები. ,,ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 169
დ.21 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები. ,,ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 170
დ.22 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. ნ. ბურჯანაძის ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I) 171
დ.23 2014 წლის მუნიციპალური არჩევნები. ,,გაერთიანებული ოპოზიციის'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 172
დ.24 2014 წლის მუნიციპალური არჩევნები.,,საქართველოს პატრიოტა ალიანსის'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 173
დ.25 2014 წლის მუნიციპალური არჩევნები. შედეგები მაჟორიტარული ოლქების მიხედვით . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 174

# ცხრილების ჩამონათვალი

1 საველე სამუშაოებისთვის შერჩეული უბნების დახასიათება . . . . . . . . . 53
2 ხმის მიცემის საარჩევნო დაპირისპირების მოდელი საქართველოში . . . . 100
3 ხმის მიცემის საარჩევნო დაპირისპირების მოდიფიცირებული მოდელი საქართველოში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 109
4 მორანის გლობალური ინდექსის ევოლუცია, 2008-2014 . . . . . . . . . . . 120

# შესავალი

გეოგრაფიის პირველი კანონი: ყველაფერი კავშირშია, მაგრამ ახლოს მდებარე საგნები უფრო უკავშირდებიან ერთმანეთს, ვიდრე

- შორს მყოფნი(Tobler, 1970, გვ .2)

ვალდო ტობლერმა, რომელიც გეოგრაფიაში ,,რაოდენობრივი რევოლუციის'' ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება (Barnes, 2004, გვ. 579), ეპიგრაფში გამოტანილი ფრაზა დეტროიტის ურბანული ზრდის კომპიუტერული სიმულაციისადმი მიძღვნილ ნაშრომში გამოიყენა, მაგრამ ამ ხატოვანი და მოსწრებული აფორიზმის განვრცობა საზოგადოებრივი გეოგრაფიის ნებისმიერ დისციპლინაზე შეიძლება. შეგვიძლია, ვისაუბროთ არამარტო საგნების, არამედ კონკრეტული ინდივიდების ურთიერთქმედებაზე, რომლის შედეგად ამა თუ იმ ტერიტორიისთვის დამახასიათებელი ანთროპოგენური სივრცითი ნიშან-თვისებები ყალიბდება. მათზე დაკვირვება შესაძლებელია როგორც უშუალოდ ველზე დაკვირვებით, ასევე - გეოგრაფიული რუკის მეშვეობით. ტობლერის მიერ შემოთავაზებული ფორმულის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულება არჩევნების შედეგების რუკაა (სურ.1), რომელზეც ცხადად შეგვიძლია, შევამჩნიოთ და გამოვყოთ სხვადასხვა საარჩევნო შედეგების გავრცელების არეალები - ჰომოგენური ქცევის ადგილები კლასტერებადაა თავმოყრილი, ხოლო გავრცელების ცენტრიდან მანძილის ზრდასთან ერთად განსხვავებაც მატულობს.

არჩევნების სივრცითი თავისებურებების აღწერა და ახსნა ელექტორალური გეოგრაფიის კვლევის მთავარ ამოცანას წარმოადგენს. დისციპლინას საფუძველი ფრანგმა პოლიტიკის მეცნიერმა ანდრე სიგფრიდმა ჩაუყარა, ხოლო მეცნიერებამ განსაკუთრებულ პოპულარობას გასული საუკუნის 60-80-იან წლებში მიაღწია. ამ დროს დისციპლინის ფარგლებში განხორციელებულ კვლევებში ჭარბობდა დასავლურ სამყაროში, განსაკუთრებით კი - ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული არჩევნების გეოგრაფიული თავისებურებების შესწავლა. ეს ტრადიცია გასაგები მიზეზების გამო, ახლაც გრძელდება, თუმცა გასული საუკუნის ბოლოდან საარჩევნო-გეოგრაფიული კვლევე-




სურ. 1: 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. მ. სააკაშვილის მიერ მიღებული ხმების ტერიტორიული განაწილება საარჩევნო უბნების მიხედვით

ბის გარკვეული ნაწილი აღმოსავლეთ ევროპის და საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე აღმოცენებული ქვეყნების შემთხვევებსაც ეხება (Leib, Quinton, & Warf, 2011, გვ.11).

ელექტორალური გეოგრაფია პოლიტიკური გეოგრაფიის მნიშვნელოვან დისციპლინად მიიჩნევა. იგი საშუალებას იძლევა, გამოვლენილი თავისებურებების ახსნისთვის გამოვიყენოთ არამხოლოდ ტრადიციულად მიღებული სოციალური ფაქტორები (კლასი, ეთნიკური კუთვნილება ა.შ.), არამედ წმინდად გეოგრაფიული კონტექსტური ეფექტი. გრეგორის ამის მაგალითად მოყავს ეგნიუს და ქოქსის აზრი ამომრჩეველთა სოციალიზაციის შესახებ. ეს უკანასკნელები ამტკიცებენ, რომ ხშირ შემთხვევაში, საარჩევნო გადაწყვეტილება დამოკიდებულია ადგილსა და სამეზობლოზე.

თუკი ელექტორალურ-გეოგრაფიული კვლევის მცირე რეტროსპექტივას მივმართავთ,

აღმოჩნდება, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის შრომები ამ სფეროში გაჯერებული იყო ,,...პოზიტივისტური ან ნაივური ემპირიციზმით..'' (Leib et al., 2011, გვ. 3); უარყოფილი იყო სოციალური თეორიის როლი და შესაბამისად, მეცნიერება თანამედროვე კონცეპტუალური დებატების ჩამოყალიბებაში ვერ იღებდა მონაწილე-ობას (იქვე: 3). როგორც უორფი და ლიბი აღნიშნავენ, არჩევნების გეოგრაფიაში კრიზისული სიტუაცია ნაწილობრივ მას შემდეგ განიმუხტა, რაც პოლიტიკურმა გეოგრაფებმა და მათმა კოლეგებმა მონათესავე დისციპლინებიდან სხვადასხვა თეორიული აპლიკაციის არჩევნების შესწავლასთან მისადაგება დაიწყეს.

ლიბის და ქუინთონის თანახმად, ამჟამად საარჩევნო-გეოგრაფიული კვლევა სამი თეორიული საფუძვლის გარშემო მიმდინარეობს (Leib et al., 2011, გვ. 17): სივრცითი ანალიზი დაკავებულია არჩევნების შედეგების რაოდენობრივი კვლევით ისე-თი თეორიული კონსტრუქციის დახმარებით, როგორებიცაა ე.წ. ,,სამეზობლოს ეფექტი'', დაპირისპირებების თეორია და სხვა. არჩევნების გეოგრაფიული კვლევებისთვის ფართოდ გამოიყენება პოლიტიკური ეკონომია და პოსტსტრუქტურალისტური მიდგომები. განიხილება ფემინისტური თეორიების როლი ხმის მიცემის საკითხებში, იდენტობის და სექსუალობის მნიშვნელობის კვლევა საარჩევნო-გეოგრაფიული პერსპექტივიდან (Leib et al., 2011, გვ. 18).

დემოკრატიზაციის მესამე ტალღასთან ერთად, რომელსაც საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ბლოკის დაშლა მოყვა, გაიზარდა იმ სამეცნიერო ლიტერატურის მოცულობა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის და პოსტსაბჭოთა ქვეყნების საარჩევნო ქცევის და პარტიული სტრუქტურების ჩამოყალიბების თავისებურებებს ეხებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ნაშრომების უმრავლესობა არ მიეკუთვნება ელექტორალური გეოგრაფიის დისციპლინას და უფრო პოლიტიკური მეცნიერების ქოლგის ქვეშ ერთიანდება. სამაგიეროდ, მრავალ ადგილას ხაზგასმულია სივრცითი ფაქტორების რომლი, რომლებიც არჩევნების შედეგებზე მნიშვნელოვან და ზოგჯერ, გადამწყვეტ გავლენას ახდენენ.

სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით საქართველოს არჩევნების კვლევის შესახებ. ჩვენს ქვეყანაში წარმომადგენლობითი დემოკრატიის ხანმოკლე ისტორიამ ხმის მიცემის კვლევასაც დაასვა დაღი. შესაბამისად, ძალიან მცირე რაოდენობით მოპოვება არამხოლოდ ელექტორალურ-გეოგრაფიული ნაშრომები, არამედ ზოგადად - მსგავსი პროფილის კვლევები.

საქართველოში საყოველთაო არჩევნების ისტორია პირველი რესპუბლიკის (1918-1921) ეპოქიდან იწყება. 1919 წლის 14-16 თებერვალს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამფუძნებელი კრების პირველი არჩევნები ჩატარდა, რომლის შედეგადაც, ქვეყნის სათათბირო ორგანოში ოთხი განსხვავებული პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი 120 დეპუტატი აირჩიეს (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, 1919). სამწუხაროდ, პარლამენტარიზმის პირველი მცდელობა ორი წლის შემდეგ, საქართველოს ანექსიასთან ერთად დასრულდა. საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაში არჩევნები 30-იანი წლების ბოლოს სტალინური კონსტიტუციის მიღებასთან ერთად შემოვიდა. ამ დოკუმენტის მიხედვით, საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს ფორმალური უფლება მიეცათ, აერჩიათ ქვეყნის სხვადასხვა დონის საკანონმდებლო ორგანოს სახალხო დეპუტატები. რეალური დემოკრატიული (და კონკურენტული) არჩევნების ჩატარება მხოლოდ საბჭოთა კავშირის არსებობის დაისზე გახდა შესაძლებელი. 1990 წლის 28 ოქტომბერს, ჯერ კიდევ მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მქონე საქართველოში პირველად მოხერხდა მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება. კენჭისყრის შედეგებით, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში - უზენაეს საბჭოში უმრავლესობა ზვიად გამსახურდიას ,,მრგვალ მაგიდას'' ერგო, მეორე ადგილზე კი კომუნისტური პარტია გავიდა (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2010).

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ქვეყანაში დატრიალებულ მოვლენებს დემოკრატიული არჩევნების კულტურის დამკვიდრებისთვის ხელი ნამდვილად არ შეუწყვია. ხშირ შემთხვევაში, საერთაშორისო დამკვირვებლები მიუთითებდნენ არსებული პრობლემების შესახებ და ეჭვქვეშ აყენებდნენ არჩევნების ხარისხს. ხშირი იყო ამომ-

რჩევლებით და საარჩევნო სისტემით მანიპულირება, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება. ასე მოხდა 2003 წელსაც, როდესაც საპარლამენტო არჩევნებს სხვადასხვა პოლიტიკური ძალისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან მკვეთრი უარყოფითი შეფასება მოყვა. ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფების დიდმა ნაწილმა საკუთარ მხარდამჭერებს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა. მასობრივი საპროტესტო აქციები პრეზიდენტ ე. შევარდნაძის გადადგომით და უსისხლო ,,ვარდების რევოლუციით'' დასრულდა.

"ვარდების რევოლუციიდან'' 2008 წლამდე ქვეყანაში რამდენიმე არჩევნები ჩატარდა, თუმცა კონკურენციით და დაძაბულობით არცერთი ყოფილა გამორჩეული. ამ პერიოდში მმართველი ,,ნაციონალური მოძრაობა'' საკუთარი პოპულარობის პიკში იმყოფებოდა და ძალების მინიმალური დაძაბვით ახერხებდა სასურველი შედეგის მიღებას.

საქართველოს უახლესი ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესი საარჩევნო ციკლი 2008 წლის იანვარში დაიწყო, როდესაც ქვეყანაში ჯერ რიგგარეშე საპრეზიდენტო, ხოლო შემდეგ - საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. ამ შემთხვევაში ნათლად გამოჩნდა, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში უმთავრეს როლს ორი ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური პოლუსი თამაშობდა. ამომრჩევლებს ხელისუფლების და მისადმი ანტაგონისტურად განწყობილ ძალებს შორის უწევდა არჩევანის გაკეთება. 2008 წელს ჩატარებული არჩევნები, მრავალი დამკვირვებლის აზრით (OSCE ODIHR, 2008), გასულ წლებში ჩატარებული არჩევნებისგან გაზრდილი კონკურენციით და ამომრჩეველთა პოლარიზაციით ხასიათდებოდნენ. ამასთან, მრავალი კითხვა არსებობდა არჩევნების ხარისხთან დაკავშირებით. უფრო კონკრეტულად - ადმინისტრაციული რესურსების, საინფორმაციო წყაროებზე წვდომის და ამომრჩევლებზე ზემოქმედების შესახებ.

2010 წლის გაზაფხულზე ჩატარებულმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მმართველი ძალის დამაჯერებელმა გამარჯვებამ და ამომრჩეველთა საკმაოდ დაბალმა აქტივობამ აჩვენა, რომ ელექტორატის გარკვეული ნაწილი ნიჰილისტურად (და უნდობლად) იყო განწყობილი, ასპარეზზე არ არსებობდა ძლიერი გაერთიანებები

და პოლიტიკური სპექტრი ცვლილებებს საჭიროებდა.

2012 წლის შემოდგომაზე ჩატარებულმა საპარლამენტო არჩევნები საქართველოს ის-ტორიაში უპრეცენდენტო აღმოჩნდა. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ქვეყანაში ძალაუფლების პოლიტიკური გზით გადაცემა პირველად მოხერხდა. წინასაარჩევნო პე-რიოდში პოლიტიკური ფონი დაძაბული გახლდათ და პოლიტიკური ჯგუფები სხვა-დასხვა ხერხით ცდილობდნენ ოპონენტების დაჯაბნას. საბოლოოდ, საპარლამენტო მან-დატებს მხოლოდ ორი ძირითადი პოლიტიკური ძალა დაეუფლა, რაც ამომრჩეველ-თა პოლარიზაციის ნათელი მაჩვენებელია. კოალიცია ,,ქართულმა ოცნებამ'' ,,ნაციონა-ლურ მოძრაობასთან'' პოლიტიკური კოჰაბიტაციის მძიმე ერთწლიანი პერიოდის და-სასრულს საპრეზიდენტო და მოგვიანებით, მუნიციპალურ არჩევნებშიც მიაღწია გა-მარჯვებას.

როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთევროპული ქვეყნების უმეტესობისგან განსხვავებით, საქართველოს (მეტნაკლებად) თავისუფალი და კონკურენტული არჩევნების ჩატარე-ბის ხანმოკლე ისტორია აქვს. არც ისე მრავალრიცხოვანია ლიტერატურა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში საარჩევნო ქცევას გეოგრაფიული ან თუნდაც სოციოლოგიური და პოლიტი-კური მეცნიერების კუთხით შეისწავლის. წინამდებარე ნაშრომის მოკრძალებული მი-ზანი ამ სფეროში არსებული ხარვეზის შეძლებისდაგვარად შევსებაა.

ნაშრომში გაანალიზებულია 2008 წლიდან 2014 წლის ჩათვლით ყველა ეროვნული არჩევნების შედეგი. ამ შუალედის აღებისკენ რამდენიმე ფაქტორმა გვიბიძგა. პირველ რიგში, პოლიტიკურმა სპექტრმა მეტნაკლებად ჩამოყალიბებული სახე მიიღო. თანდა-თან მოხდა პოლიტიკური ჯგუფების კონსოლიდაცია, რასაც 2012 წელს ხელისუფლე-ბის მშვიდობიანი გზით ცვლილება მოყვა. 2012 წლის არჩევნებამდე მიმავალი გზა სწო-რედ 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებით დაიწყო. გარ-და ამისა, მოცემული პერიოდისთვის საკმაოდ დეტალური რაოდენობრივი მონაცემები არსებობს - გვაქვს უშუალოდ არჩევნების დეტალური შედეგები და წარმომადგენლო-ბითი გამოკითხვების შედეგები, რომელთა მეშვეობით შევძლებთ საზოგადოებაში არ-

სებული განწყობის გაზომვას და მათი გავლენის საარჩევნო შედეგებზე ზემოქმედების ხარისხის შეფასებას.

არჩევნების გეოგრაფიული კვლევის ობიექტს საარჩევნო ქცევის სივრცითი და რეგიონული თავისებურებები წარმოადგენს. წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ ამ დისციპლინის ფარგლებში შეიქმნა. შესაბამისად, მისი ფართო მიზანია, საქართველოში 2008 წლიდან დღემდე ჩატარებულ არჩევნებზე დაკვირვებით გამოავლინოს, აღწეროს და ახსნას საარჩევნო ქცევის სივრცითი თავისებურებები. ნაშრომში შევეცდებით, პასუხი გავცეთ შემდეგ კვლევით კითხვებს:

- რა წარმოადგენს ცალკეული ინდივიდების მიერ საარჩევნო გადაწყვეტილების მექანიზმზე მოქმედ ფაქტორებს?
- როგორ ყალიბდება პოლიტიკური პრეფერენციები თბილისის მასშტაბით და რა გავლენას ახდენს ოჯახური და სოციალური ქსელები პირადი არჩევანის ჩამოყალიბებაზე?
- რამდენად რელევანტურია საქართველოს შემთხვევაში სეიმურ მ. ლიპსეტის და სტენ როკანის მიერ შემოთავაზებული საარჩევნო დაპირისპირების თეორია?
- როგორია საარჩევნო ქცევის ძირითადი სივრცითი თავისებურებები საქართველოში?

ტექსტის პირველი ნაწილი ეძღვნება 2008-დან 2014 წლამდე საქართველოში ჩატარებული ყველა ეროვნული არჩევნების შედეგების მიმოხილვას. აღვწერთ დაფიქსირებულ შედეგებს, გამოვლენილ საერთო და განმასხვავებელ ნიშან-თვისებებს.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საარჩევნო ქცევის კვლევას ინდივიდუალურ დონეზე. ამ შემთხვევაში, კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს დედაქალაქში მცხოვრები ამომრჩევლის გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის გაგება. მოტანილი ჰიპოთეზის თანახმად, სოციალური საფუძველი და ოჯახი თბილისში ამომრჩეველთა პოლიტიკურ პრეფერენციებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ტექსტის ამ ნაწილში

გამოკვლეული იქნება საოჯახო და სოციალური ქსელების როლი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე, საბჭოთა ურბანული პოლიტიკის გავლენა თბილისში საარჩევნო ქცევის სივრცით თავისებურებებზე. რახან არსებული თეორიული საფუძვლები სუსტად ასახავენ საქართველოს განვითარების და კერძოდ, მისი ურბანიზაციის პროცესს, კვლევის საფუძველზე ჩამოვაყალიბებთ დაფუძნებულ თეორიას, რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნება მსგავსი პროფილის სხვა კვლევებისთვის.

როგორც ემპირიული მონაცემები გვიჩვენებს, სახეზე გვაქვს მნიშვნელოვანი განსხვავებები საქალაქო და სასოფლო ტიპის დასახლებებისა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული არეალების საარჩევნო ქცევას შორის. საფიქრებელია, რომ აღნიშნული განსხვავებები კომუნისტური და დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში განვითარებული მოვლენებითაა განპირობებული. ჩვენი მიზანია, გამოვლენილი თავისებურებები აიხსნას სოციალური დაპირისპირების თეორიის საფუძველზე, რომელიც საარჩევნო გეოგრაფიის და ზოგადად, პოლიტიკურ მეცნიერებებში საკმაოდ მნიშვნელოვან თეორიულ აპლიკაციად მიიჩნევა. სოციალური დაპირისპირების თეორია თავდაპირველად შემოთავაზებულ იყო სეიმურ მარტინ ლიპსეტის და სტენ როკანის მიერ 1967 წელს. მოგვიანებით, თეორია განივრცო აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში საარჩევნო ქცევის კვლევაზე, აღსანიშნავია, რომ მისი სრულად მისადაგება საქართველოს მაგალითზე რთულია და დამატებით კვლევას საჭიროებს. ნაშრომის ამ ნაწილში შევიმუშავებთ საარჩევნო ქცევის თეორიულ მოდელს, განვიხილავთ არჩევნების შედეგებს, ავაგებთ რაოდენობრივ მოდელს და გამოვყოფთ არჩევნებზე მოქმედ დამატებით ფაქტორებს.

ტექსტის დასკვნით ნაწილში სივრცითი სტატისტიკურ მეთოდებზე, კერძოდ, კვლევითი სივრცითი მონაცემთა ანალიზზე დაყრდნობით გამოვყოფთ საარჩევნო - გეოგრაფიული ქცევის მთავარ არეალებს და სივრცე-დროითი მონაცემების საფუძველზე ვიმსჯელებთ მათი გრძელვადიანობის თაობაზე.

პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვა-

ნელს, ბატონ გიორგი გოგსაძეს. მისმა კომენტარებმა და შენიშვნებმა ფასდაუდებელი დახმარება გამიწია ტექსტზე მუშაობის დროს. ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი განხორციელდა 2013 წელს ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კვლევის საფუძველზე. ფონდის ექსპერტების და სამეცნიერო ხელმძღვანელის, ბატონი ალექსანდრე ისკანდარიანის მითითებებმა დიდი როლი ითამაშეს ნაშრომის ამ ნაწილის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში. მინდა მადლობა გადავუხადო საზოგადოებრივი გეოგრაფიის ბაკალავრიატის სტუდენტებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს კვლევის განხორციელებაში. ნაშრომის ნაწილი, რომელიც 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გეოგრაფიულ ასპექტებს შეეხებოდა, გამოქვეყნდა კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტის 43-ე ნომერში. დაბოლოს, კვლევის ნაწილი 2012 წლის შემოდგომაზე წარმოდგენილი იყო შვეიცარია-კავკასიის აკადემიური ქსელის (ASCN) მიერ ორგანიზებული კონფერენციაზე სტამბოლში, ხოლო შედეგები სტატიის სახით გამოქვეყნდება კონფერენციის მასალების კრებულში. ამავე ორგანიზაციამ საშუალება მომცა, დავსწრებოდი მთელ რიგ სემინარებს კვლევის მეთოდებსა და მონაცემთა ანალიზში, რაც მნიშვნელოვანი შენაძენი იყო ნაშრომისთვის და ავტორის პროფესიული განვითარებისთვის.

# 1 თეორიული წანამძღვრები

წინამდებარე ნაშრომში მიზნად რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული საკითხის გამოკვლევას ვისახავთ. ქვემოთ მოტანილი თეორიული საფუძვლების განხილვა აუცილებელია, როდესაც ვსაუბრობთ საარჩევნო ქცევის ჩამოყალიბებაზე და მის თავისებურებებზე აღმოსავლეთ ევროპის პოსტსაბჭოთა საზოგადოებებში. აღვწერთ სოციალური დაპირისპირების თეორიას, რომელიც პარტიული კუთვნილების და გრძელვადიანი საარჩევნო კუთვნილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თეორიას წარმოადგენს. ამ თეორიული კონსტრუქციის ჭრილში მიმოვიხილავთ ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში არჩევნების შედეგებზე მოქმედ ფაქტორებს. მართალია, საქართველო, განვითარების და ისტორიული წარსულის გამო, მნიშვნელოვნად განსხვავდება საბჭოთა კავშირში ან მისი გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნებისგან, აუცილებელი და საინტერესოა იმ სამეცნიერო აზრის მიმოხილვა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საარჩევნო ქცევის გეოგრაფიულ თავისებურებებს და პარტიების სტრუქტურების წარმოშობას შეეხება. დაბოლოს, მიმოვიხილავთ რამდენიმე საკვანძო ნაშრომს, სადაც დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში საქართველოში არსებული პოლიტიკური სიტუაციის და განვითარების თავისებურებებია გამოკვლეული.

## 1.1 არჩევნები და გეოგრაფია - სოციალური დაპირისპირების თეორიის საფუძვლები

არჩევნების გეოგრაფიული ასპექტების ახსნისთვის რამდენიმე თეორიული კონსტრუქცია გამოიყენება. ჩვენი ნაშრომი ერთ-ერთ მათგანს - სოციალური დაპირისპირების თეორიას ეფუძნება. სეიმურ მარტინ ლიპსეტის და სტეინ როკანის მიერ 1964 წელს შემუშავებული დაპირისპირებების თეორია არჩევნების გეოგრაფიის მთავარ დებატებს შეხება; აღნიშნული კონცეფცია ხსნის საზოგადოებაში სოციალური დაპირისპირების გამომწვევ მიზეზებს და იმ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობით აღნიშნული დაპირისპირებები პარტიულ სისტემებად იქცევა. ლიპსეტ-როკანის თეორიის მეშვეობით და გეოგ-

რაფიული კონტექსტის გათვალიწინებით შესაძლებელია ხმის მიცემის ტერიტორიულ თავისებურებებზე მსჯელობა.

ლიპსეტის და როკანისთვის პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ ,,კონფლიქტის აგენტებს და ინტეგრაციის ინსტრუმენტებს'', რომლებიც მოსახლეობის მობილიზაციას მათი ეროვნული იდენტობის გასაძლიერებლად ახდენენ (Lipset & Rokkan, 1967, გვ. 3). მათი აზრით, სხვადასხვა სოციალური ჯგუფს შორის არსებული ინტერესთა კონფლიქტის გადმოცემა პოლიტიკური პარტიების მეშვეობით ხორციელდება, რომლებიც, თავის მხრივ, არჩევნებზე მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესების გამომხატველები არიან.

ლიპსეტის და როკანის შესწავლილი შემთხვევების აბსოლუტური უმრავლესობა დასავლეთ ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებს წარმოადგენენ, რაც მათი დასკვნების უფრო ფართო გეოგრაფიულ არეალზე გავრცობას ხელს უშლის. ტიპოლოგიური თვალსაზრისით, მათ მიერ შემოთავაზებული ანალიზი ტალკოტ პარსონსის სოციალური სისტემების ფუნქციების მოდელს ეფუძნება. ამ პარადიგმის თანახმად, ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს ოთხი ფუნქციური ქვესისტემა (ადაპტირებადი - ეკონომიკა, მიზნის მიღწევის - პოლიტიკა (polity), ინტეგრაციული - საზოგადოება, მემკვიდრეობის დამცავი - ოჯახები, სკოლები. დაპირისპირების მოდელი ამ ქვესისტემების ანატომიის თავისებურებებს და მათი კომპონენტების ურთიერთგაცვლის თავისებურებებს აღწერს.

ლიპსეტმა და როკანმა პოლიტიკური დაპირისპირებების ოთხი განზომილება გამოყვეს, რომლებიც დიდი ხანია, დომინირებენ დასავლეთევროპულ პოლიტიკაში: ა) ცენტრი-პერიფერია, ბ) ეკლესია-სახელმწიფო, გ) მიწათმოქმედება/სოფლის მეურნეობა-მრეწველობა, დ) დამსაქმებელი-დასაქმებული ავტორების აზრით, ამ დიქოტომიების ჩამოყალიბება უახლესი ისტორიის ოთხ კრიტიკულ რევოლუციას უკავშირდება: XVI-XVII საუკუნეების რეფორმაციასა და კონტრრეფორმაციას, 1789 წლის შემდეგ ევროპაში მომხდარი ე. წ. ,,ეროვნულ რევოლუციებს'', ინდუსტრიულ რევოლუციას და 1917 წლის რუსეთის რევოლუციას.

ცენტრი-პერიფერიის დაპირისპირებისას ამომრჩევლები ხმას აძლევენ ,,ადგილობრივ...დომინანტურ კულტურას...თემთან ერთად და თემის ლიდერისთვის, მიუხედავად ეკონომიკური პოზიციისა'' (Lipset & Rokkan, 1967, გვ. 11). მეორეს მხრივ, სოციალური კლასისადმი ერთგულება ხმის მიცემით და კოლექტიური ინტერესებით გამოიხატება, თუმცა ამ შემთხვევაში ადგილობრივი კულტურის საკითხების მნიშვნელობა უკანა პლანზე იწევს.

ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთდაპირისპირების აღწერისას, ავტორები ამტკიცებენ, რომ ამ ორი ინსტიტუციის კონფლიქტის უმთავრეს ფოკუსს საგანმანათლებლო სფეროს კონტროლი წარმოადგენდა. საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდგომ, ცენტრალიზებული საგანმანათლებლო სისტემის შემოღებამ და საყოველთაო განათლებამ ეკლესიის, როგორც შუამავლის (pouvoirs intermediaires) როლი დააკნინა (Lipset & Rokkan, 1967, გვ. 15). ამ პროცესს შედეგად რელიგიურ საკითხებზე ორიენტირებული პარტიების და მათი მხარდამჭერების მასობრივი მობილიზაცია მოყვა. საინტერესოა, რომ საკუთარი მრევლის პოტენციური გარეშე გავლენისგან დაცვის მიზნით ეკლესიამ ბევრი პარალელური ორგანიზაცია შექმნა. წარმოიშვა რელიგიურად განსხვავებული პროფესიული კავშირი, გამომცემლობა, სპორტისა და დასვენების კლუბი, ჟურნალ-გაზეთები, რადიო და ტელევიზიები (იქვე).

დარჩენილი ორი დაპირისპირების მიზეზები ეკონომიკური განვითარების თავისებურებებში უნდა ვეძებოთ. ქალაქსა და სოფელს შორის მზარდმა კულტურულმა სხვაობამ, საქონლის გასაღების ბაზარზე წვდომამ და ქალაქის ეკონომიკის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზებაზე კონტროლის სურვილმა დასავლეთევროპულ საზოგადოებებში ქალაქი-სოფლის დაპირისპირების ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანა. როგორც ლიპსეტი და როკანი აღნიშნავენ, ეს დიქოტომია უმეტესწილად არ ყალიბდება პარტიულ სისტემებად. გამონაკლისს ე. წ. სკანდინავიური (ნორდიკული) აგრარული პარტიები წარმოადგენენ. მართალია, ქალაქი-სოფლის დაპირისპირებას არ გააჩნია მყარი ინსტიტუციური საფუძველი, თუმცა იგი გრძელვადიანი საარჩევნო ქცევის განსაზღვრის

კარგ პარამეტრს წარმოადგენს.

დამსაქმებელი-დასაქმებულის სოციალურმა დაპირისპირებამ განსაკუთრებით დიდი გავლენა დასავლეთევროპულ პოლიტიკაზე მოახდინა. მისი საფუძვლები მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნის სამრეწველო რევოლუციაშია. პროდუქციის წარმოების თვისებრივად ახალ მეთოდზე გადასვლას ამ რეგიონის სოციალური სტრუქტურის არნახული ცვლილებები მოყვა. მკვეთრად გაიზარდა ხელფასზე დამოკიდებული მოსახლეობის რაოდენობა, ხოლო მათმა რთულმა სოციალურმა პირობებმა ნაყოფიერი ნიადაგი მოუმზადა ახლადჩამოყალიბებული პროლეტარული ფენის დამსაქმებლისადმი დაპირისპირებას. შედეგად, უამრავი პროფესიული კავშირი და სხვადასხვა კალიბრის სოციალისტური მიმართულების პარტია შეიქმნა, რომლებიც განსხვავებული წარმატებით მონაწილეობდნენ არჩევნებში. დამსაქმებელი-დასაქმებულის დიქოტიმიის მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური პარტიების წარმატება ზევრ ფაქტორზე იყო დამოკიდებული, მათ შორის, პატერნალისტური ტრადიციების არსებობაზე, განათლების ხელმისაწვდომობაზე, მასპინძელი საზოგადოების ღიაობაზე და ა. შ.(Lipset & Rokkan, 1967,  გვ. 21)

როგორც ზემოთმოყვანილი მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, სულ მცირე ორ აღწერილ დაპირისპირებას გამოხატული სივრცითი ხასიათი გააჩნია. კონფლიქტი ერი - სახელმწიფოს მაშენებელ ცენტრსა და ეთნო-რელიგიურად და კულტურულად განსხვავებულ პერიფერიას შორის ცენტრისგან მოშორებული გეოგრაფიული არეალების ჰომოგენიზაციის, კონტროლის და ასიმილაციის ირგვლივ ყალიბდება. მეორეს მხრივ, კონსერვატიული სასოფლო არეალები ძირითადად სასოფლო-სამეურნეო წარმოებით გამოირჩევიან, ხოლო ლიბერალური ურბანული არეალების მოსახლეობა კი დასაქმების მეორად ან მესამეულ სფეროში მოღვაწეობს.

ამ პოლიტიკურმა დაპირისპირებებმა დასავლეთ ევროპის ქვეყნების არჩევნების გეოგრაფიასა და გრძელვადიან საარჩევნო კუთვნილების ჩამოყალიბებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინეს. როგორც ვხედავთ, მოტანილ დიქოტიმიებზეა დამოკიდებული დღე-

ვანდელი დასავლეთევროპული პოლიტიკური პარტიების ფორმირების ადრეული ისტორია, როდესაც ისინი მეტნაკლებად იყვნენ ასოცირებული ამა თუ იმ კონკრეტული სოციალური ჯგუფის ინტერესებთან. მათი შედეგია დასავლეთ ევროპის დღევანდელი პოლიტიკური ლანდშაფტი.

ლიპსეტმა და როკანმა საკუთარი კონცეფცია სამეცნიერო საზოგადოებას შორეულ 1967 წელს გააცნეს. ნახევარი საუკუნის მანძილზე კონტინენტზე ბევრი რამ შეიცვალა, დაიშალა საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ბლოკი, წარმოიშვა ახალი სახელმწიფოები, რომლებმაც ფართოდ დანერგეს დემოკრატიული ინსტიტუტები, გაძლიერდა ინტეგრაციული პროცესები. დაბოლოს, მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურულმა ცვლილებებმა ეჭვქვეშ დააყენა როგორც თავად დაპირისპირების თეორიის რელევანტურობა, ასევე მათი სოციალური საფუძვლების სიცოცხლისუნარიანობა.

ლიტერატურაში სოციალური დაპირისპირების თეორიის რამდენიმე კრიტიკული ანალიზი არსებობს, რომელთაგან ძირითადს ჩვენ ქვემოთ მიმოვიხილავთ. მეცნიერების მხრიდან განხილვის საგანს თავად სოციალური დაპირისპირების რაობა და მისი განმარტება წარმოადგენს, რადგან ლიპსეტ-როკანის მოტანილი დეფინიცია საკმაოდ ბუნდოვანია. როგორც დიგენ-ქროსი აღნიშნავს, ლიპსეტის და როკანის მთავარი მიზანი არ გახლდათ დაპირისპირების ტერმინის განმარტება (Deegan Krause, 2007, გვ. 3). შედეგად, სხვა მეცნიერების მიერ მოტანილი დეფინიციების გამოყენება გვიწევს. ბარტოლინის და მეირის განმარტება განიხილავს ინდივიდის, სოციალური ჯგუფის იდენტობის და მათი შემაკავშირებელი ურთიერთობების, ინსტიტუციების და ორგანიზაციების ერთობლიობას, რაც საბოლოო ჯამში, სოციალური დაპირისპირების ჩამოყალიბებამდე მივყავართ (Deegan Krause, 2007, გვ. 2). დიგენ-ქროსი გვაფრთხილებს, რომ დაპირისპირების თეორიის განხილვისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ახალი შემთხვევები, რომლებიც ლათინური ამერიკის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, აზიის და აფრიკის ტერიტორიაზეა წარმოდგენილი. გარდა ამისა, თავად დასავლურ საზოგადოებებში თანდათან სუსტდება დაპირისპირების გამომწვევი ღირებულებების

მნიშვნელობა და საარჩევნო პროცესში უფრო მეტ როლს ე. წ. პოსტ-მატერიალისტური ღირებულებები ასრულებენ. არსებობს მოსაზრება, რომ ფუკუიამას ცნობილი (და წინააღმდეგობრივი) იდეა „ისტორიის დასასრულის" შესახებ ეჭვქვეშ აყენებს ყველა იმ მიზეზს, რომელსაც საზოგადოებრივი დაყოფა ემყარება (Johnston & Pattie, 2003).

სხვადასხვა ავტორები აღნიშნავენ, რომ ამჟამად გაცილებით აქტუალურია საკითხებზე დამყარებული დაპირისპირებები, რომლებიც შესაძლოა, არც ატარებდნენ სტრუქტურულ ხასიათს. დიგენ-ქროსი ამომწურავად მიმოიხილავს დასავლურ სამეცნიერო სამყაროში ახალი სოციალური დაპირისპირებების შესახებ აზრთა სხვადასხვაობას და ჩამოთვლის რამდენიმე მნიშვნელოვან ავტორს. სარტორის აზრით, უმთავრესი დაპირისპირება უკავშირდება ბაზრის და სახელმწიფოს განაწილების ფუნქციების შესახებ აზრთა სხვადასხვაობას, თუმცა ასევე აღნიშნავს სხვა პოტენციურ პროგრამულ სხვაობასაც (Deegan Krause, 2007, გვ. 6), ინგელჰარტმა შემოგვთავაზა დაპირისპირება მატერიალისტური და პოსტმატერიალისტური ღირებულებების ირგვლივ, ლიფჰარტმა წარმოადგინა იდეა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ, ხოლო სტუბაგერს, ქოულს და ქრიესს ეკუთვნით კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ამომრჩეველთა მობილიზება ხდება პროტექციონისტული და ინტეგრაციული პოლიტიკის ირგვლივ (Deegan Krause, 2007, გვ. 5).

მოგვიანებით, თავად დაპირისპირების თეორიის ერთ-ერთი ავტორი, ლიპსეტი აღნიშნავდა, რომ მართალია, ეს მოდელი ხაზს უსვამს დაპირისპირებული მხარეებისადმი კუთვნილებას და მათ ინსტიტუციონალიზაციას პოლიტიკურ პარტიებად, მაგრამ ახასიათებს დინამიზმი (Karvonen & Kuhnle, 2003, გვ. 2). დიგენ-ქროსის აზრით, ლიპსეტროკანის მოდელი ადაპტირებადია და ახალი კატეგორიები ადვილად თავსდება საყოველთაოდ მიღებულ ოთხი დიქოტომიის ფარგლებში. იგი წერს, რომ ქალაქი-სოფლის დაპირისპირება ამჟამად წარმოადგენს გეოგრაფიულ სხვაობას ხმის მიცემის თავისებურებებში, დამსაქმებელ-დასაქმებულის დაპირისპირება აღწერს ამომრჩევლის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს, ცენტრი-პერიფერია აღნიშნავს კულტურულ სხვაობას, განსა-

კუთრებით ეთნიკურ ჭრილში, ხოლო ეკლესია-სახელმწიფოს დაპირისპირება კი აღწერება კულტურულ ღირებულებებსა და რელიგიურობას შორის სხვაობით (Deegan Krause, 2007, გვ. 6).

მოტანილი აღწერა, ძირითადად დამკვიდრებული დემოკრატიის მქონე ქვეყნებს შეეხება, თუმცა, როგორც რასელ დალტონი აღნიშნავს, ე. წ. ახალ დემოკრატიებში ჩამოყალიბების პროცესში მყოფი პარტიული სისტემები ნაკლებადაა დამოკიდებული სტაბილურ ჯგუფურ დაპირისპირებებზე. მსგავს საზოგადოებებში, ელექტორატი სხვა, უფრო მოკლევადიან ფაქტორებს აქცევს ყურადღებას, როგორებიცაა კანდიდატის საზოგადოებრივი იმიჯი და მისი დამოკიდებულება კონკრეტული საკითხების მიმართ (Dalton, Flanagan, Beck, & Alt, 1984).

## 1.2 ხმის მიცემის თავისებურებები და საარჩევნო სისტემები ახალ ევროპაში

აღმოსავლეთ ევროპის (მხედველობაში გვაქვს სოციალისტური ბანაკის და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილი სახელმწიფოები) არჩევნების განხილვისას, სამეცნიერო საზოგადოებაში არ არსებობს ერთსულოვანი აზრი, თუ რამდენად რელევანტურია სოციალური დაპირისპირების ოთხი განზომილება პარტიების ფორმაციისა და შესაბამისად, საარჩევნო ქცევის ჩამოყალიბებაში. ამ მრავალფეროვანი და ჭრელი რეგიონის ისტორიული წარსული ძალიან გასხვავდება დასავლეთ ევროპისგან. როგორც ჩანს, ლიპსეტის და როკანის მიერ შემოთავაზებული დაპირისპირებების წარმომშობი მიზეზები არასაკმარისია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ რეგიონის პოლიტიკურ სცენაზე ათწლეულების მანძილზე დომინირებდნენ კომუნისტური რეჟიმები, რომლებმაც წინა პოლიტიკური სისტემები ძალდატანებით ამოძირკვეს. ქვემოთ ჩვენ დაწვრილებით მიმოვიხილავთ აღმოსავლეთ ევროპაში არჩევნების შედეგებზე მოქმედ ფაქტორებს, რადგან საფიქრებელია, რომ საქართველოს შემთხვევაშიც მსგავსი საფუძველი უნდა ვეძიოთ.

ლიპსეტის და როკანის ანალიზი დასავლეთ ევროპაში მტკიცე პარტიული სისტემების წარმოშობის პროცესს ხსნის. რაც შეეხება პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტურ აღმოსავლეთ ევროპას, ამ რეგიონის პარტიული სისტემები განსხვავებული სიმყარით ხასიათდებიან. ენდრიუსი და ბეირითი, გამოდიან რა ინსტიტუციური თეორიიდან და მიმოიხილავენ ბოლო სამი დეკადის მანძილზე ჩატარებულ არჩევნებს, ასკვნიან, რომ საარჩევნო ცვალებადობა (electoral volatility) მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმ რთულ ინსტიტუციურ ცვლილებებსა და კომპრომისებზე, რომელიც ამ ქვეყნების ელიტებმა კომუნისტური სისტემის კოლაფსის დროს მიიღეს (Andrews & Bairett Jr, 2013). მათი აზრით, მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების და საპრეზიდენტო მმართველობის არსებობა ხელს უწყობს არასტაბილურ პარტიულ სისტემებს. თუკი საარჩევნო სისტემაში წარმოდგენილია ორპალატიანი პარლამენტი და ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქები, როგორც ეს დასავლეთევროპულ დემოკრატიებშია, საფუძველი იქმნება მყარი საარჩევნო სისტემების არსებობისთვის (Andrews & Bairett Jr, 2013, გვ. 319).

საარჩევნო და პარტიული სისტემების საკითხს უფრო ადრინდელ ნაშრომში სარა ბირჩი (Birch, 2001) მიმოიხილავს. იგი აჩვენებს, რომ საარჩევნო სისტემების გავლენა არჩევნების შედეგებზე გაცილებით მნიშვნელოვანია აღმოსავლეთევროპული პოლიტიკისთვის, ვიდრე ეს დასავლეთ ევროპაშია. მაღალი საარჩევნო ბარიერი და ერთმანდატიანი ოლქები მცირე პარტიებს და შესაბამისად, პატარა სოციალურ ჯგუფებს საპარლამენტო წარმომადგენლობის შანსებს უსპობენ და უფრო მსხვილი პარტიების და პოლიტიკური კოალიციების ჩამოყალიბების საფუძველს ქმნიან (Birch, 2001, გვ. 370). ავტორს ასევე მოყავს საარჩევნო მანიპულირების რამდენიმე მაგალითი სერბეთიდან, ჩეხეთიდან, რუსეთიდან და საქართველოდან. მაგალითად, ჩვენთან 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში საკანონმდებლო ორგანოში პროპორციული სისით გასულმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა ჯამში ხმების 38.5% (!) მოაგროვეს, თუმცა საარჩევნო ბარიერის გამო, მცირე პარტიებს პარლამენტში მოხვედრის შანსები მოუსპეს.

როგორც ჩანს, კონკურენტული არჩევნების მეორე და მესამე ტალღების შემდეგ, პოს-

ტკომუნისტური ევროპის ამომრჩეველთა შორის ე. წ სტრატეგიული ხმის მიცემის როლი უფრო გაიზარდა. დავიშას და დითსის მიხედვით, სახეზე გვაქვს ჩამოყალიბებული საარჩევნო ინსტიტუტები, რომლებიც მნიშვნელოვნად არ შეცვლილან. ამომრჩევლებიც და პარტიული ხელმძღვანელობაც რაციონალური მოსაზრებებიდან გამოდიან, მცირდება ე. წ. განიავებული ხმების რაოდენობა, პარტიული ლანდშაფტის ფრაგმენტაცია და ხმების არაპროპორციული გადანაწილება. ავტორების მთავარი არგუმენტი ემყარება იმას, რომ კონკურენტულ არჩევნებში მონაწილეობის მიღება ზრდის ამომრჩევლის ცოდნას და ხელს უწყობს მყარი პარტიული სისტემების ჩამოყალიბებას (Dawisha & Deets, 2006,  გვ. 721).

აღმოსავლეთ ევროპის თანამედროვე არჩევნებზე პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის და ინსტიტუციების გავლენას რამდენიმე სხვა ავტორიც ახსენებს. ყველა მათგანი (Ishiyama, 1997),(Shvetsova, 1999) თანხმდება, რომ 1980-იანი წლების ბოლოს განვითარებულმა მოვლენებმა და ქვეყნების მიერ არჩეულმა საარჩევნო მოდელებმა დღევანდელ პოლიტიკურ ლანდშაფტზე მნიშვნელოვანი და ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტი გავლენა მოახდინა.

ბორერის, პასეკის და რედკლიფის კვლევა ეხება კომუნისტური პარტიის მემკვიდრე პოლიტიკური ჯგუფების არჩევნებში წარმატებას. ავტორები აანალიზებენ 1998 წლის ჩათვლით აღმოსავლეთ ევროპაში ჩატარებულ არჩევნებს და ასკვნიან, რომ მაღალი პოლიტიკური მონაწილეობა მსგავსი ტიპის მემარცხენე პარტიებისთვის საარჩევნო წარუმატებლობით მთავრდება. რადგან ამ პარტიების ძირითად ამომრჩეველს საპენსიო ასაკის ადამიანები წარმოადგენენ, რომლებიც არჩევნებზე ყოველთვის დადიან, შესაბამისად, სხვა ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლების არჩევნებზე მისვლა მათ შედეგებზე უარყოფითად აისახებოდა (Bohrer, Pacek, & Radcliff, 2000).

ვალჩაკი, ვან დერ ბრუგი და დე ვრიესი (Walczak, van der Brug, & de Vries, 2012) ცდილობენ, გაარკვიონ თანამედროვე დასავლეთ და აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპაში ამომრჩეველთა გრძელვადიან პრეფერენციებზე მოქმედი ფაქტორები. ისინი აჩვენებენ,

რომ განსაკუთრებით დასავლეთევროპელ ამომრჩევლებში სოციალური კლასი, რელიგია და მემარჯვენე-მემარცხენე დისკურსი, შედარებით ნაკლებ როლს ასრულებენ. ხაზგასასმელია ახალგაზრდა ამომრჩევლებში მოკლევადიან, ე. წ. საკითხებთან დაკავშირებული ხმის მიცემა, რომელიც ახალი თაობის საარჩევნო ქცევის ამხსნელ კარგ ფაქტორს წარმოადგენს. თუმცა ავტორების ჰიპოთეზა, ახალგაზრდების საარჩევნო ქცევა მთლიანად მოკლევადიან ფაქტორებთან, ხოლო უფროსებისა კი - გრძელვადიან პრეფერენციებთან დაეკავშირებინათ, არ გამართლდა (Walczak et al., 2012). რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპას, აქ, როგორც აღმოჩნდა, რელიგია და სოციალური კლასი მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს. რელიგია მეორე მსოფლიო ომამდელი თაობებისთვის პოლიტიკურ ლანდშაფტში გარკვევის საშუალებაა, ხოლო ახალგაზრდა თაობებისთვის კი მნიშვნელობას სოციალური კლასი იძენს. შედარებით უმნიშვნელოა დაპირისპირება მემარჯვენე-მემარცხენე დისკურსის ირგვლივ.

გრიგორე პოპ-ელეკესის და ჯოშუა თაქერის მიერ შემოთავაზებული სისტემის მიხედვით, ინდივიდუალურ ამომრჩეველზე მნიშვნელოვან გავლენას კომუნისტურ სისტემაში ცხოვრების გამოცდილება ახდენს. ამ დამოუკიდებელი ცვლადის მეშვეობით აიხსნება, თუ რა დამოკიდებულება აქვს მას დემოკრატიისა და საბაზრო რეფორმების მიმართ. მართალია, აღნიშნული ფაქტორი ნაკლებად სუსტი იყო კათოლიკე და პროტესტანტ ამომრჩევლებში, თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გახლდათ თითქმის ყველა წარმოდგენილ ქვეყანაში. ავტორებმა ასევე ხაზი გაუსვეს კომუნისტური რეჟიმების ტიპის როლს დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკისადმი დამოკიდებულებებში (Pop-Eleches & Tucker, 2013,  გვ. 12).

ვან დერ ბრუგი, ფრანკლინი და ტოკა აანალიზებენ ევროკავშირის ოც სახელმწიფოში ხმის მიცემის და პოლიტიკური განწყობების თავისებურებებს და ასკვნიან, რომ ახალი ევროპის პარტიული სტრუქტურები მცირედით განსხვავდებიან ჩამოყალიბებული დემოკრატიებისგან. აღმოსავლეთ ევროპაში რელიგიას შედარებით დიდი ზეგავლენა გააჩნია პარტიულ პრეფერენციებზე, ხოლო მემარჯვენე-მემარცხენე დისკურსის ხარის-

ხი მნიშვნელოვანწილად უგულებელყოფილია (Van der Brug, Franklin, & Tóka, 2008).

მარჯიტ ტავიტსი თვლის, რომ აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში სოციალური დაპირისპირებების როლი საარჩევნო ქცევაში შედარებით შეზღუდულია. კერძოდ, იგი თვლის, რომ ,,კომუნისტური სისტემის მიერ სოციალური დაპირისპირებების ეფექტურად აღმოფხვრის გამო ამ რეგიონში მაღალი საარჩევნო ცვალებადობის მიზეზია" (Tavits, 2005, გვ. 296). მისი აზრით, დემოკრატიის პირველ წლებში მაღალი ცვალებადობა ინსტიტუციური გაძლიერებით და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით დაიძლია. ტავიტსისთვის ამომრჩეველთა პრეფერენციებისთვის მთავარ საკითხს ეკონომიკური განვითარება და პარტიების მიერ ელექტორატისთვის საკუთარი ეკონომიკური პროგრამების სწორად მიწოდება წარმოადგენს.

სამწუხაროდ, საქართველოს თემატიკას მსგავსი ტიპის მსხვილ შედარებით კვლევებში ძალიან მცირე როლი ეთმობოდა. სამაგიეროდ, უხვადაა ნაშრომები, რომლებიც რუსეთის ფედერაციის და განსაკუთრებით, უკრაინის საარჩევნო ქცევის გეოგრაფიულ ასპექტებს იკვლევენ. უკრაინაში ბოლო სამი დეკადის მანძილზე რამდენიმე კონკურენტული არჩევნები ჩატარდა. ქვეყნის განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, სახეზეა მნიშვნელოვანი რეგიონული სხვაობები, რომელთა გამოყოფას და ახსნას მრავალი კვლევა მიეძღვნა. სარა ბირჩი აქტიურად აკვირდებოდა ამ ქვეყანაში მიმდინარე არჩევნებს (იხ. Birch (1995), Birch (2000), Birch (2001) და ა. შ.). მისი აზრით, ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორი მამოძრავებელი მხოლოდ უკრაინის დასავლეთ ნაწილისთვისაა, მაშინ როდესაც უკრაინის აღმოსავლეთში ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების შედეგად ჩამოყალიბებული დაპირისპირებები თამაშობს გადამწყვეტ ფაქტორს. ჯონ ო'ლაფლინი მიუთითებს უკრაინის არჩევნებში მძლავრი რეგიონული ფაქტორების არსებობის შესახებ, მის მიერ შემოთავაზებული მოდელი კი გვიჩვენებს ე. წ. რუსული საკითხის დიდ გავლენაზე უკრაინაში მცხოვრები ამომრჩევლების პრეფერენციებზე (O' Loughlin, 2001). ქლემისა და ქრომერის უფრო გვიანდელი კვლევა (Clem & Craumer, 2008) უკვე მიუთითებს მკვეთრად ჩამოყალიბებული საარჩევნო-გეოგრაფიული ლანდშაფტის შე-

სახებ. მათი აზრით, ცენტრალური მაკრორეგიონი გადამწყვეტ როლს ასრულებდა იულია ტიმოშენკოს ბლოკის 2006 და 2007 წლების საარჩევნო გამარჯვებებში.

ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონალიზაცია აღმოსავლეთევროპულ საზოგადოებებში ელექტორალურ-გეოგრაფიული თავისებურებების წარმომშობი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. პერეპეჩკო და სხვები ამტკიცებენ, რომ სოციალიზმამდელ დაპირისპირებებს მკვეთრად გამოხატული რეგიონული განზომილება აქვთ რუსეთის საარჩევნო - გეოგრაფიულ თავისებურებებში (Perepechko, Kolossov, & ZumBrunnen, 2007). ზარიცკიმ გააანალიზა პოლონეთში ისტორიული რეგიონალიზაციის როლი, უფრო კონკრეტულად - ქვეყნის დანაწილება და ,,პრუსიული მემკვიდრეობა'' (Zarycki, 2002). ავსტრია - უნგრეთის იმპერიის ისტორიული მემკვიდრეობა მნიშვნელოვანია უკრაინის და რუმინეთის საარჩევნო ქცევის ახსნისთვის (Roper & Fesnic, 2003). ასევე, უკრაინაში არჩევნების შესახებ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს ქვეყნის საარჩევნო თავისებურებების ამხსნელი რეგიონული და ისტორიულ-გეოგრაფიული საფუძვლები (Clem and Craumer (2008), Mykhnenko (2009)).

გარდა ზემოთჩამოთვლილი თეორიული აპლიკაციებისა, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპაში საარჩევნო ქცევის და პარტიული სტრუქტურების წარმოშობის პრობლემატიკას ეხება, არსებობს სხვა მნიშვნელოვანი კონსტრუქციებიც, რომლებიც გარკვეულწილად საქართველოს შემთხვევისთვის უნდა იყოს საინტერესო. კერძოდ, აღნიშვნის ღირსია ე. წ. კონკურენტული ავტორიტარიზმის კონცეფცია, რომელიც სტივენ ლევიცკის და ლუქენ უეის ეკუთვნით (Levitsky & Way, 2002). კონკურენტული ავტორიტარული რეჟიმები პოლიტიკური ავტორიტეტის შენარჩუნების მიზნით დემოკრატიულ მეთოდებს იყენებენ (მაგალითად, არჩევნებს), თუმცა ხელისუფლების სათავეში ყოფნისას ამ წესებს ისე არღვევენ, რომ დემოკრატიის მინიმალურ სტანდარტსაც ვერ აკმაყოფილებენ (Levitsky & Way, 2002, გვ. 51). ავტორების აზრით, თომას ქაროთერსის მოწოდება ე. წ. გადასვლის პარადიგმის დასრულების შესახებ სრულიად მისაღებია და იმ ქვეყნებში, სადაც სრული დემოკრატიული წყობილების მიღწევა შეუძლებელი აღმოჩ-

ნდა, პოლიტიკური თავისებურებების აღწერის კარგ აპლიკაციას წარმოადგენს.

## 1.3 დაპირისპირების თეორია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში და მათ მიღმა

აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში სოციალური დაპირისპირებების არსებობის და ხმის მიცემაზე მათი გავლენის შესახებ მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მეცნიერები მიუთითებენ, რომ განსხვავებების არსებობის მიუხედავად, მათი წარმოშობის მიზეზები ე. წ. დიდ რევოლუციები ვერ იქნებიან, ასევე რთულია დაპირისპირებების პოლიტიკური პარტიების სტრუქტურასთან დაკავშირება. თუმცა აღნიშნული ფენომენის გამოვლენის, აღწერის და ახსნის რამდენიმე მცდელობა მაინც არსებობს, რომლებიც მეტწილად სამი მეცნიერის, ჰერბერტ კიჩელტის, ჯეფრი ევანსის და სთიუართ უაითფილდის სახელს უკავშირდება.

პოლიტიკური დაპირისპირებების ჩამოყალიბებას პოსტკომუნისტურ ქვეყნებში საკმაოდ მტკიცე კავშირი აქვთ ამ ქვეყნების ისტორიულ წარსულთან. კერძოდ, არსებული კომუნისტური რეჟიმების ტიპთან. ჰერბერტ კიჩელტი (Kitschelt, 1995) დეტალურად განიხილავს პოსტკომუნისტური გადასვლის ეპოქას და ამ საზოგადოებებში მიმდინარე პროცესებს. მის მიერ წარმოდგენილი ე. წ. ტაბულა რაზას ჰიპოთეზის მიხედვით, პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში პროგრამებზე დაფუძნებული პოლიტიკური პარტიები დიდხანს ვერ იქნებოდნენ წარმატებული და უფრო მეტად წარმოდგენილი იქნებოდნენ კლიენტალისტური და ქარიზმატული პოლიტიკური პარტიები. მეორეს მხრივ, პოსტკომუნისტური დემოკრატიები კარგა ხანს არ იქნებოდნენ კონსოლიდირებულნი. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება ე. წ. ცივილიზაციურ არაკომპეტენტურობის ცნებას, რომელიც ხელს უშლიდა აქტიურ სამოქალაქო ორიენტაციასა და პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობას. ამასთან, პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში მნიშვნელოვანი იყო საკუთრების უფლების არამყარობის განცდა, რამაც ამომრჩევლებს ხელი შეუშალათ, გაერთიანებულიყვნენ მსგავსი ინტერესებს ირგვლივ.

კიჩელტი ასევე გამოყოფს კომუნისტური რეჟიმების სამ განსხვავებულ კატეგორიას, რომლებიც ერთმანეთისგან პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით და ბიუროკრატიის ჩართულობით განსხვავდებიან: პატრიმონიული კომუნიზმი, ბიუროკრატულ-ავტორიტარული და ნაციონალური/ნაციონალური კონსენსუსის კომუნიზმი. საბჭოთა კავშირის ქვეყნების უმრავლესობა, საქართველოს ჩათვლით, პატრიმონიული კომუნიზმის ჯგუფს ეკუთვნის, რომლებსაც ,,ელიტის შიგნით შეჯიბრის და ინსტიტუციონალიზაციის'' დაბალი ხარისხი ჰქონდათ. ამ შემთხვევაში, ყოფილმა კომუნისტურმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა განახორციელეს დემოკრატიული გადასვლა, რადგან ანტიკომუნისტური ძალები შედარებით სუსტი და ფრაგმენტირებული გახლდათ. ბიუროკრატიულ - ავტორიტარული კომუნიზმის სახელმწიფოებში ელიტის შიგნით კონკურენცია ასევე შეზღუდული გახლდათ, თუმცა რაციონალურ - ინსტიტუციური ბიუროკრატიული აპარატი ძლიერი იყო. აქ ხელისუფლება ხელში ლიბერალურმა ძალებმა აიღეს, რომლებმაც საარჩევნო სისტემის ასაწყობად დეპერსონიზებული სისტემა აირჩიეს. დაბოლოს, ეროვნული კონსენსუსის მოდელის შემთხვევაში, დემოკრატიული გადასვლისას კომუნისტურ და დამოუკიდებლობის მომხრე ელიტებს შორის მორიგება განხორციელდა, რასაც შერეული მმართველობის ფორმების ჩამოყალიბება მოყვა.

კიჩელტისთვის მნიშვნელოვანია საარჩევნო დაპირისპირებების გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა. მისი აზრით, ახლადჩამოყალიბებული ურბანული მოსახლეობა, რომელიც ძირითადად მუშებისა და ე.წ. თეთრსაყელოიანი ინტელიგენციისგან შედგებოდა, ,,კომუნისტური რეჟიმების (და მათი შემცვლელი ყოფილი კომუნისტი ლიდერებისადმი) ვალში დარჩნენ საკუთარი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების გამო (Kitschelt, 1995, გვ. 55). ამ შემთხვევაში, რეჟიმებისთვის გამოწვევას ადგილი არ ჰქონდა, რადგან არ არსებობდა კომუნიზმამდელ ეპოქაში ჩამოყალიბებული ინტელექტუალების დამოუკიდებელი ფენა, რომლებიც თავის დროზე ფიზიკურად და მორალურად განადგურებული იქნენ. დაპირისპირებები განიხილება, როგორც კომუნისტური წარსულის შედეგი, ე.წ. ,,ლენინისტური მემკვიდრეობა'' და მისი გაზომვა ხდება ლიბერალურ - ავტო-

რიტარულ ღერძზე (Whitefield, 2002).

ევანსი და უაითფილდი ამტკიცებენ, რომ ხანგრძლივი კომუნისტური რეჟიმის მიუხედავად, რომელმაც აღმოფხვრა და სტრუქტურულად შეცვალა რეგიონის პოლიტიკური ლანდშაფტი, ექს-კომუნისტურმა ქვეყნებმა განივითარეს რამდენიმე საკუთარი პოლიტიკური დაპირისპირება, რომლებიც ადგილობრივ ფაქტორებს ემყარებიან (Evans & Whitefield, 2000). როგორც უაითფილდი 1999 წელს აღნიშნავდა, არსებობს გარკვეული საფუძველი, ვიფიქროთ, რომ პოსტკომუნისტურ საზოგადოებებს გააჩნიათ სტრუქტურული სოციალური და იდეოლოგიური დაყოფები. ასაკი, განათლება, რელიგია, ეთნიკური კუთვნილება და საქმიანობის კლასი მეტნაკლებად განსაზღვრავს იდეოლოგიურ პერსპექტივას (Whitefield & Evans, 1999). აქვე უაითფილდი განსაზღვრავს დაპირისპირებების წარმომშობ რამდენიმე ფაქტორს. ისინი მდგომარეობენ კომუნიზმამდელ ისტორიულ და კულტურულ ტრადიციებში, კომუნისტური მმართველობის და გადასვლის თავისებურებებში, ინსტიტუციურ არჩევანსა და პარტიების სტრატეგიებში, ასევე პოსტკომუნისტური სოციალ-ეკონომიკური გამოცდილების თავისებურებეში. მეორე მიდგომა ეხება აგენტების - ელიტის ან მასების თავისებურებებს, რომლებიც განაპირობებენ დაპირისპირებების წარმოშობას (Whitefield, 2002).

ზემოთაღწერილი თეორიები აჩვენებენ, რომ კომუნისტური და კომუნიზმამდელი მემკვიდრეობა, ასევე სოციოდემოგრაფიული თავისებურებები საარჩევნო დაპირისპირებების წარმოშობას ხსნიან, ყველა ეს ფაქტორი გადადის სივრცით კონტექსტში (ეთნიკური, რელიგიური, ეკონომიკური თავისებურება (pattern), ისტორიული რეგიონების ჩამოყალიბება და ა. შ.).

პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში პოლიტიკური დაპირისპირებები შედარებით ახალი ისტორიული მოვლენებითაა გამოწვეული, ვიდრე გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით და კულტურული ცვლილებებით. ეს დასკვნა განსაკუთრებით მნიშნელოვანი საქართველოსთვისაა, რომელიც ევროპული ინდუსტრიალიზაციის პერიფერიას წარმოადგენდა და ამ პროცესებმა ნაკლებად მოახდინეს გავლენა. ჩვენ

შეიძლება ვამტკიცოთ, რომ კომუნისტური მემკვიდრეობისა და სხვა თავისებურებების გარდა, კომუნიზმამდელმა კულტურულმა მემკვიდრეობამ, უფრო კონკრეტულად - ქვეყნის ისტორიულმა რეგიონალიზაციამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს პოლიტიკური დაპირისპირებების და ქვეყნის საარჩევნო-გეოგრაფიული თავისებურებების ჩამოყალიბებაზე.

## 1.4 არჩევნები, პოლიტიკა და საზოგადოება საქართველოში

საქართველოს პოლიტიკური განვითარების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის სია საკმაოდ შეზღუდულია. ქვემოთ მიმოვიხილავთ იმ ძირითად ნაშრომებს, რომლებიც ეხება საქართველოში არჩევნების, პოლიტიკური განვითარების და საზოგადოების მდგომარეობის საკითხებს, განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ საქართველოში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების შესწავლის საკითხებს.

საქართველოს საზოგადოების და პოლიტიკური ლანდშაფტის კვლევის პრობლემატიკა შესაძლოა, რამდენიმე ჭრილში განვიხილოთ. ჯერჯერობით, საქართველოში საარჩევნო ქცევის და პარტიული სისტემების ჩამოყალიბების ახსნის მცდელობა სოციალური დაპირისპირებების თეორიის საფუძველზე არავის უცდია, თუმცა მრავლადაა ნაშრომები, რომლებიც ქვეყანაში პოლიტიკური ჯგუფების განვითარების საკითხებს ეძღვნება. საქართველოში არსებულ პარტიებს როგორც წესი, არ გააჩნიათ ჩამოყალიბებული იდეოლოგიური ვექტორი და საკმაოდ რთულია მათი პოლიტიკური ორიენტაციის მემარჯვენეობა-მემარცხენეობის სისტემაში მოქცევაზე საუბარი. როგორც ჩანს, ეს მნიშვნელოვნად განპირობებულია საბჭოთა კომუნიზმის მემკვიდრეობით, ასევე დამოუკიდებლობის პერიოდში აღმოცენებული საარჩევნო და მმართველობითი სისტემებით.

ნოდიას და სქოლთბაჰის ნაშრომი (Nodia & Scholtbach, 2006) ალბათ, ქართული პოლიტიკური სპექტრის ერთ-ერთ ყველაზე ამომწურავ დახასიათებას წარმოადგენს. აქ დეტალურადაა განხილული საქართველოს პოლიტიკური პარტიების ლანდშაფტი, ასე-

ვე დახასიათებულია თითოეული პარტიის იდეოლოგიური, სტრუქტურული და სისტემური თავისებურებები. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომის გამოქვეყნების შემდგომ ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა ძირეული ცვლილებები განიცადა, იგი მაინც რჩება საყურადღებო და მნიშვნელოვან წყაროდ.

ბეიდერის (Bader, 2008) ნაშრომი იკვლევს საქართველოში ჩამოყალიბებულ პარტიულ სპექტრს და ასკვნის, რომ იგი მკვეთრად განსხვავდება აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სხვა შემთხვევებისგან. პირველი ნიშანი გახლავთ პარტიების მხრიდან საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების არასტაბილური მიწოდება, ხოლო მეორე - ის ნახევრად ავტორიტარული ან პოლიტიკურად გაურკვეველი ვითარება, რომლის საფუძველზეც პარტიული პოლიტიკა აღმოცენდა. პოლიტიკური პარტიების სისუსტის მიზეზი შეიძლება, დავუკავშიროთ საბჭოთა კომუნიზმის მემკვიდრეობას, საპრეზიდენტო სისტემის არსებობას და არსებულ საარჩევნო სისტემებს.

როგორც ჩანს, იდეოლოგიური კუთვნილების სისუსტესთან ერთად, პოლიტიკური პარტიების ფორმირებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშან-თვისება ქვეყანაში არსებული ძალაუფლების მქონე ელიტების ზეგავლენაა. ჭიაბერაშვილის და თევზაძის ანალიზის (Chiaberashvili & Tevzadze, 2005) თანახმად, დამოუკიდებლობის პირველ წლებში ჩამოყალიბებული პოლიტიკური ელიტა, ედუარდ შევარდნაძის ჩათვლით, წარმოადგენდა კომუნისტურ ნომენკლატურას, ან კომკავშირის ყოფილ წევრებს. ეს ქსელები, რომელიც კაპიტალიზმის და საბაზრო რეფორმების დროშის ქვეშ მოღვაწეობდნენ, ახდენდნენ არამარტო სახელმწიფოს, არამედ თავად ეკონომიკის პრივატიზებას. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ქვეყნის კანონმდებლობა ასევე ელიტების მიხედვით ვითარდებოდა, ხოლო პოლიტიკური პარტიები, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ გააჩნდა ჩამოყალიბებული პრინციპები, წარმოადგენდნენ ე. წ. ბროკერულ პოლიტიკურ ჯგუფებს.

სტივენ ჯონსი საკუთარ სტატიაში (Jones, 2000) მიმოიხილავს საქართველოში 1990-იანი წლების დასასრულს არსებულ ინტერესთა ჯგუფებს და მათ გავლენას ქვეყნის პოლი-

ტიკურ ცხოვრებაზე. ავტორი ხაზს უსვამს სუსტი მმართველობის პერიოდში არაფორმალური და კორუმპირებული ძალაუფლების ქსელების წარმატებულ მოღვაწეობას. იგი დასძენს, რომ ასეთ პირობებში მარგინალური ჯგუფების (პენსიონერები, ,,ლურჯსაყელოიანი'' მომუშავეები, დევნილები და ეთნიკური უმცირესობები) ყველაზე დიდ პრობლემებს განიცდიან და ქვეყნის პოლიტიკურ დისკურსში არასათანადოდ არიან წარმოდგენილები. პატრონაჟის ჯგუფები, რომლებიც საბჭოთა პერიოდიდან შემორჩნენ, საკუთარი გავლენის გაზრდა-გაძლიერებას ცდილობენ, თუმცა უკვე აღარ არიან ისე ძლიერები, რომ პლურალიზმი შეზღუდონ. მართალია, მოცემული პერიოდისთვის სახელმწიფოს ჰქონდა კონტროლის დამყარების გარკვეული მცდელობები, თუმცა შევარდნაძის მმართველობის პერიოდში მას დიდი წარმატება არ მოყოლია.

გოთუას სტატია (Gotua, 2011) იკვლევს საქართველოს მუნიციპალიტეტებში არსებული მართვის არაფორმალურ ქსელებს. ავტორი გურჯაანის მუნიციპალიტეტის მაგალითზე მიმოიხილავს საქართველოს ცალკეულ რეგიონებში არსებულ ადგილობრივ ელიტებს და მათი მართვის თავისებურებებს. იგი ამტკიცებს, რომ დამოუკიდებლობის შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის ხასიათი ცენტრალიზებულია და იგი უფრო არაფორმალურ პრაქტიკას ეფუძნება, ვიდრე - სამართლებრივ-დემოკრატიულს. მისი აზრით, მსგავსი სისტემა საბჭოთა მემკვიდრეობაა, რომელმაც მართვაში ასეთი მიდგომები, ასევე ძველი ნომენკლატურა დატოვა ძალაში. აღნიშნული მიდგომა წარმატებულია, რადგან ადგილობრივ ელიტებს საშუალება მიცა, სიტუაცია იქვე ეკონტროლებინათ და ამასთან, შემგუებლური მიდგომის წყალობით, არ ყოფილიყვნენ ასოცირებული რომელიმე კონკრეტულ ჯგუფთან.

დაბოლოს, რიმპლის პუბლიკაცია (Rimple, 2012) შეეხება 2003-2012 წლებში საქართველოს პოლიტიკური ელიტის მონაწილეობას ბიზნეს-საქმიანობაში და მათ მიერ წარმოების საკვანძო მიმართულებების კონტროლს. წიგნში აღწერილია ტელევიზიის, სატელეკომუნიკაციო, სარეკლამო, საწვავის, ფარმაცევტული, სამშენებლო, მომპოვებელი მრეწველობის თავისებურებებს და აქ არსებულ კარტელურ ბიზნეს-სისტემებს, რომლე-

ბიც სახელმწიფო მხარდაჭერის სანაცვლოდ, მმართველ პარტიას მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევდნენ.

არსებული ლიტერატურის საკმაოდ მწირი ნაწილი შეეხება საქართველოში ჩატარებული არჩევნების შედეგების კვლევას. ნელსონის და ამონაშვილის სტატიაში (Nelson & Amonashvili, 1992) ავტორები აანალიზებენ 1990 წელს, უზენაესი საბჭოს არჩევნებამდე საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს. ისინი ამბობენ, რომ რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის დამოუკიდებლობის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. ამასთან, პოულობენ მნიშვნელოვან განსხვავებას ,,მრგვალი მაგიდის'' და ,,კომუნისტური პარტიის'' ამომრჩევლებს შორის, განსაკუთრებით - ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე. გამოიკვეთა სხვაობა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით - 50 წელზე ახალგაზრდა ასაკის რესპონდენტები უფრო დადებითად არიან ამ მოვლენისადმი განწყობილი.

გასაგები მიზეზების გამო, 1990-დან 2008 წლამდე საქართველოში ჩატარებული არჩევნები სამეცნიერო საზოგადოების ჯეროვან ყურადღებას ვერ იმსახურებდნენ. შედარებით მეტი ინტერესი გამოიწვია 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებმა, რომლებიც მეტი კონკურენტუნარიანობით გამოირჩეოდა. სქოფილდი და სხვები (Schofield, Jeon, Muskhelishvili, Ozdemir, and Tavits (2011), Schofield, Gallego, Jeon, and Muskhelishvili (2012)) მიმოიხილავენ რამდენიმე პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ჩატარებულ არჩევნებს და ადგენენ ამომრჩეველთა ქცევის სტატისტიკურ მოდელს. საქართველოს შესახებ ისინი ასკვნიან, რომ აქ მცირე პოლიტიკურ ჯგუფებს შეუძლიათ არსებობა, თუმცა მედიაზე მათი შეზღუდული წვდომის გამო, მათი გაერთიანება შეუძლებელია.

ნილსონის და კორნელის მიერ შესრულებული კვლევა (Nilsson & Cornell, 2008) მიმოიხილავს 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებს და მოცემულ პერიოდში განვითარებულ მოვლენებს. ავტორები ამტკიცებენ, რომ რამდენიმე წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილების მიუხედავად, საარჩევნო რეფორმა გატარდა და იგი შეიძლება შევაფასოთ,

როგორც დემოკრატიულობის თვალსაზრისით წინ გადადგმული ნაბიჯი. თუმცა, არსებულ პრობლემებს შორის აღსანიშნავია ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება და კამპანიის დროს ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლების შევიწროება. ავტორები ასკვნიან, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესების გამო ქვეყანა ატარებს არასაბჭოთა ნიშან-თვისებებს, თუმცა განსაკუთრებით ბიუროკრატიის მხრივ, არსებობს რაღაც გადმონაშთები. მათი აზრით, დემოკრატიის კონსოლიდირება ჯერჯერობით რთულია, რახან მთავრობას და ოპოზიციას შორის ღრმა პოლარიზაცია და ანტიპათია სუფევს. ამასთან, გასათვალისწინებელია მნიშვნელოვანი საგარეო გამოწვევები.

შედარებით მეტი ყურადღება ეთმობა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს და მასში ხმის მიცემის თავისებურებებს. ალექსი გუგუშვილი (Gugushvili, 2012) განიხილავს კავშირს მატერიალურ დეპრივაციასა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს შორის. იმ ოლქებში, სადაც დეპრივაციის დონე ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი გახლდათ, კოალიცია ,,ქართული ოცნება'' იმარჯვებდა, ხოლო საშუალო მაჩვენებლების მქონე ოლქებში კი - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' . ავტორი ამტკიცებს, რომ დეპრივაცია შესაძლოა, არ იყოს შედეგების გამომწვევი მთავარი ფაქტორი. იგი ხაზს უსვამს სხვა მიზეზების, მაგალითად, ინფორმირების, რეგიონული ეფექტების და ა. შ. არსებობას, რომლებიც შესაძლოა, ხმის მიცემის თავისებურებებზე ახდენდნენ გავლენას. შონ მიულერი (Mueller, 2013) გამოთქვამს მოსაზრებას, რომ არჩევნების შედეგების მიუხედავად, შესაძლოა, გაიზარდოს ზეწოლა აწ უკვე ოპოზიციური ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' პარლამენტარებზე. ამასთან, ავტორი იმასაც შიშობს, რომ ძალაუფლების ერთი პოლიტიკური ჯგუფის ხელში მოქცევის ადგილობრივი პოლიტიკური კულტურა ახალ მთავრობას რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისკენ უბიძგებს. მიულერი თვლის, რომ საპარლამენტო არჩევნები ნაკლებად გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს, თუმცა, არსებობს შანსი, საქართველო ნახევრად დემოკრატულიდან დემოკრატიულ ქვეყნად იქცეს, რაც რეგიონის ანალოგიური პრობლემე-

ბის მქონე ქვეყნებისთვის მოდელად სახელმძღვანელოდ შესაძლოა იქცეს.

საქართველოში დემოკრატიის და სახელმწიფოს მშენებლობის საკითხი არაერთი კვლევის მიზანს წარმოადგენს. აფრასიძე და სიროკი (Aprasidze & Siroky, 2010)) აღნიშნავენ, რომ არამარტო სწრაფი, არამედ - დაყოვნებული ტრანსფორმაციის პროცესი პოლიტიკურ არასტაბილურობას უწყობს ხელს. საქართველოში ტრანსფორმაციის პირველი ეტაპი დაკავშირებული იყო დამოუკიდებლობის მოპოვებასთან, ხოლო მეორე - ვარდების რევოლუციასთან. ავტორები აჩვენებენ, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკური კონფლიქტი და არასტაბილურობა ინსტიტუციების და ნაციონალიზმის ურთიერთდამოკიდებულებას უსვამს ხაზს. პირველი ტალღის დემოკრატიზაციას თან ნაციონალიზმის და ეთნიკური კონფლიქტების შემოტევა მოყვა. ვარდების რევოლუციის შემდეგ, მმართველმა ელიტამ გაამყარა ადმინისტრაციული ინსტიტუტები, თუმცა ვერ შეძლო არჩევითი ინსტიტუციების გაძლიერება, რამაც პოლიტიკური ოპოზიციის მარგინალიზება გამოიწვია. თუმცა, მეტნაკლებად ჩამოყალიბებული საზღვრების და მუშა ადმინისტრაციული ინსტიტუტების არსებობა საფუძველს ქმნის მტკიცე არჩევითი დემოკრატიული ინსტიტუტების და შემდეგი სტაბილური განვითარებისთვის.

გალინას (Gallina, 2010) სტატია შეეხება სომხეთსა და საქართველოში სახელმწიფოს ტრანსფორმაციას და განიხლავს პოლიტიკური ელიტების როლს ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარების საქმეში. მისი აზრით, ორივე ქვეყანაში პოლიტიკური ელიტა პოპულისტურია და ნაციონალისტურ სლოგანებს ეყრდნობა. ელიტების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ ინტერესებში არ შედის კონფლიქტების მოგვარება, გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ არის გამჭვირვალე და ძალიან პერსონიფიცირებულია. ორივე ქვეყანაში პოლიტიკური სისტემა პოლარიზებულია და ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის საკმაოდ დიდი უფსკრული არსებობს.

ხუციშვილი (Khutsishvili, 2009) თავის სტატიაში მიმოიხილავს ვარდების რევოლუციის შემდგომ ძალაუფლების უჩვეულო განაწილების სისტემას. იგი ამტკიცებს, რომ მოცემულ პერიოდში მცდელობა იყო, დამყარებულიყო ე. წ. ხავერდოვანი ავტორიტა-

რიზმი, სადაც სტაგნაციური სტაბილიზაცია შენარჩუნებული იყო გარე საფრთხის - რუსეთის წინააღმდეგ დარაზმვით. ავტორი ხაზს უსვამს, რომ ამგვარი პოლიტიკის და რუსეთის ორბიტიდან გამოსვლის სურვილის მიუხედავად, სულ უფრო და უფრო მეტი სტრატეგიული ობიექტი გადადის რუსული კომპანიების მმართველობის ქვეშ. სახელმწიფო ფართოდ ნერგავს მიდგომას, რომ ლოიალური მოქალაქე არ უნდა აკრიტიკებდეს მთავრობის პოლიტიკას და სიმდიდრე გაზიარებული უნდა იყოს და არა - გამოყენებული პოლიტიკური მიზნებისთვის. საბოლოო ჯამში, ქართული დემოკრატია უფრო იმიტაციურ ან ფასადურ ხასიათს ატარებს.

აფრასიძის აზრით (Aprasidze, 2004), ,,ვარდების რევოლუცია'' საქართველოსთვის ტრანსფორმაციის მეორე მცდელობას წარმოადგენდა. ამ პროცესისთვის მთავარი გამოწვევა ცუდი ეკონომიკური მდგომარეობაა, რასაც მხოლოდ კორუფციის აღმოფხვრა უშველის. მოსაწესრიგებელია სამართლებრივი, სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურები. ამასთან, არსებობს მოლოდინი, რომ ქართული პატრიმონიული საზოგადოება არ შეცვლილა, უფრო მეტიც - ერთი ელიტის მეორით ჩანაცვლებას უფრო ,,პატრონის შეცვლა'' უნდა ვუწოდოთ.

ტატუმი (Tatum, 2009) თავის სტატიაში ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს მთავრობის წინაშე მდგარ გამოწვევებს მიმოიხილავს. მისი აზრით, პოსტსაბჭოთა ლიდერებისგან საკუთარი თავის გამოსარჩევად, მ. სააკაშვილმა და ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ'' დემოკრატიის და ტრანსფორმაციის სასარგებლოდ უნდა გააკეთონ არჩევანი. შიდა გამოწვევები, რომლებიც გამოიხატება მოსახლეობისგან დაშორებით, ოპოზიციის ფრაგმენტაციით და დიდი ძალაუფლების მქონე აღმასრულებელი ხელისუფლებით, კვლავ დღის წესრიგშია. გამოსავლის სახით, ავტორი გვთავაზობს ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებას, რაც მეტ პოლიტიკურ ჩართვას და მედიის თავისუფლებას უზრუნველყოფს. საგარეო ზეწოლიდან ავტორი მოიხსენიებს 2008 წლის აგვისტოს ომს, რაც 2009 წლის საპროტესტო მოძრაობებთან ერთად მმართველის ლეგიტიმურობის საკითხს ეჭვქვეშ აყენებს. იგი თვლის, რომ ქართული დემოკრატი-

ისთვის საუკეთესო რამ რაც შეიძლება მოხდეს, არის ძლიერი პოლიტიკური ლიდერის გამოჩენა, რომელიც კონსოლიდირებულ პოლიტიკურ ჯგუფს გაუძღვება და დემოკრატიული გზით შეცვლის არსებულ ხელისუფლებას.

საყურადღებოა ლაზარუსის ანალიზი საქართველოში საერთაშორისო დახმარების განაწილების შესახებ (Lazarus, 2010). ავტორი ნეოლიბერალიზმის შესახებ კრიტიკული მიდგომებიდან გამოდის და ასკვნის, რომ დასავლეთის მხრიდან დემოკრატიის ხელშეწყობა უპრინციპო გახლავთ. მისი აზრით, საერთაშორისო დახმარების გავრცელება დემოკრატიზაციის ე. წ. ზემოდან ქვემოთ დამკვიდრებას გულისხმობს და ამაში საერთაშორისო აგენტებს/აქტორებს ანალოგიურად განწყობილი ადგილობრივი ტექნოკრატები უწყობენ ხელს. აღნიშნული კი ძალაუფლების კონცენტრაციას და დემოკრატიზაციისათვის ხელის შეშლას გულისხმობს. თეორიულად, მსგავსი რეფორმები მიზნად სახელმწიფოს მშენებლობას, ეკონომიკურ რეფორმებს და დემოკრატიისთვის ხელის შეწყობას ისახავენ, თუმცა საბოლოო ჯამში, ისინი იწვევენ ეკონომიკურ უთანასწორობას და სიღარიბესაც კი. ავტორი თვლის, რომ მსგავსი ტიპის დამოკიდებულება სახელს უტეხს დასავლურ დემოკრატიას. მას მოყავს ივან კრასტევის აზრი იმის შესახებ, რომ მსგავსი ქმედებებითაა გამოწვეული პოსტკომუნისტურ სამყაროში ლიბერალური ერის დასასრული და ასევე ის, რომ ლათინურ ქვეყნებში თანასწორობაზე და ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობები აღწევენ წარმატებას.

თავიანთ კიდევ ერთ სტატიაში, სიროკი და აფრასიძე (Siroky & Aprasidze, 2011) აღნიშნავენ დემოკრატიზაციისა და პოლიტიკური არასტაბილურობის ურთიერთკავშირს. მათი აზრით, სწრაფი პოლიტიკური ემანსიპაცია, ნაციონალიზმის სხვადასხვა ფორმა და მწირი ინსტიტუციური ჩარჩოები არასტაბილური პოლიტიკური განვითარებისთვის კარგი ნიადაგია. პოლიტიკური გადასვლის პირველმა ეტაპმა 1990-იანი წლების დასაწყისში გამოიწვია პოლიტიკური ემანსიპაცია. აღნიშნულმა მოვლენებმა ბიძგი მისცეს სახელმწიფოს დამშლელი ნაციონალიზმის წარმოშობას, რაც გამოიხატა კიდეც ეთ-

ნიკურ კონფლიქტებში. ინსტიტუციური ჩარჩოების არარსებობის პირობებში, მმართველმა ელიტამ ვერ შეძლო ცენტრიდანული ძალების მოთოკვა, რასაც ეთნო-პოლიტიკური და სამოქალაქო ომები მოყვა. მეორე ტრანსფორმაციისას, სახელმწიფო ინსტიტუტების სიმტკიცემ წარმომადგენლობითი დემოკრატიის შესუსტება გამოიწვია, რასაც საბოლოო ჯამში, ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფების მარგინალიზაცია მოყვა.

უითლის და ციურჰერის სტატია ერთმანეთთან ადარებს სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში არსებული რეჟიმების კონსოლიდაციის პროცესს (Wheatley & Zürcher, 2008). მათ მოყავთ ლევიცკის და უეის იდეა ავტორიტარული რეჟიმების შესახებ. მართალია, საერთაშორისო თანამეგობრობის გავლენით აქ გარკვეული ტიპის დემოკრატიული ტრადიციები მკვიდრდებოდა, თუმცა რეალური ცვლილებები მაინც არ არის სახეზე. ავტორები თვლიან, რამდენიმე მიზეზის გამო, კავკასიის ეს ქვეყნები კიდევ დიდხანს იქნებიან ჰიბრიდული რეჟიმები. პატრონაჟის სისტემის არსებობა ელიტაში, ოპოზიციის სისუსტე, რუსეთის როლი და ევროპული ალტერნატივის დაკნინება მათ განვითარების დემოკრატიული მოდელისკენ არ უბიძგებთ.

გიორგი ხელაშვილი (Khelashvili, 2010) მიმოიხილავს ობამას ადმინისტრაციის როლს საქართველოში დემოკრატიის ხელშეწყობის საქმეში. მისი აზრით, ახალ ამერიკულ ადმინისტრაციას რეგიონში ჩამოყალიბებული ხედვა არ გააჩნია, რასაც შესაძლოა, საქართველოში დემოკრატიული სტანდარტების დარღვევა მოყვეს.

ლინკოლნ მითჩელის (Mitchell, 2006) სტატიაში აღწერილი და განხილულია მოცემული პერიოდისთვის საქართველოს დემოკრატიზაციის წინაშე მდგარი პრობლემები. აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხარდაჭერის შედეგად, ქვეყანამ დიდი რაოდენობით ფინანსური და ინსტიტუციური დახმარება მიიღო, თუმცა ამან ნაკლებად იმოქმედა დემოკრატიული განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ პრივატულ საუბრებში ამერიკელი ჩინოსნები ყოველთვის მიუთითებდნენ არსებულ პრობლემებზე, მათი ღია საერთო შეფასება მაინც დადებითი რჩებოდა. ავტორის აზრით, ბილატერალური დახმარების მთავარ ამოცანად და გამოწვევად რჩება ის, რომ

ქართული დემოკრატიისადმი ხელშეწყობამ მისი კონსოლიდაცია გამოიწვიოს. აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება და კრიტიკული მედიის ჩამოყალიბება ამ დახმარების მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენენ

ნოდია და თევზაძე (Nodia & Tevzadze, 2003) აფასებენ დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდიდან ვარდების რევოლუციამდე პერიოდს და მიმოიხილავენ საქართველოში არსებულ სისტემებსა და სტრუქტურებს. მათი აზრით, საბჭოთა პერიოდის ინსტიტუტები და ღირებულებები ჯერაც მნიშვნელოვანია. ამასთან, მთავრობა მხოლოდ გარეგნულად ცდილობს, დანერგოს ახალი მიდგომები და თამაშის წესები, ისინი ასევე ხაზს უსვამენ საზოგადოების პასიურ როლს ქვეყნის განვითარების საქმეში.

ჩარლზ ფეირბენქსი (Fairbanks, 2010) მიმოიხილავს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და პარალელს ავლებს არსებულ ვითარების გამომწვევ მიზეზებსა და საბჭოთა მემკვიდრეობას შორის. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ იდეოლოგიური თვალსაზრისით, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' კომუნისტური პარტიის მხოლოდ აჩრდილს წარმოადგენს, ასევე ნომინალურად თავისუფალი ბაზრის და დასავლური იდეალების პროპაგანდას ეწევა, მისი მმართველობის სტილი ნაწილობრივ საბჭოთა წარსულისგან ნასესხებს ჰგავს. ავტორს მაგალითებად მოყავს ძალაუფლების კონსოლიდაცია ერთი პიროვნების ხელში, მისი აზრით, მართალია, სააკაშვილმა აღკვეთა ცალკეული ადამიანების პირად ცხოვრებაზე სახელმწიფო კონტროლი, თუმცა თითქმის არავის შეუძლია რეალური პოლიტიკური ოპოზიციის გაწევა. მსგავსი მიდგომის კიდევ ერთი მაგალითია 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. განსაკუთრებით საპრეზიდენტო არჩევნებს, ავტორის აზრით, გაყალბების გარეშე არ ჩაუვლია, რაზეც აქტივობასა და სახელისუფლებო კანდიდატის ხმებს შორის მაღალი კორელაციაც მიუთითებს. ოპოზიციაზე თავდასხმა და მისი ყველა გზით დასუსტება საბჭოთა მიდგომების აღორძინების მცდელობას წააგავს. როგორც ავტორი აცხადებს, პოსტსაბჭოთა სივრცესა და საქართველოში დემოკრატიისთვის ხელისშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენენ ძალაუფლების მეშვეობით სიმდიდრის მოხვეჭა, კანონის უზენაესობის არარ-

სებობა და მოქალაქეთა პასიურობა. მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეთა მდგომარეობა, როცა ისინი თავს დაუცველად და პოლიტიკისგან დისტანცირებულად გრძნობენ, მათი პასუხისმგებლობის გრძნობით მოქმედებას ხელს უშლის.

"ვარდების რევოლუცია" უთუოდ იყო საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული მოვლენა, რომელმაც ქვეყნის შემდგომი განვითარების პროცესზე უდიდესი გავლენა მოახდინა. მას საკმაოდ დიდი ყურადღება დაეთმო სამეცნიერო წრეებში და განიხილებოდა როგორც გლობალურ, ასევე - პოსტსაბჭოთა სივრცის კონტექსტში.

ჩარლზ ფეირბენქსი (Fairbanks, 2004) მიმოიხილავს ვარდების რევოლუციის გამომწვევ საკითხებს და მსგავსი ტიპის რევოლუციების გავრცელების შესაძლებლობებს. მისი აზრით, შევარდნაძის ეპოქის დროს არსებულმა სტაგნაციამ ქართველების მოთმინების ფიალა აავსო. ისინი შევარდნაძეს წლების განმავლობაში უჭერდნენ მხარს, თუმცა ამ პოლიტიკოსმა პრობლემების მოგვარება ვერ შეძლო. მსგავსი სიტუაციის შექმნას დასავლურ მთავრობებში ე. წ. გარდამავალი პარადიგმის - პოსტსაბჭოთა ავტორიტარული მართვის ფორმის გამართლების არსებობა უწყობდა. პოსტკომუნისტური გადასვლის პერიოდში ხალხს არ ჰქონდა და ვერ განავითარა თვითდახმარების და თვითმმართველობის საშუალებები, ისინი ჩავარდნენ აპათიაში და მმართველებს დემოკრატიული ინსტიტუტებით მანიპულირების საშუალებას აძლევდნენ. მსგავს სიტუაციაში რევოლუციური ცვლილებები გარდაუვალია, თუმცა ავტორი ამტკიცებს, რომ ვარდების რევოლუციას ილუზიების გარეშე უნდა მოვეპყრათ, რადგან შევარდნაძის მსუბუქად ავტორიტარული რეჟიმის ანალოგიური მმართველობა პოსტკომუნისტურ სივრცეში ძალიან იშვიათია, შესაბამისად, ისინი რთულად დათანხმდებიან უსისხლო გადატრიალებას და სავარაუდოდ, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ძალასაც გამოიყენებენ.

ჯავადი (Jawad, 2005) ,,ვარდების რევოლუციას" მიმოიხილავს, როგორც დასავლეთის სამყაროს საგარეო პოლიტიკის ნაყოფს. მისი აზრით, ცივი ომის დასასრულის შემდგომ მრავალი დასავლური ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ მიმართულებაში დემოკრატიისადმი ხელშეწყობამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. საქართველოს მაგალითზე

მნიშვნელოვანი იმედები არსებობდა რეალური ცვლილებების განხორციელების შესახებ. ავტორი აფასებს, რამდენად მოახერხებს ვარდების რევოლუციის შედეგად მოსული მთავრობა რეფორმების გატარებას. მისი აზრით, საქართველოს დემოკრატიზაციის პირობები საკმაოდ რთულია. გაყინული კონფლიქტები, ენდემური კორუფცია და სისტემური კლიენტალიზმი, ასევე საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი სამართლებრივი მექანიზმების არარსებობა არასტაბილურ პოლიტიკურ სისტემას წარმოშობს. სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველო კლასიკურ განვითარებად ქვეყანას წარმოადგენს, სამოქალაქო საზოგადოება არაა მედიატორი სოციუმსა და სახელმწიფოს შორის, ხოლო გეოსტრატეგიული მდგომარეობიდან გამომდინარე, ქვეყანა იძულებულია, დააბალანსოს რუსეთის, აშშ-ის და ევროპის ინტერესები.

თავის ადრეულ სტატიაში ლინკოლნ მითჩელი (Mitchell, 2004) აღწერს და ხსნის ,,ვარდების რევოლუციის'' გამომწვევ მიზეზებს. მისი აზრით, ,,ვარდების რევოლუცია'' წარმატებას არამარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოს დემოკრატიისთვის წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ედუარდ შევარდნაძეს ცივი ომის დასრულებაში დიდი წვლილი მიუძღოდა და დასავლეთში კარგ დიპლომატად განიხილებოდა, საქართველოში მას, როგორც ცუდ მმართველს, ისე ხედავდნენ. ქორი ველთი განსაკუთრებულ ყურადღებას რევოლუციის ინსტიტუციურ და საზოგადოებრივ მიზეზებს უთმობს (Welt, 2006). ერთის მხრივ, არსებული რეჟიმი მოწყვლადი გახლდათ საარჩევნო დამარცხების თუ ზეწოლისადმი, რახან მას მოგების არანაირი შანსი არ ჰქონდა. ამასთან, ედუარდ შევარდნაძემ ვერ დაარწმუნა პოლიტიკური ელიტები და უშიშროების ორგანოები, ძალა გამოეყენებინათ მშვიდობიანი პროტესტის მონაწილეების მიმართ. ავტორი გამოდის კოლექტიური მოქმედების თეორიიდან და თვლის, რომ საზოგადოებრივი მიზეზებიდან აღსანიშნავი ახალგაზრდული მოძრაობები და მათთან დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციები გახლდათ. საბოლოო ჯამში, საარჩევნო გარღვევა საქართველოში მოხერხდა, სხვა მეზობელ ქვეყნებში კი - არა.

რევოლუციის შემდგომი პერიოდის მიმოხილვისას რამდენიმე ავტორი აღნიშნავს

რამდენიმე შესაძლო წინააღმდეგობას, ასევე უკვე გატარებულ არასწორ და წარუმატებელ პოლიტიკას. სტივენ ჯონსი (Jones, 2006) აღწერს, თუ რა მიღწევები ჰქონდა საქართველოს ,,ვარდების რევოლუციის'' მომდევნო ორი წლის მანძილზე. განხორციელებულ რეფორმებს შორის მოხსენიებულია კორუფციასთან ბრძოლა და მისი პირველი შედეგები, მთლიანი შიდა პროდუქტის მომატებული მოცულობა, სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფა, ხელფასებისა და პენსიების საგრძნობი ზრდა. თუმცა არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებიც შეშფოთების საგანს წარმოადგენს. საქართველოს დიდი ძალაუფლების პრეზიდენტი ყავს, არ არსებობს ეფექტური საპარლამენტო ოპოზიცია, სამოქალაქო სექტორი საკმაოდ დასუსტებულია მისი წევრების მთავრობაში გადანაცვლებით, ამასთან სასამართლო ხელისუფლება მნიშვნელოვან ზეგავლენას განიცდის პრეზიდენტის მხრიდან, საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა და მედიის სახელმწიფო ზეწოლისგან გათავისუფლება. ავტორი აცხადებს, რომ მოცემულ ეტაპზე სახელმწიფოებრიობის მშენებლობის საკითხი პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფოს უფლებების შეზღუდვას. მოდერნიზაციის და განახლების პარადიგმა თანდათან ავიწროებს ღიაობის და მონაწილეობის საკითხებს.

გარკვეული ტიპის ალარმისტული განწყობაა ნოდიას სტატიაში (Nodia & Scholtbach, 2006). იგი აღნიშნავს, რომ ,,ვარდების რევოლუციის'' შემოქმედთა სწრაფი მოდერნიზაციის პოლიტიკა, რომელიც თავისთავად მოიცავს კულტურულ რევოლუციას, სუსტი სამოქალაქო საზოგადოების და პოლიტიკური ოპოზიციის, კონტრბალანსის შემძლე სოციალური აქტორების არარსებობის პირობებში ავტორიტარიზმის საფრთხეს ბადებს. კონსოლიდებული დემოკრატია მოიცავს ძალაუფლების დაყოფას და შტოებს შორის დაბალანსებულ ურთიერთობებს. საქართველოში არ არსებობს ძლიერი ძალა, რომელიც მეტნაკლებად წინ აღუდგება ხელისუფლების ავტორიტარულ მიდრეკილებებს, თუმცა უკვე არსებობს ავტოკრატიული მთავრობისადმი საწინააღმდეგო კოლექტიური მობილიზაციის გამოცდილება.

ამ პერიოდის მოვლენების განსაკუთრებული კრიტიკა გამოთქმული აქვს ვლადი-

მერ პაპავას. იგი თვლის, რომ საწყის ეტაპზე ვარდების რევოლუცია დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვან იმედებს აჩენდა, თუმცა მოცემულ პერიოდში მთავრობის ქმედებები ავტორიტარული და დემოკრატიული პოლიტიკის ნაზავს წარმოადგენს (Papava, 2006). იგი ერთმანეთთან ადარებს რევოლუციამდელ და მის შემდგომ სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკას. პირველი ეპოქისთვის დამახასიათებელი იყო ეკონომიკური საკითხების სრული უგულებელყოფა, რეფორმების არასრული პროცესი და ენდემური კორუფცია, მაშინ, როდესაც პოსტრევოლუციურ ეპოქაში ეკონომიკისადმი ყურადღება გაძლიერდა. თუმცა, საბოლოო ჯამში, არადემოკრატიული მიდგომების გამოყენებამ სასურველი შედეგები ვერ გამოიღო. მოგვიანებით, ავტორი წერდა, რომ ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომები საკმარისი კრიტიკის ობიექტი არ ყოფილა (Papava, 2009). იგი მიუთითებს, რომ დასავლეთში არსებობს დემოკრატიის ორი სტანდარტი და მას აკრიტიკებს ზომების არგატარების გამო. ავტორის აზრით, ქვეყნისთვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ხელისუფლების მიერ რუსული მოდელის ,,სუვერენული'' ან ,,კონტროლირებადი'' დემოკრატიის მოდელის დანერგვის მცდელობა, რათა საკუთარი ავტორიტარული მმართველობის სახე დამალოს.

ჩარლზ ფეირბენქსი, აჯამებს რა ,,ფერადი რევოლუციების'' ბედს გარდამავალ პერიოდში (Fairbanks, 2007), ამტკიცებს, რომ ყველა შემთხვევაში, ხელისუფლების სათავეში მოსული პოლიტიკური ჯგუფი მის მიერ ჩანაცვლებულს გარკვეული ხნის წინ გამოეყო. ამასთან, ყველა პოსტკომუნისტურმა მმართველმა დემოკრატიაზე გადასვლისას გარკვეული ნაბიჯები გადადგა. მისი აზრით, მსგავსმა რევოლუციებმა, ადამიანებში გააჩინეს განცდა, რომ ,,უარესი არ მოხდებოდა'' და ძველი რეჟიმი ვეღარ დაბრუნდებოდა. რევოლუციის, როგორც მეტნაკლებად დადებითი მოვლენის შესახებ აზრს ეთანხმება ლინქოლნ მითჩელიც (Mitchell, 2008). იგი აღნიშნავს, რომ მიუხედავად 2007 წლის ნოემბერში განვითარებული მოვლენებისა, ვარდების რევოლუცია წარმატებად შეიძლება შეფასდეს. სახელმწიფო უფრო ძლიერია, ვიდრე საქართველოს არსებობის რომელიმე

ეტაპზე, თუმცა მთავრობამ ვერ შეძლო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ხოლო უფრო ძლიერი და დამოუკიდებელი ქვეყნის ნიშნება კიდევ უფრო გააღიზიანა რუსეთი, რომელსაც საკუთარ სამხრეთ საზღვრებთან ძლიერი მეზობლის ყოფნა აღიზიანებს. საბოლოო ჯამში, საქართველო ყალიბდება ძლიერ, მაგრამ არც ისე დემოკრატიულ სახელმწიფოდ, რომელიც მთლად არ ამართლებს დემოკრატიულობის იმ ილუზიებს, რომელიც შექმნილი იყო 2003 წლის მოვლენების შემდეგ.

პოსტრევოლუციური პერიოდის კარგ შეჯამებას წარმოადგენს თომ დე ვაალის ნაშრომი (De Waal, 2011), სადაც იგი მიმოიხილავს 2003 წლის შემდგომ პერიოდში საქართველოში მომხდარ ცვლილებებს. მოსულმა ახალმა მთავრობამ, რომელმაც ერთმანეთს უნარ-ჩვევები, იღბალი, კარგი „პი-არი" და დასავლელი მეგობრების მხარდაჭერა შეუხამა, მალევე მიაღწია თვალსაჩინო შედეგებს, თუმცა ამას სახელმწიფო ინსტიტუტების და განსაკუთრებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გაძლიერება მოყვა. ეკონომიკური კრიზისის შედეგად სიღარიბეში მყოფი ადამიანების რაოდენობა გაიზარდა, თუმცა ავტორის აზრით, ამ მოვლენას პოლიტიკურ პრიზმაში გადასვლის ნაკლები შანსი აქვს, რადგან საქართველოში ეკონომიკური პროტესტის (და ხმის მიცემის) გამოცდილება არ არსებობს. ავტორი მიმოიხილავს ქვეყნის ეკონომიკური ორიენტაციის რამდენიმე მოდელს და ასკვნის, რომ ყველაზე მისაღები ევროპული მოდელია, რომელიც გარდა ეკონომიკურისა, გეოსტრატეგიულ ასპექტებსაც შეიცავს, თუმცა მსგავსი დონის მიღწევისთვის ბევრი შრომის ჩადებაა საჭირო.

ქვეყნის ზოგადი პოლიტიკური ცხოვრება რამდენიმე მნიშვნელოვანი სტატიის თემა გახლავთ. უერჩი (Wertsch, 2006) მიმოიხილავს 2003 წლის შემდგომ პერიოდში საქართველოში ჩატარებულ რეფორმებს და განხორციელებულ ცვლილებებს. იგი თვლის რამდენიმე უარყოფით მხარეს, რომელიც საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე ეღობება. ჯერჯერობით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დაპირება ვერ სრულდება, ამასთან ეკონომიკური ზრდა ქვეყნის მოსახლეობის საგრძნობ ნაწილზე არ აისახება. ავტორის აზრით, მმართველობის ცენტრალიზებული სისტემა, რომე-

ლიც ვარდების რევოლუციის პირველი პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი, შესაცვლელია და ძალაუფლების გადანაწილება უნდა მოხდეს. მეორეს მხრივ, ქვეყნის სტაბილური განვითარებისთვის კიდევ ერთ გამოწვევას პოლიტიკური პლურალიზმი წარმოადგენს. მისი აზრით, პოლიტიკურ დებატებში ყველა პოლიტიკური ჯგუფი უნდა იყოს ჩართული.

ლანსკოის და არეშიძის (Lanskoy & Areshidze, 2008) სტატიაში მიმოხილულია 2007-2008 წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენები, მათი შედეგები და გამომწვევი მიზეზები. ავტორების ანალიზი ღრმად მიდის 1990-იანი წლების პოლიტიკაში და ხაზს უსვამს ერთის მხრივ, შევარდნაძის ეპოქაში არსებულ გარკვეულ თავისუფლებებს ბიზნესში, მედიაში, სამოქალაქო სექტორში, ასევე პოლიტიკური სპექტრის სიძლიერეს და მეორეს მხრივ, სახელმწიფოს უსუსურობას, შეექმნა მუშა ინსტიტუტები. ისინი თვლიან, რომ 2003 წლისთვის საქართველოს ნამდვილად ჰქონდა შანსი, გამხდარიყო დემოკრატიული ქვეყანა. თუმცა ვარდების რევოლუციის შემდეგ, სახელმწიფოებრივი მშენებლობის პარადიგმამ დემოკრატიზაცია მეტწილად გადაწონა. სააკაშვილის მთავრობამ მოახერხა, გაეადვილებინა საჯარო სიკეთეებზე ადამიანების წვდომა, მოეწესრიგებინა ელექტროენერგეტიკა, გზები, განეხორციელებინა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. რეფორმები განხორციელდა ბიზნესის სფეროში, განათლებაში.

ავტორების მიმოხილვის საგანს წარმოადგენს სამართლებრივი და საარჩევნო ცვლილებები, რომლებმაც უზრუნველყვეს ქვეყანაში დომინანტი პარტიების არსებობა, აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე და ა. შ. საარჩევნო წესების მანიპულირებას მოყვა ის, რომ 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე თბილისის საკრებულოში ერთპარტიული მმართველობა შეიქმნა, ამასთან 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე აქცენტის მაჟორიტარებზე გაკეთებამ შექმნა შთაბეჭდილება, რომ ,,ნაციონალურ მოძრაობას'' პროპორციული ხმის მიცემის პროცესში ძალაუფლების დაკარგვის შეეშინდა. შესაბამისად, მმართველმა ძალამ დახმარებისთვის ადგილობრივ ელიტებს მიმართა, რომლებიც ყოველ-

თვის ხელისუფლების მხარდამჭერებად მოიაზრებოდნენ. სტატიაში წვრილადაა მიმოხილული 2007 წლის შემოდგომაზე მიმდინარე მოვლენები, სკანდალი ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებით, ნოემბრის აქციების დარბევა. ავტორები მიუთითებდნენ, რომ ,,გაერთიანებული ოპოზიციის'' ძირითად მოთხოვნებს პოლიტიკური ცვლილებები წარმოადგენდნენ, რომლებიც ,,ნაციონალური მოძრაობის'' ძალაუფლების განმტკიცების წინააღმდეგ იყო გამიზნული. ავტორების მიხედვით, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანობა გაყალბებების და ასევე მედიასთან და რესურსებთან არასაკმარისი წვდომის გამო, გარკვეულწილად ეჭვქვეშ დგება. საბოლოო ჯამში, ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ'' კავშირი დაკარგა საზოგადოების გარკვეულ წრეებთან და დაუფიქრებლად ეწეოდა პოლიტიკური სისტემით მანიპულაციას. აგვისტოს ომმა დროებით გააერთიანა პოლიტიკური ძალები. ავტორების აზრით, ამჟამად ქვეყნის სტაბილურობისთვის მთავარ საფრთხეს უშიშროება და რუსეთის სამხედრო აგრესია წარმოადგენს, თუმცა საარჩევნო სისტემის რეფორმირება სასიცოცხლო აუცილებლობაა, რათა მან ქვეყნის ყველა ფენის წარმომადგენლობა უზრუნველყოს.

აგვისტოს ომის მომდევნო პერიოდი საქართველოში მკვეთრად განსხვავებული პოლიტიკური განვითარებით გამოირჩეოდა. სვანტე კორნელი და ნიკლას ნილსონი აღწერენ (Cornell & Nilsson, 2009) 2008 წლის შემდეგ საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს. მათი აზრით, ომის როლის შეფასება პოლიტიკურ ცხოვრებაზე არაერთგვაროვანია. მთავრობის პოპულარობა გაიზარდა, მაგრამ ამას ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის რადიკალიზაცია მოყვა. საქართველოს არასაპარლამენტო ოპოზიციის ქუჩის პროტესტებისადმი სიყვარულს ქართველი ამომრჩევლის უმრავლესობა არ იზიარებდა. ამასთან ავტორები ხაზს უსვამენ პოლიტიკური კომპრომისის საჭიროებას, პოლიტიკური შეჯიბრის საპარლამენტო გზით გაძლიერების აუცილებლობას. ისინი ასევე მსჯელობენ, რამდენად შეძლებს სააკაშვილის მთავრობა 2007 წლის მოვლენების გამო დასავლეთის თვალში დემოკრატიული იმიჯის აღდგენას და როგორ გაატარებს დაპირებულ პოლიტიკურ და საარჩევნო რეფორმებს. მათი საბოლოო შეფასება

კონსტრუქციული და ოპტიმისტურია.

ქორი ველთი (Welt, 2009) განიხილავს აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდის საქართველოს პოლიტიკაში განვითარებულ მოვლენებს. მთავარი ამ შემთხვევაში არის ის, რომ ოპოზიციამ პრეზიდენტის გადადგომის შეუცვლელი მოთხოვნები წამოაყენა, ხოლო ,,ნაციონალურმა მოძრაობამ'' რეფორმების გატარებისას ისევ ,,ზემოდან ქვემოთ'' მიდგომა გამოიყენა. ავტორის აზრით, არასაპარლამენტო ოპოზიცია მნიშვნელოვანი სოციალური ჯგუფების წარმომადგენელია, ძირითადად თბილისში, შესაბამისად, იგი რეფორმების გატარების პროცესში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს სატელევიზიო მაუწყებლობა, რომელიც მთავრობის მნიშვნელოვანი ზეგავლენის ქვეშაა. ამასთან, გამოწვევად რჩება ძალოვანი სტრუქტურების და სასამართლო სისტემების რეფორმირება. ავტორი ასკვნის, რომ ქართული დემოკრატიზაციის პროცესი ნაკლებ ყურადღებას უთმობს პრობლემების გადაწყვეტას და უფრო მეტად კონცენტრირებულია, ყველა დაარწმუნოს საკუთარი გზის სისწორეში.

დაბოლოს, ერთ-ერთი საკვანძო ნაშრომი, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს შეეხება, გახლავთ ფეირბენქსის და გუგუშვილის სტატია (Fairbanks & Gugushvili, 2013). ავტორები განიხილავენ 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს და მის პოლიტიკურ შედეგებს. ისინი გამოთქვამენ მოსაზრებებს, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' დამარცხების ფაქტორები. ისინი აღნიშნავენ, რომ ამ რეფორმების წყალობით, ქართული სახელმწიფო გაცილებით ეფექტური გახდა, თუმცა ეს იმ დისკურსის გამო, რომ ქვეყანას არა საზოგადოების ცალკეული ფენების პოლიტიკური ინტერესების გამომხატველი პარტიები, არამედ - მოდერნიზატორები ჭირდებოდნენ. ამასთან, მმართველი გუნდი პოლიტიკური ოპონენტების სხვადასხვა გზით დასუსტებას ახორციელებდა, რასაც ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არსებული ელიტური კორუფცია და ხელოვნური მონოპოლიების შექმნა ერთვოდა. ავტორები ასევე აღნიშნავენ წინასაარჩევნო გამოკითხვების პრობლემატურობას, რადგან ხალხი არ იყო დარწმუნებული მათ სანდოობაში და ხშირად ,,არასწორ'' პასუხებს სცემდა. ავტორებს

უკავშირებენ ციხის ვიდეოების სკანდალს საბჭოთა ,,კომპრომატების'' მოვლენას, რაც მათი აზრით, ,,საჯაროობის'' და ხრუშჩოვის ,,დათბობის'' ეპოქისთვის იყო დამახასიათებელი. ისინი აანალიზებენ არჩევნების შემდგომ პერიოდს და ცდილობენ დასახონ სცენარები საქართველოს დემოკრატიული განვითარების ,,მეოთხე შანსისთვის'' . მათი აზრით, ,,ნაციონალურ მოძრაობას'' აქვს შანსი, წარმატებით მიიღოს მონაწილეობა სხვა არჩევნებში. სხვა კონკურენტული ავტორიტარული ქვეყნებისგან განსხვავებით, პარტიას აქვს იდეოლოგიური საფუძველი (მოდერნიზაცია) და მხარდამჭერთა ჩამოყალიბებული ჯგუფი. რაც შეეხება ,,კოალიცია ქართულ ოცნებას'', გამოთქმულია მოსაზრება, რომ მას მოუწევს ,,ნაციონალური მოძრაობის'' დატოვებულ პრობლემებზე პასუხის გაცემა, შესაძლოა, დაკარგოს პოპულარობა და შესაძლოა, ქონდეს მცდელობა, გამოიყენოს სახელმწიფო ძალაუფლება და ივანიშილის ფინანსური რესურსები.

საქართველოში არსებული ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მარგინალიზებულ და ნაკლებად წარმოდგენილ ნაწილს შეადგენენ. მათი თავისებურებების კვლევა რამდენიმე საინტერესო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს.

ჯული ჯორჯი (George, 2008) აღწერს ,,ვარდების რევოლუციის'' შემდგომ პერიოდში ეთნიკური უმცირესობების მიმართ გატარებული პოლიტიკას. მ. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისას, მისი ერთ-ერთი დაპირება გახლდათ პოლიტიკასთან ეთნიკური უმცირესობების უფრო მეტი წვდომის უზრუნველყოფა, თუმცა როგორც ჩანს, თავად რეფორმებმა გამოიღეს საპირისპირო შედეგი. საინტერესოა, რომ ანტიკორუფციულმა კამპანიამ მკვეთრად უარყოფითი გავლენა მოახდინა თავად უმცირესობებზე, რომლებიც დისკრიმინაციას განიცდიდნენ და სახელმწიფო ენაც არ იციან. სახელმწიფოს მშენებლობა საქართველოში ნიშნავს ძალაუფლების კონცენტრაციას, რეგიონებისთვის უფლებების შემცირებას და ლიდერების ცენტრთან დაახლოებას.

გოგსაძის, კაჭკაჭიშვილის და ბაშალეიშვილის (Gogsadze, Kachkachishvili, & Bashaleishvili, 2014) კვლევა ეხება ჯავახეთის რეგიონში ეთნიკური სომხური მოსახლეობის სამოქა-

ლაქო ინტეგრაციის პრობლემატიკას. ავტორები აღნიშნავენ, რომ საყოველთაო შეფასებით, ქართული კანონმდებლობა დისკრიმინაციის წინააღმდეგ არ არის ფუნქციური. მათი აზრით, უმცირესობების ინტეგრაციის მნიშვნელოვან საშუალებას ქართული ენის სწავლების გაღრმავება წარმოადგენს. ისინი ასევე აღნიშნავენ საინფორმაციო წყაროებზე ხელმისაწვდომობის როლს.

არსებობს გარკვეული დადებითი ძვრებიც - მეტრეველი და იაკობაშვილი (Metreveli & Yakobashvili, 2009) ამტკიცებენ, რომ ჯავახეთის ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისთვის გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯები არსებობს, თუმცა უფრო მეტია გასაკეთებელი. ავტორები ასევე აღნიშნავენ ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზის გასვლას, როგორც დადებით მოვლენას. გარდა ამისა, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებამ მეტი შესაძლებლობა მისცა ადგილობრივებს, დედაქალაქთან ქონოდათ კავშირი. რეგიონში მოქმედებენ ქართული ბანკები და მიმოქცევაშია სახელმწიფო ფულის ერთეული. ავტორების აზრით, საჭიროა უფრო მეტი დემოკრატიზაცია და უმცირესობების მეტი ჩართვა მართვის პროცესში.

ნილსონის და პოპიანევსკის (Nilsson & Popjanevski, 2009) აზრით, საქართველოს ეროვნული უმცირესობების მნიშვნელოვანი ნაწილი საკუთარ თავს სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროექტის ნაწილად ვერ გრძნობდა. ამჟამად მათი ქართული სახელმწიფოსადმი მიკუთვნებულობის პირობა ეთნიკური ქართველობა აღარ წარმოადგენს, თუმცა ენის, როგორც ეთნიკური მარკერის მნიშვნელობა ისევ დიდია. მთავრობამ უნდა შეიმუშავოს ამბიციური სტრატეგია, რომელიც მიუდგება როგორც ეთნიკურ უმცირესობებს, ასევე - უმრავლესობას და მათ დიალოგს უზრუნველყოფს.

ცოლინგერის და ბოჰსლერის კვლევა ეხება ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო ქცევას (Zollinger & Bochsler, 2012). ავტორების აზრით, ეთნიკური უმცირესობები ყოველთვის ნაკლებად არიან პოლიტიკურ დისკურსში წარმოდგენილები, რაც მუნიციპალიტეტების ეთნიკური სტრუქტურის და ასევე - საარჩევნო სისტემების ბრალია. ავტორებს გამოაქვთ რამდენიმე დასკვნა. კერძოდ, თუკი ეთნიკურ უმცირესობების წარმო-

მადგენლობა შეზღუდულია, ისინი ცდილობენ, ნაციონალური, ,,ცენტრალური'' პარტიების სიით მოიპოვონ ადგილები მმართველობის ორგანოებში. ამ შემთხვევაში, მცირე ზომის საარჩევნო ოლქები მათთვის უპირატესობას წარმოადგენს, რახან ისინი უფრო ჰომოგენურია. მეორეს მხრივ, ჰეგემონურ პარტიებში უმცირესობების წარმომადგენლობის დაბალი ხარისხი საარჩევნო კონკურენციის ნაკლებობის გამო ხდება. ავტორების აზრით, მსგავსი თავისებურებები მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი არაა და იგი მეტნაკლებად გვხვდება ეთნიკურად დაყოფილ ნახევრად დემოკრატიულ სახელმწიფოებში.

მარტინ პელკმანსის ნაშრომები შეეხება აჭარის მუსლიმი მოსახლეობის სოციოკულტურული და რელიგიური თავისებურების კვლევას. ადრინდელ ნაშრომში (Pelkmans, 2002) ავტორი მიმოიხილავს აჭარის მუსლიმი მოსახლეობის ასიმილაციის პროცესს და მას რელიგიურ ჭრილში წარმოადგენს. იგი ამტკიცებს, რომ მე-19 საუკუნეში, როდესაც აჭარა რუსეთის და ოსმალეთის იმპერიების დაპირისპირების ადგილს წარმოადგენდა, ადგილობრივი იდენტობა ძირითადად რელიგიას ეფუძნებოდა. როდესაც აჭარა საბჭოთა საქართველოს ნაწილად იქცა, ადგილობრივი ელიტა ასიმილირებული და ინტეგრირებული იქნა ქართულ საბჭოთა ელიტასთან, რომელიც მართალია, ,,ათეისტური'' იყო, თუმცა მართლმადიდებლურ ქრისტიანობას თანაუგრძნობდა. საბჭოთა პერიოდში, საჯარო დისკუსიის დომენიდან რელიგიურობის ამოვარდნამ ხელი შეუწყო აჭარის მუსლიმ ქართველებს, ყოფილიყვნენ ,,გარეთ ქართველები და შინ - მუსლიმები''. თუმცა ეროვნულ მოძრაობასთან დაკავშირებულმა სენტიმენტებმა, რომლებიც ,,ქართველობას'' ,,მართლმადიდებლურ'' დისკურსში აღწერდა, აჭარელებისთვის გარკვეული დილემა შექმნა. ქრისტიანობამიღებული საშუალო და მაღალი ფენის ინტეგრაციის დონე უფრო მაღალი იყო, შესაბამისად, ისლამი იქცა ,,დაჩაგრულების'' - კოლმეურნეების და მუშების რელიგიად. ავტორი ასკვნის, რომ აჭარაში ეროვნული, ეთნიკური და რელიგიური იდენტობა საზოგადოებრივი ცვლილებების პერიოდში ჩამოყალიბდა. უფრო მოგვიანებით დაწერილ ტექსტში (Pelkmans, 2005) ავტორი აღწერს ქრისტიანობა-

ზე მოქცევის ისტორიებს აჭარაში. იგი ამტკიცებს, რომ მოქცევა ნაწილობრივ განპირობებული იყო ,,თანამედროვე მომავლის'' დაპირებით. ახლადმოქცეულები ამტკიცებდნენ, რომ ამით ისინი ,,წარსულს'' და ,,ნამდვილ რწმენას'' დაუბრუნდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენამ საყოფაცხოვრებო ქსელების გაწყვეტა და კონფლიქტები გამოიწვია. საშუალო ფენისთვის, რომელიც საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა, ქრისტიანობა წარმოადგენდა საქალაქო ცხოვრების წესის უპირატესობის ხაზგასმას და ასევე იმედს, რომ აჭარა დაკარგავდა მის ,,ჩამორჩენილ'' სტატუსს. ქრისტიანიზაცია უკავშირდება ,,თანამედროვეობის'' სურვილს, ოღონდ - ღრმა წარსულთან კონცეპტუალური დაბრუნების პირობებში.

# 2 კვლევის მეთოდოლოგია

## 2.1 სივრცითი ანალიზი

საარჩევნო ქცევის კვლევისას საქმე ორი ტიპის მონაცემებთან გვაქვს. როგორც წესი, არჩევნების შედეგები თავისი ხასიათით ეკოლოგიურია, ე. ი. აგრეგირებულია გარკვეულ გეოგრაფიულ ერთეულზე (საარჩევნო უბანი, ოლქი, დასახლებული პუნქტი, ქვეყანა და ა. შ.). არსებობს ინდივიდუალური მონაცემები, რომლებიც მასობრივი გამოკითხვის, ან უფრო იშვიათად - რეგისტრირებული ამომრჩევლებისგან მოიპოვება. საარჩევნო-გეოგრაფიული კვლევისას როგორც წესი, ხელთ ეკოლოგიური მონაცემები გვაქვს. მათი კვლევითი ან ამხსნელი სტატისტიკური ანალიზისას, მკვლევარი ხშირად დგება ე. წ. ეკოლოგიური შეცდომის წინაშე, როდესაც რაოდენობრივ მოდელში მხედველობიდან გამორჩენილია მოვლენის შემადგენელი ინდივიდუალური თავისებურებები (Freedman (1999), Seligson (2002), Pearce (2000)). თუმცა ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ თავად ინდივიდუალური მონაცემებიც შესაძლოა, სცოდავდნენ მაკრომოვლენების გათვალისწინებისას, მაგალითად, როდესაც საქმე ეხება ე. წ. სოციოტროპული ხმის მიცემის შესწავლას (Johnson, Shively, and Stein (2002), Kramer (1983)).

როგორც ო'ლაფლინი აღნიშნავს (O' Loughlin, 2003), პოლიტიკურ გეოგრაფიაში სივრცითი ანალიზის როლი სულ უფრო იზრდება, რაც გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების (გის) ფართო დამკვიდრებასთან არის დაკავშირებული. პოლიტიკური პროცესების შესწავლისას მნიშვნელოვანი ყურადღება კონტექსტური ეფექტის როლს ეთმობა, რომელიც გეოგრაფიული თავისებურებებით გამოირჩევა და მისი აღმოჩენა გლობალური სტატისტიკური ანალიზით შეუძლებელია. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ გეოგრაფიული კვლევისთვის მნიშვნელოვანია არამარტო მტკიცებითი ხასიათის მონაცემთა ანალიზი (confirmatory statistics), არამედ არსებულ მონაცემებში ადგილობრივი ტენდენციების დანახვა (O' Loughlin, 2003, გვ. 37).

კვლევითი სივრცითი მონაცემების ანალიზი (Exploratory Spatial Data Analysis, შემ-

დგომში ESDA) გულისხმობს ,,მონაცემთა სივრცითი თავისებურებების შეჯამებას, მონაცემთა გეოგრაფიასთან დაკავშირებული ჰიპოთეზის ჩამოყალიბებას და იმ ქვესიმრავლეების გამოყოფას, რომლებიც რუკაზე მდებარეობის თვალსაზრისით უჩვეულოდ გამოიყურებიან'' (R. P. Haining, 2003, გვ. 182). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ESDA, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, არ წარმოადგენს ე. წ. მტკიცებით ანალიზს, არამედ მონაცემთა თავისებურებებს გამოავლენს და რაც მთავარია, მათი განაწილების გეოგრაფიულ თავისებურებებს როგორც ვიზუალური, ასევე სტატისტიკური მეთოდებით ცხადყოფს. ენსელინის აზრით, ESDA მეთოდი საშუალებას აძლევს ,,... მონაცემებს, თავად ისაუბრონ საკუთარ თავზე'' (Anselin, 1999, გვ. 254).

ჰეინინგი, ვეისი და მა (R. Haining, Wise, & Ma, 1998) გეოგრაფიული მონაცემების შემდეგ კომპონენტებს გამოყოფენ:

მონაცემები=(ტენდენცია+სივრცითი კოვარიაცია+კონცენტრაცია) + (ნაშთები+სივრცითი გამონაკლისები)

ამ კომპონენტების ერთობლიობის გაანალიზება ორ დონეზე ხდება. პირველ შემთხვევაში, ESDA საშუალებას იძლევა, გლობალურ დონეზე დავადგინოთ გეოგრაფიული მონაცემების სტატისტიკური თავისებურებები. მეორეს მხრივ, აღვწერთ ლოკალურ სტატისტიკებს, ანუ მონაცემთა ადგილობრივ თავისებურებებს (R. Haining et al., 1998, გვ, 459).

კვლევითი სივრცითი მონაცემთა ანალიზი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. კერძოდ, მნიშვნელოვანია შემდეგი მაჩვენებლები - სივრცითი ავტოკორელაცია მიგვითითებს გეოგრაფიულად ახლოს მყოფ ობიექტების დამახასიათებელ მნიშვნელობათა ერთნაირობაზე. სივრცითი ჰეტეროგენულობა აღწერს, თუ რამდენად არის კონცენტრირებული ესა თუ ის სივრცითი მოვლენა გეოგრაფიულად (Le Gallo & Ertur, 2003, გვ. 176).

სივრცითი ავტოკორელაციის საზომს მორანის გლობალური I კოეფიციენტი წარმოადგენს. იგი გვიჩვენებს, არის თუ არა მოცემული ცვლადი კლასტერიზებული, გაფანტული თუ შემთხვევით განაწილებული (ESRI, 2013). იგი გამოითვლება შემდეგი ფორ-

მულით:

$$I = \frac{n}{S_0} \frac{\sum_{i=1}^{n} \sum_{j=1}^{n} (w_{i,j} z_i z_j)}{\sum_{i=1}^{n} z_j^2}$$

სადაც $z_i$ წარმოადგენს i-ური ერთეულის ატრიბუტის გადახრას საშუალო მნიშვნელობიდან, $z_{i,j}$ არის i და j ერთეულებს შორის სივრცითი წონა, n წარმოადგენს ერთეულთა რაოდენობას, ხოლო $S_0$ კი - ყველა სივრცითი წონის ჯამს (ESRI, 2013). მორანის გლობალური კოეფიციენტისთვის ნულოვანი ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ გასაანალიზებელი ატრიბუტი შემთხვევითაა განაწილებული, ე. ი. გეოგრაფიული კლასტერიზაცია არაა წარმოდგენილი. აღნიშნული კოეფიციენტი არ გვიჩვენებს კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალებს, იგი მხოლოდ მონაცემთა საერთო ხასიათის შესახებ გვიქმნის წარმოდგენას.

მონაცემთა ადგილობრივი კონცენტრაციის ანუ სივრცითი ჰეტეროგენულობის თავისებურებებს მორანის ლოკალური I კოეფიციენტი აღწერს. იგი თითოეული სივრცითი ერთეულისთვის გამოითვლება, მისი დადებითი მაჩვენებელი მიგვითითებს მოვლენის კონცენტრაციაზე, ხოლო უარყოფითი კი - მეზობელ ერთეულებს შორის მაღალ ვარიაციაზე (Tapiador & Mezo, 2009).

რეგიონული თავისებურებების გამოსავლენად ლუქ ენსელინის მიერ შემუშავებულ სივრცითი ასოციაციის ადგილობრივი ინდიკატორები (LISA) გამოიყენება. ჯეთის-ორდის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ როგორ არის გეოგრაფიული თვალსაზრისით თავმოყრილი ამა თუ იმ მაჩვენებლის მაღალი და დაბალი მნიშვნელობის არეალები (ე. წ. ,,ცხელი" და ,,ცივი" არეალები). ცხადია, რომ ეს ტექნიკა განსაკუთრებით საინტერესო საარჩევნოგეოგრაფიული კვლევისთვის იქნება. მისი მეშვეობით ადვილად განვსაზღვრავთ ხმის მიცემის გეოგრაფიულ თავისებურებებს.

ზემოთ აღწერილი სივრცითი-სტატისტიკური მეთოდი საარჩევნო უბნების დონეზე

არსებული შედეგების გასაანალიზებლად გამოიყენება. ჩვენი მიზანია, არსებული მონაცემები ESDA მიდგომით შევისწავლოთ და გამოვავლინოთ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ძირითადი გეოგრაფიული თავისებურებები.

გეომონაცემების ნაწილი ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის და თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის ერთობლივი პროექტის ,,საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები საქართველოში'' ფარგლებში მომზადდა. იგი ეფუძნება 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისთვის გამოყოფილი საარჩევნო უბნების საზღვრებს. 2010, 2012, 2013 და 2014 წლების არჩევნებისთვის მონაცემები განახლდა საზღვრების ცვლილებასთან ერთად. გეოგრაფიული მონაცემები წარმოდგენილია ESRI shape file ფორმატში (.shp), რაოდენობრივი მონაცემების ნაწილი მიღებულია ,,ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტისგან'', ნაწილი კი მოპოვებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შედეგების პორტალიდან [1].

## 2.2 თვისებრივ მონაცემთა ანალიზი

ჩვენი ნაშრომის თვისებრივი ნაწილი მიზნად ისახავდა, დაკვირვებოდა თბილისის საქალაქო გარემოში ხმის მიცემის და გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ამ შემთხვევაში არ გვჭირდებოდა გამოკვლეული არეალებიდან წარმომადგენლობითი მონაცემების მოპოვება, რადგან გვსურდა, ჩავწვდომოდით გადაწყვეტილების მიღების ლოგიკას. კვლევის ამოცანა გახლდათ თბილისის მცხოვრებლების საარჩევნო გადაწვეტილებების, არჩევნების და პოლიტიკური პროცესების შესახებ ნარატივის ანალიზი.კვლევა დაიგეგმა ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში და ჩატარდა 2013 წლის მაის-ივლისში.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შესწავლის არეალად თბილისის ორი უბანი - ვაკე და გლდანი შეირჩა, სადაც თვისებრივი მონაცემები შეგროვდა. მოცემული ორი

[1] http://results.cec.gov.ge

უბნის საზღვრები პირობითია, რახან მათი განმარტების თაობაზე ერთგვაროვანი აზრი არ არსებობს. ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ორივე უბანი უფრო მსხვილ ერთეულებს - ვაკე-საბურთალოს და გლდანი-ნაძალადევის რაიონებს მიეკუთვნება.

საარჩევნო-გეოგრაფიული დაყოფა ნახსენებ ტერიტორიებს ცალ-ცალკე ოლქებად განიხილავს, თუმცა საარჩევნო ერთეულები მოიცავენ იმ უბნებსაც, რომლებიც ტრადიციულად არ მოიაზრებოდნენ მათ შემადგენლობაში. მაგალითად, გლდანის საზღვრებში შედის ზაჰესი, ავჭალის და მუხიანის დასახლებები, ხოლო ვაკეში იგულისხმება წყნეთი, ბაგები, ვაჟა-ფშაველას მიკრორაიონები და ნუცუბიძის ფერდობი. ამრიგად, უბნების ,,წარმოსახვითი'' საზღვრები უფრო მცირე არეალს მოიცავს, ვიდრე ადმინისტრაციული და საარჩევნო დაყოფა. ვაკის შემადგენლობაში ჩვენ ვგულისხმობთ ჭავჭავაძის ქუჩის გასწვრივ ღერძულად განვითარებულ არეალს, ხოლო გლდანში - ამ უკანასკნელის მიკრორაიონებს.

ინტერვიუს პროცესის გასაადვილებლად, სადისკუსიო გეგმა რამდენიმე თემატურ სექციად დავყავით. ასეთი მიდგომა დადებითად მოქმედებს ინტერვიუს პროცესზე და მკვლევარს საშუალებას აძლევს, ინფორმაციის ნაკადი აკონტროლოს. საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, გეგმის შესავალი ნაწილი მიზნად ისახავდა, ,,გაეხსნა'' რესპონდენტი პოლიტიკურ საკითხებზე საუბრამდე. რახან პოლიტიკა საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე წინააღმდეგობრივ და ღიად ნაკლებად განხილვად საკითხს წარმოადგენს, მკვლევარს გულწრფელი პასუხების მიღების პრობლემა აქვს.

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი რესპონდენტის უახლოესი ნათესავების, მათი განათლების და საქმიანობის შესახებ თხრობის შესწავლას ეთმობა. რესპონდენტის სოციალური ქსელების ტერიტორიული თავმოყრა საარჩევნო ქცევის ახსნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონცეფციაა. მსგავსი განათლების დონის და დასაქმების სტატუსის მქონე ადამიანების ტერიტორიული კონცენტრაცია ,,საუბრის და დარწმუნების'' ქსელების თავისებურებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, რაც თავის მხრივ, საარჩევნო ქცევის ჰომოგენურობის განმაპირობებელია.

სადისკუსიო გეგმა კვლევის ძირითადი თემატიკის ჩამოყალიბების შემდეგ მომზად-და. იგი ეხება სხვათა პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესახებ რესპონდენტის პერ-სონალურ აღქმას, ასევე საკუთარი საარჩევნო გადაწყვეტილების მიღების სტრატეგი-ებს. გეგმა ითვალისწინებს რესპონდენტის დამოკიდებულებას პერსონალური ქსელე-ბის, ნათესავების, მეზობლების და მათი ტერიტორიული კონცენტრაციის შესახებ.

სადისკუსიო გეგმა შეიძლება, შემდეგი სახით შევაჯამოთ:

- მოცემულ სამეზობლოში ცხოვრების ისტორია, რაც მოიცავს პასაჟებს ცვლილებე-ბის, ამ ტერიტორიაზე გადმოსვლის და ძველი საცხოვრისის შესახებ.
- ოჯახის მოკლე ისტორია, მშობლების, ბებიების და ბაბუების განათლების და საქ-მიანობის შესახებ თხრობა;
- სამეზობლო ქსელი - როგორ იყო მისი სივრცითი თავისებურებები და როგორ ახ-დენდნენ მეგობრები და ახლობლები რესპონდენტის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენას;
- ხმის მიცემის სტრატეგიები - რესპონდენტის ზოგადი შეხედულება, თუ როგორ ახდენს ხალხი საქართველოში საარჩევნო გადაწყვეტილების მიღებას, ამასთან რეს-პონდენტის პირადი ისტორია წინა არჩევნებში მიღებული გადაწყვეტილების შე-სახებ (დეტალურად, იხ. დანართი 26)

სადისკუსიო გეგმა მოწესრიგდა და შეიცვალა პილოტური კვლევის შემდეგ. მას და-ემატა ორი მნიშვნელოვანი სექცია რესპონდენტების მიერ სხვა უბნების აღქმის და პო-ლიტიკური საკითხების განხილვის შესახებ.

შერჩევის დიზაინის პირველი საფეხური მოიცავდა სამიზნე საარჩევნო უბნების გა-მოყოფას. ამ მიზნით გამოყენებული იქნა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედე-გების გეოგრაფიული მონაცემები. იმისთვის, რომ მაქსიმალურად მრავალფეროვანი ინ-ფორმაცია მოგვეგროვებინა, გადავწყვიტეთ, უბნები დაგვეყო ტიპიური და არატიპიუ-

| საარჩევნო უბნის კოდი | საარჩევნო უბნის ტიპი | „აღქმითი" უბანი |
|---|---|---|
| 0204 | ტიპიური | ვაკე |
| 0208 | ტიპიური | ვაკე |
| 0211 | ტიპიური | ვაკე |
| 0216 | არატიპიური | ვაკე |
| 0248 | არატიპიური | ვაკე |
| 0271 | არატიპიური | ვაკე |
| 10035 | ტიპიური | გლდანი |
| 10047 | ტიპიური | გლდანი |
| 10079 | არატიპიური | გლდანი |
| 10055 | არატიპიური | გლდანი |
| 10058 | არატიპიური | გლდანი |
| 10060 | არატიპიური | გლდანი |

ცხრილი 1: საველე სამუშაოებისთვის შერჩეული უბნების დახასიათება

რი ქცევის ჯგუფებად და რესპონდენტთა რეკრუტირება ორივე ტერიტორიული ერთეულიდან მოგვეხდინა. ტიპოლოგიის მიზნით გამოვიყენეთ ჯეთის-ორდის G* სტატისტიკა, რომლის მეშვეობითაც შეირჩა თორმეტი საარჩევნო უბანი (იხ. ცხრილი 1)

თავად რესპონდენტების შესარჩევად გამოყენებული იქნეა მიზნობრივი შერჩევა, რახან კვლევას წარმომადგენლობითობაზე არ ჰქონდა პრეტენზია. რესპონდენტებად კვლევა მოიაზრებდა სრულწლოვან მოქალაქეებს, რომელსაც 2008 წლიდან მოყოლებული, მინიმუმ ორ არჩევნებში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. ამასთან, მას ან მის ოჯახს საკვლევ უბანში ცხოვრების ოცწლიანი ცენზი უნდა ჰქონოდა, დემოგრაფიული თვალსაზრისით დაცული იყო სქესობრივ-ასაკობრივი პროპორცია 18-35, 36-55 და 56+ ასაკობრივ კოჰორტოებში.

რახან ხელთ გვქონდა საარჩევნო სიის მეორადი მონაცემები, თითოეული საარჩევნო უბნისთვის მომზადდა მისამართების სია, საიდანაც შემთხვევით შეირჩა სამიზნე საცხოვრებელი კორპუსები და მოხდა რესპონდენტების რეკრუტირება. საბოლოო ჯამში, მოგროვდა 48 თვისებრივი ინტერვიუ, რომელიც გაიშიფრა და გაანალიზდა სპეციალური კომპიუტერული პროგრამის (QSR NVIVO) მეშვეობით.

# 3 არჩევნები საქართველოში, 2008-2014 წლები

არჩევნების დრო მოდის. ცხადდება საყოველთაო მშვიდობა და მელიებს ქათმებისთვის სიცოცხლის გახანგრძლივების

გულწრფელი სურვილი უჩნდებათ (ჯორჯ ელიოტი; Felix Holt, the Radical:65)

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მოყოლებული, საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს ხშირად ახლდა ბრალდებები გაყალბებების და უთანასწორო საარჩევნო კამპანიების შესახებ. 1990 წლიდან, თითქმის ყველა არჩევნებში ერთი პოლიტიკური ჯგუფი დომინირებდა (მაგალითად, გამსახურდიას ,,მრგვალი მაგიდა'', შევარდნაძის ,,საქართველოს მოქალაქეთა კავშირი'', სააკაშვილის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'', ,,ქართული ოცნება'' ), შესაბამისად, კანდიდატებს საარჩევნო შედეგებით მანიპულირების ადმინისტრაციული და მატერიალური რესურსები ყოველთვის გააჩნდათ. უკვე ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ ჯგუფებს ძლიერი პოლიტიკური ოპონენტები იშვიათად ყავდათ და შესაბამისად, მათი გამარჯვება ეჭვქვეშ იშვიათად დგებოდა. სიტუაცია 2008 წლიდან შეიცვალა. ამ დროიდან მოყოლებული, თითქმის ყველა არჩევნები პოლარიზებულ და დაძაბულ გარემოში ტარდებოდა.

2008 წლიდან იმ მომენტამდე, როდესაც ეს სიტყვები იწერება, საქართველოში ექვსი ეროვნული არჩევნებია ჩატარებული. ამ პერიოდში დაგროვილმა დემოკრატიულმა გამოცდილებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა 2012 წელს ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადაცემა და გარკვეული იმედი შექმნა, რომ ანალოგიური პრეცენდენტი მომავალშიც განმეორდება.

მომდევნო ქვეთავებში ჩვენ წარმოვადგენთ 2008 წლიდან 2014 წლის ჩათვლით საქართველოში ჩატარებული არჩევნების მიმოხილვას, სადაც განვიხილავთ არჩევნების შედეგებს, არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას და იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენდნენ პროცესების მსვლელობაზე.

## 3.1 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოს უახლესი ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე პოლარიზებული გახლდათ. აქ ხელისუფლების მიერ წამოყენებულმა კანდიდატმა მართალია, გამარჯვებას პირველ ტურში მიაღწია, თუმცა ეს დაძაბული კამპანიის და უამრავი რესურსის მობილიზების ხარჯზე მოახდინა. არჩევნებში საკმაოდ კარგად გამოვიდნენ ოპოზიციური კანდიდატები, თუმცა მათ ძირითად დასაყრდენს თბილისი წარმოადგენდა.

2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების წინაპირობას 2007 წლის მიწურულს თბილისში განვითარებული მოვლენები წარმოადგენდნენ. 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციები თავდაცვის და ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის დაკავების ფაქტს მოყვა, რაც მალევე ფართომასშტაბიან მოქმედებებში გადაიზარდა. 2 ნოემბერს დაწყებულ აქციებს ფართოდ აშუქებდა ტელეკომპანია ,,იმედი'', ხოლო მისი ხელმძღვანელი ბადრი პატარკაციშვილი პროტესტის მონაწილეებს აქტიურად თანაუგრძნობდა და აფინანსებდა.

7 ნოემბრის დილით პოლიციის მიერ პარლამენტთან შემორჩენილი აქციის მონაწილეების დარბევას იმავე საღამოს რიყის ტერიტორიაზე უფრო დიდი აქცია მოყვა, რაზეც ხელისუფლებამ ასევე ძალადობით უპასუხა. აქციის დაშლის შემდეგ, მოქმედმა პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და 2008 წლის იანვრისთვის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა. გარდა ამისა, იმავე დღეს პოლიცია ტელეკომპანია ,,იმედის'' ოფისში შეიჭრა და მისი მაუწყებლობა შეაჩერა.

მ. სააკაშვილმა გამოაცხადა, რომ თავად იქნებოდა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' კანდიდატი. მისი მთავარი კონკურენტი ლ გაჩეჩილაძე გახლდათ, რომელიც საპროტესტო აქციების ორგანიზატორმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა საკუთარ კანდიდატად წარმოადგინეს. მათ გარდა, არჩევნებში მონაწილეობა ბადრი პატარკაციშვილმა, შალვა ნათელაშვილმა, დავით გამყრელიძემ, გია მაისაშვილმა და ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ მიიღეს.

წინასაარჩევნო პერიოდი მნიშვნელოვანი დაძაბულობით ხასიათდებოდა. ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის მოხსენების თანახმად, საარჩევნო კამპანია არ იყო კონსტრუქციული; ამასთან, შეშფოთება გამოითქვა სახელმწიფო რესურსების გამოყენებასთან და არათანაბარი საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით. ორგანიზაციის მისიას პრეტენზიები მედიის და ხმის მიცემის მიმდინარეობასთან დაკავშირებითაც გააჩნდა (OSCE ODIHR, 2008).

როგორც მედიამონიტორინგის ანგარიშებიდან ჩანს, მ. სააკაშვილს სხვა კანდიდატებთან შედარებით, მეტი სატელევიზიო და საგაზეთო დრო ეთმობოდა. მართალია, გაშუქების ტონი უმეტესად ნეიტრალური გახლდათ, თუმცა ბევრი ტელე- და საგაზეთო სიუჟეტი ხელისუფლების კანდიდატისადმი დადებით დამოკიდებულებას გამოხატავდა (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2007). ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს'' ანგარიშში მოცემული იყო ის ტენდენციები და დარღვევები, რაც წინასაარჩევნო პერიოდში გამოიკვეთა. კერძოდ, ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებდა ფართო სოციალურ პროგრამებზე, რაც ამომრჩევლებისთვის სხვადასხვა ვაუჩერების დარიგებაში, ასევე საჯარო სექტორში ხელფასების ზრდით გამოიხატა. ხელისუფლებამ ასევე განაცხადა რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილების გატარების შესახებ, რასაც, ,,გამჭვირვალობის'' თქმით, მმართველი გუნდი მანამდე ეწინააღმდეგებოდა. საარჩევნო კამპანიაში აქტიურად მონაწილეობდნენ საჯარო მოხელეები, ხოლო საქართველოს რეგიონებში მრავლად იყო ამომრჩევლებსა და ოპოზიციური პარტიების აქტივისტებზე ზეწოლის ფაქტები.

ამომრჩეველთა პოლარიზაციამ არჩევნების შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. იანვრის თვემდე განვითარებულმა მოვლენებმა ამომრჩეველი ორ - მთავრობისადმი ლოიალურ და მისდამი საპროტესტოდ განწყობილ ჯგუფებად გაყო. პოლარიზაცია განსაკუთრებით თვალსაჩინო თბილისსა და მსხვილ ქალაქებში გახლდათ, სადაც არჩევნების შედეგების მიხედვით, სამთავრობო კანდიდატს წარმატების მიღწევა საკმაოდ გაუჭირდა.

პოლიტიკურმა ჯგუფებმა ამომრჩევლებს განსხვავებული პროგრამები შესთავაზეს. ლ. გაჩეჩილაძემ, ,,გაერთიანებული ოპოზიციის'' კანდიდატმა, გამოაცხადა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში, ქვეყნის პოლიტიკური სისტემა სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტო მოდელზე გადაერთვებოდა. პოლიტიკურ ცვლილებებზე ორიენტირებული პროგრამა გააჩნდა დ. გამყრელიძესაც. რაც შეეხება მ. სააკაშვილს, მისი მთელი კამპანია სოციალურ და პოპულისტურ დაპირებებზე იყო ორიენტირებული. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' კანდიდატის მიერ შემოთავაზებულ დაპირებებს შორის აღსანიშნავია უფასო ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის ამოქმედება, ახალი საავადმყოფოების მოწყობა, პენსიების გაზრდა და სასოფლო-სამეურნეო სექტორის მეტი სუბსიდირება. როგორც აღვნიშნეთ, საპრეზიდენტო კანდიდატები წინასაარჩევნო




სურ. 2: 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. კანდიდატთა ,,ყულაბა'' დასახლებული პუნქტის ტიპის მიხედვით

პერიოდში საკმაოდ არათანაბარ მდგომარეობაში იყვნენ, შესაბამისად, მთავარ ინტრიგას წარმოადგენდა ის, რამდენად მოახერხებდა მ. სააკაშვილი პირველი ტურის მსვლელობისას გამარჯვების მოპოვებას. საბოლოო ჯამში, ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: მ. სააკაშვილმა მოიპოვა 53.45%, რამაც მას მეორე ტური აარიდა თავიდან. მთავარმა ოპოზიციურმა კანდიდატმა ლ. გაჩეჩილაძემ 25.68% მოაგროვა, ბ. პატარკაციშვილმა

- 7.10%, ხოლო შალვა ნათელაშვილმა - 6.49%. დანარჩენმა კანდიდატებმა ცალ-ცალკე 5%-ის მოგროვებაც კი ვერ შეძლეს (ცესკო, 2008).

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები იმითაც გახლდათ საინტერესო, რომ მისი მსვლელობისას გამოკვეთილი გეოგრაფიული თავისებურებები მომდევნო არჩევნებშიც არაერთხელ იჩენს თავს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს შედეგების მკვეთრი ცვალებადობა დასახლებული პუნქტების ტიპის მიხედვით. როგორც მე-2 დიაგრამიდან ჩანს, მ. სააკაშვილისთვის მიცემული ხმების უმეტესობა (60%-მდე) სასოფლო არეალებზე მოდის. ლ. გაჩეჩილაძისთვის მხარდაჭერის ძირითად წყაროს ქალაქები, განსაკუთრებით კი - დედაქალაქი წარმოადგენდა. რაც შეეხება ბ. პატარკაციშვილს, მისთვის სასოფლო ხმები საარჩევნო ,,ყულაბის'' თითქმის ნახევარს შეადგენდა. დედაქალაქში მ. სააკაშვილმა ხმების მხოლოდ 35% დააგროვა, მაშინ, როდესაც ლ. გაჩეჩილაძის მხარდაჭერა თბილისში 44%-ს შეადგენდა. დასახლებული პუნქტების ზომის კლებასთან ერთად, მ. სააკაშვილის მიერ მიღებული ხმების წილი იზრდებოდა, ხოლო სოფლებში მისმა მხარდაჭერამ 67% შეადგინა.



სურ. 3: 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. ხმების მიცემა დასახლების ტიპის მიხედვით

არჩევნების შედეგები ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით მნიშვნელოვნად

განსხვავდებოდა. მ. სააკაშვილმა ყველაზე მეტი ხმა ზემო აფხაზეთში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში მოაგროვა, ხოლო სახელისუფლებო ყველაზე წარუმატებელი მცხეთა-მთიანეთი, გურია და თბილისი აღმოჩნდა. ლ. გაჩეჩილაძე წარმატებით გამოდიოდა თბილისში, გურიასა და იმერეთში, ხოლო ბ. პატარკაციშვილის მხარდამჭერის ძირითად არეალებს აჭარა, გურია და კახეთი წარმოადგენდნენ. საქართველოს მხარეებმა განსხვავებული წვლილი შეიტანეს კანდიდატების ხმებში. თბილისის როლი გამოკვეთილი იყო ლ. გაჩეჩილაძის და ბ. პატარკაციშვილის შემთხვევაში, ხოლო მ. სააკაშვილისთვის თითქმის ყველა მხარეს დაახლოებით თანაბარი წვლილი ქონდა.

თუკი ჯეთის-ორდის კოეფიციენტების მიხედვით შედგენილ ცხელი წერტილების რუკას გავაანალიზებთ (იხ. დანართი დ.2), აღმოჩნდება, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე სახელისუფლებო კანდიდატის მხარდამჭერის სამი მაკრორეგიონი გამოიყოფა: სამხრეთ საქართველო ზემო აჭარიდან ქვემო ქართლის ჩათვლით, ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (სამეგრელო და ზემო იმერეთი) და შიდა ქართლი. ლ. გაჩეჩილაძის ხმების განაწილება (იხ. დანართი დ.3) გვიჩვენებს, რომ მხარდამჭერის არეალები მოიცავს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთს (გურია-ქვემო აჭარა), ზემო იმერეთს, მსხვილ ქალაქებს, თბილისის შემოგარენს და ყაზბეგის მუნიციპალიტეტს. ბადრი პატარკაციშვილის ხმების ანალიზი ცხადყოფს, რომ გვაქვს სამი არეალი - გურია-ქვემო აჭარა, თბილისი და კახეთი (იხ. დანართი დ.4).

საპრეზიდენტო არჩევნებისას ქვეყნის ტერიტორიაზე აქტივობის საშუალო მაჩვენებელი 56.2%-ს შეადგენდა. რეგიონული თვალსაზრისით, საშუალოსთან მიახლოებული აქტივობა საპრეზიდენტო არჩევნებისას დაფიქსირდა ქვემო-აჭარა - გურიაში, იმერეთში, კახეთსა და აღმოსავლეთ მთიანეთში (ერთეული გამონაკლისებით). საშუალოზე დაბალი აქტივობით ხასიათდებოდა ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტები, წალკა, ჭიათურა და ყაზბეგი. საქართველოს სამ საარჩევნო ოლქში განხილული არჩევნებისას დაფიქსირდა ძალიან მაღალი (75%-ზე მაღალი) აქტივობის მაჩვენებლე-

ბი, ხოლო შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და აჭარის ტერიტორიაზე აქტივობა მაღალი იყო. საინტერესოა, რომ მ. სააკაშვილის მიერ მიღებული ხმების წილსა და საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებულ აქტივობას შორის საკმაოდ მაღალი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებით კორელაცია ფიქსირდებოდა.

## 3.2 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები

საპრეზიდენტო არჩევნებიდან ხუთ თვეში, 2008 წლის 21 მაისს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე, ოპოზიციურმა ძალებმა საკმაოდ კარგი შედეგები აჩვენეს, საპარლამენტოზე ძალების მობილიზება და წარმატების მიღწევა რთული აღმოჩნდა. ასპარეზზე გამოჩნდა ახალი პოლიტიკური ძალა - ,,ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობა'', რომელმაც ოპოზიციური ელექტორატის ნაწილის გადაბირება შეძლო. საბოლოო ჯამში, ოპოზიციურმა ჯგუფებმა 150-დან მხოლოდ 31 მანდატი მოიპოვეს, ხოლო ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ'' საკონსტიტუციო უმრავლესობის ფორმირება თავისუფლად მოახდინა.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო სისტემამ გარკვეული ცვლილებები განიცადა. გადაწყვეტილი იყო, რომ 150 პარლამენტარს ისევ შერეული წესით აირჩევდნენ: 100 მათგანს - პროპორციული, ხოლო 50-ს კი - მაჟორიტარული წესით, რისთვისაც უნდა დაკომპლექტებულიყო ახალი მაჟორიტარული ოლქები. თუმცა, 2008 წლის მარტისთვის, ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2010), მაჟორიტარული და პროპორციული სისტემით არჩეული კანდიდატების რაოდენობა გათანაბრდა და 75-75 შეადგინა. საარჩევნო წესებით მანიპულირებამ მმართველი ძალისთვის მშვენიერი შედეგი გამოიღო - მათ 75-დან 71 მაჟორიტარულ ოლქში მიაღწიეს წარმატებას. ,,ნაციონალურმა მოძრაობამ'', რომელმაც არჩევნებში ხმების 59% მოაგროვა, საბოლოო ჯამში მანდატების 80% დაისაკუთრა.

რადიკალური ოპოზიციური სპექტრიდან, რომელიც წინა არჩევნებზე ლ. გაჩეჩილა-




სურ. 4: 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები. პარტიების ,,ყულაბა'' დასახლებული პუნქტების მიხედვით

ძის და დ. გამყრელიძის ირგვლივ იყო შემოკრებილი, საპარლამენტოში მონაწილეობა ,,ერთიანი ოპოზიციის'' და ,,რესპუბლიკური პარტიის'' სახელით მიიღო. გაჩეჩილაძის ,,ერთიან ოპოზიციას'' გამყრელიძის ,,ახალი მემარჯვენეები'' შეუერთდნენ, ხოლო ,,რესპუბლიკელებმა'' საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობა გადაწყვიტეს. ,,ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობის'' პოლიტიკური სახეების უმრავლესობა ტელეკომპანია ,,იმედის'' ყოფილი თანამშრომლები გახლდნენ. პარტიამ სწრაფად მოახდინა ამომრჩეველთა მობილიზაცია და საკმაო წარმატებითაც გამოვიდა.

აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო ხმის მიცემისას საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსი ტერიტორიული თავისებურებები გამოვლინდა. სახელისუფლებო პოლიტიკური ჯგუფისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სასოფლო მოსახლეობის მხარდაჭერა გახლდათ - ისევე, როგორც წინა არჩევნებში, აქაც მათ სოფლებში საკუთარი ხმების 60% შეაგროვეს (იხ. სურ. 4). ,,ერთიანი ოპოზიცია'', ,,ლეიბორისტული პარტია'' და ,,რესპუბლიკელები'' დედაქალაქის და უფრო ნაკლებად - მსხვილი ქალაქების ამომრჩეველზე იყვნენ დამოკიდებულები. საინტერესოა, რომ ,,ქრისტიან - დემოკრატებისთვის'' დედაქალაქი ნაკლებად მნიშვნელოვანი გახლდათ, საქართველოს მსხვილმა ქალაქებმა მათ ,,ყულაბაში'' ხმების 15% შეიტანეს, ხოლო სოფლებმა - 44%.




სურ. 5: 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები. ხმის მიცემა დასახლების ტიპის მიხედვით

საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით, ოპოზიციური პარტიებისადმი საერთო მხარდაჭერამ იკლო, ხოლო ხელისუფლებისა კი - გაიზარდა. განსაკუთრებით ეს რადიკალურ ,,ერთიან ოპოზიციას'' შეეხო, რომლის მიერ პროპორციული წესით მიღებული 17% მნიშვნელოვნად ჩამორჩება საპრეზიდენტო არჩევნებისას ლ. გაჩეჩილაძის მიღებულ ხმების წილს.

რეგიონულ ჭრილში, ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ'' ხმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კონფლიქტის ზონისპირა ზემო აფხაზეთში, შიდა ქართლში, ასევე - სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მოაგროვა, სადაც მათ მიერ მიღებული ხმების წილი 70-80% შორის მერყეობდა. სახელისუფლებო გუნდის მინიმალური მხარდაჭერით გამოირჩეოდნენ თბილისი და იმერეთი. თბილისი, გურია და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი ,,ერთიანი ოპოზიციისთვის'' ტრადიციულად, ამ პოლიტიკური ჯგუფის მაღალი მხარდაჭერით გამოირჩეოდა, მიუხედავად იმისა, რომ მათ გარკვეული პოზიციები დათმეს საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით. როგორც ჩანს, მათი ხმების მნიშვნელოვანი ნაწილის ,,გადაქაჩვა'' ,,ქრისტიან - დემოკრატებმა'' მოახდინეს, რომლებმაც ოპოზიციურად განწყობილ აჭარაში, გურიასა და იმერეთში 12-15%-ის მოგრო-

ვება მოახერხეს.

თბილისი და იმერეთი იმითაც გამოირჩნენ, რომ საკუთარი ზომიდან გამომდინარე, ისინი ოპოზიციური პარტიებისთვის ხმების მთავარ წყაროს წარმოადგენდნენ - ,,ერთიანი ოპოზიციის'' ყულაბაში მათ, შესაბამისად, 45% და 13% ,,შეიტანეს'', ,,ქრისტიან - დემოკრატებთან'' - 22 და 24%, ლეიბორისტებთან - 38 და 15%, რესპუბლიკელებთან - 30 და 19%.

საარჩევნო ,,ცხელი'' და ,,ცივი'' არეალების განაწილების სივრცითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ პარტიების მხარდაჭერის საკითხში, საპრეზიდენტო არჩევნებიდან ხუთი თვის შემდეგ, საგულისხმო ცვლილებები მოხდა. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' ხმების მაღალი კონცენტაციის ტრადიციულ არეალებს დაემატათ შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის და კახეთის ტერიტორიები. სამაგიეროდ, შემცირდა ,,ერთიანი ოპოზიციის'' მაღალი ხმების გავრცელების არეალი და იგი მხოლოდ თბილისით და სვანეთით შემოიფარგლებოდა. ,,ქრისტიან - დემოკრატიულმა მოძრაობამ'' წარმატებით ,,აითვისა'' ის არეალები, რომლებიც წინა არჩევნებზე ბ. პატარკაციშვილის მხარდაჭერით გამოირჩეოდა. გარდა ამისა, მათი მაღალი ხმების კონცენტრაცია აღინიშნებოდა იმერეთის და სამეგრელოს ტერიტორიაზე.

## 3.3 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა კიდევ ერთხელ განამტკიცა ,,ნაციონალური მოძრაობის'' კონსოლიდირებული მმართველობა და მას მუნიციპალურ ინსტიტუციებზე სრული კონტროლი მიანიჭა. არჩევნებში მონაწილეობას 14 პოლიტიკური პარტია და სამი საარჩევნო ბლოკი იღებდა. მუნიციპალურ არჩევნებს ოპოზიციური ჯგუფები გარკვეული სიახლეებით შეხვდა. ,,ქრისტიან - დემოკრატიული'' მოძრაობა ცდილობდა, რომ საკუთარი, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალის იარლიყი განემტკიცებინა. ასპარეზზე გამოჩნდა ი. ალასანიას მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკური პარტია ,,ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები'', რომ-

ლებიც ,,ახალი მემარჯვენეების'' და ,,რესპუბლიკური პარტიის'' წარმომადგენლებთან ერთად საარჩევნო ბლოკში ,,ალიანსი საქართველოსთვის'' გაერთიანდნენ.

სიახლეები იყო ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხში. შეიცვალა თბილისის საკრებულოს დაკომპლექტების წესი - 2006 წლის ადგილობრივი არჩევნებისგან განსხვავებით, სადაც საკრებულოს წევრთა უმრავლესობა (25 წევრი 37-დან) მრავალმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებში იყო არჩეული და მხოლოდ 12 გახლდათ პროპორციული სიით წარმოდგენილი, წევრების რაოდენობა გათანაბრდა. სიახლე იყო თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევაც - რაც ქალაქის ისტორიაში პირველად მოხდა.

საყოველთაო შეფასებით, აღნიშნული არჩევნები წინა საპრეზიდენტო და საპარლამენტო ხმის მიცემის პროცესებთან შედარებით, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა (OSCE ODIHR, 2010), თუმცა უარყოფით მხარეებად ეუთო-ს საარჩევნო მისია არათანაბარ წინასაარჩევნო გარემოს და საზოგადოების მხრიდან საარჩევნო ადმინისტრაციისადმი ნდობის დაბალ ხარისხს ასახელებდა.



სურ. 6: 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები. საარჩევნო ყულაბა დასახლებული პუნქტის ტიპის მიხედვით

წინა არჩევნების მსგავსად, ცხადი იყო, რომ ,,ნაციონალური მოძრაობა'' ისევ სასოფლო ტიპის დასახლებებზე აკეთებდა აქცენტს (სურ. 6) - მისი ხმების 56% სოფლებში მოგროვდა. ,,ალიანსმა საქართველოსთვის'' მთავარი ოპოზიციური ჯგუფების ტრადიცია გააგრძელა და ხმების ნახევარზე მეტი დედაქალაქში მოიპოვა. ,,ქრისტიან - დე-

მოკრატების" და ,,ეროვნული საბჭოს" მხარდაჭერა შედარებით დაბალანსებული გახლდათ, თუმცა უკანასკნელისთვის დედაქალაქის ამომრჩეველი უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ.

რაც შეეხება ხმების განაწილებას დასახლებული პუნქტების მიხედვით(სურ. 7), გამოიკვეთა, რომ დედაქალაქის გარდა, ყველგან მთავარ ოპოზიციურ ძალად ,,ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობა" იქცა. აღნიშნული განსაკუთრებით კარგად ჩანდა მსხვილი ქალაქების მასშტაბით, სადაც გ. თარგამაძის პოლიტიკურმა გუნდმა ხმების 18%-ის მოგროვება შეძლო. ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" ძალების განსაკუთრებული დაძაბვის გარეშე მოაგროვა ყველა დასახლებულ პუნქტში ხმების ნახევარზე მეტი.




სურ. 7: 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები. ხმის მიცემა დასახლების ტიპის მიხედვით

გეოგრაფიული თვალსაზრისით, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაღალი ხმების კონცენტრაცია წარმოდგენილი გახლდათ თითქმის მთელს საქართველოში, მათ შორის - თბილისსა და მის შემოგარენში, გურიაში, ქვემო აჭარაში. ,,ალიანსი საქართველოსთვის" კარგად გამოდიოდა თბილისსა და მის შემოგარენში, ,,ქრისტიან - დემოკრატების" ხმების მაღალი მაჩვენებლები თავმოყრილი გახლდათ დასავლეთ საქართველოს ბარსა და კახეთის ცენტრალურ ნაწილში, ხოლო ,,ეროვნული საბჭოს" მხარდამჭერთა კონცენტრაცია აღინიშნებოდა თბილისის შემოგარენსა და საქართველოს სამ-

ხედრო გზის გასწვრივ, წალკის და დმანისის მუნიციპალიტეტებში, ასევე - დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლში.

2010 წლის მუნიციპალური არჩევნები იმითაც გამოირჩეოდა, რომ პირდაპირი წესით თბილისის მერის არჩევა პირველად იქნა დაშვებული. საინტერესოა, რომ თბილისის მერის არჩევნებშიც გამოიკვეთა გეოგრაფიული სხვაობები. სახელისუფლებო გუნდს გ. უგულავა წარმოადგენდა, რომელმაც პირველივე ტურში მოახერხა გამარჯვების მოპოვება. თუკი ლოკალური სივრცითი ავტოკორელაციის რუკებს გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ უგულავას ხმები კონცენტრირებული იყო თბილისის სამხრეთ და ჩრდილოეთ უბნებში (ისანი, სამგორი, კრწანისი, გლდანის მიკრორაიონები, დიდგორი). მთავარი ოპოზიციური კანდიდატი ,,ალიანსი საქართველოსთვის'' მიერ წარმოდგენილი ი. ალასანია გახლდათ. მისი მხარდაჭერის ,,ცხელი არეალების'' ანალიზის შედეგად ჩანს, რომ ალასანიას ხმები კონცენტრირებული იყო ქალაქის ცენტრალურ უბნებში, ვაკის, საბურთალოს და მთაწმინდის ტერიტორიაზე. შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ წინა არჩევნებში ოპოზიციურად განწყობილი უბნების ელექტორატმა მუნიციპალურ არჩევნებში სწორედ ალასანიას მიანიჭა უპირატესობა.

## 3.4 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები

2012 წლის პირველ ოქტომბერს, საქართველოს ისტორიაში მეორედ, ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით მოხდა. კოალიციამ ,,ქართული ოცნება'' დაამარცხა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'', რომელიც ქვეყანას 2004 წლიდან მართავდა[2].

არჩევნებამდე სულ ერთი წლით ადრე მოვლენათა მსგავს განვითარებას ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა. ოპოზიციური სპექტრი დაქსაქსული და ერთმანეთთან დაპირისპირებული გახლდათ როგორც თავისი რადიკალური და გაუთვლელი ნაბიჯების, ასევე - ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვანი ზეწოლის წყალობით. პოლიტიკოსების მსგავსმა მიდგომამ ამომრჩევლებზეც იქონია გავლენა - 2011 წლის გაზაფხულზე

[2] ნაშრომის ეს ნაწილი გამოქვეყნდა ,,კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტის'' 43-ე ნომერში

ჩატარებული გამოკითხვის თანახმად (CRRC-Georgia, 2011), პოტენციური ამომრჩევლე-ბის 32% მხარს ,,ერთიან ნაციონალურ მოძრაობას'' ემხრობოდა, 12% - ,,ქრისტიან - დე-მოკრატიულ მოძრაობას'', ხოლო ამომრჩეველთა 30% არცერთი პოლიტიკური პარტი-ისადმი გამოხატავდა მხარდაჭერას.

საქმის ვითარება 2011 წლის შემოდგომაზე შეიცვალა, როდესაც პოლიტიკურ ასპა-რეზზე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა. ბიზნესმენმა, რომელმაც სიმდიდრე რუსეთში მოიხვეჭა და ბოლო დრომდე საკუთარ პოლიტიკურ ამბიციებს საჯაროდ არ ამხელ-და, შეძლო ოპოზიციური ჯგუფების კონსოლიდაცია და არჩევნებში გამარჯვებამდე მიყვანა. ფრაგმენტულმა ოპოზიციამ, რომელიც მანამდე გაერთიანებას ვერ ახერხებდა, სახალხო მხარდაჭერა მეტწილად ლიდერის პოპულარობის გამო მიიღო. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ე. წ. ციხის ვიდეოჩანაწერების გამოქვეყნება გახლდათ, რო-მელზეც პატიმრების ფიზიკური და სექსუალური ზეწოლის კადრები იყო ასახული. ამ სკანდალმა მასობრივი ანტისამთავრობო დემონსტრაციების დიდი ტალღა გამოიწვია, საბოლოო ჯამში კი კოალიცია ,,ქართული ოცნების'' გამარჯვებაში დიდი წვლილი შე-იტანა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მთავარი თავისებურება მისი მაღალი პოლა-რიზაცია გახლდათ - ,,ქართული ოცნების'' და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' გარდა, ვერცერთმა სხვა პარტიამ მოახერხა ხმების 5%-ის მოპოვება, ან თუნდაც ერ-თი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მოგება. საარჩევნო კამპანია დაძაბული და ზოგ-ჯერ, ძალადობრივი გახლდათ. ორივე მხარე ერთმანეთს საარჩევნო წესების დარღვე-ვაში, არალეგალური სახსრების და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაში, მე-დიასაშუალებების მანიპულირებაში, პარტიული აქტივისტების შევიწროებაში ადანა-შაულებდა.

საბოლოო ჯამში, ოპოზიციურმა კოალიცია ,,ქართულმა ოცნებამ'' პროპორციულ ხმის მიცემაში 55%-ის მოგროვება მოახერხა, ხოლო ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ'' - მხოლოდ 40.3%-ის. ხმები ანალოგიურად გადანაწილდა ერთმანდატიან მაჟორიტარულ

ოლქებში. საბოლოო ჯამში, ,,ქართულმა ოცნებამ'' საკანონმდებლო ორგანოს 150-დან 85 მანდატი და უმრავლესობა მოიპოვა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები უჩვეულოდ მაღალი აქტივობითაც გამოირჩეოდა - საარჩევნო ყუთებთან რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 61% მივიდა, მაშინ, როდესაც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში აქტივობა 55%-ს, ხოლო 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში 52%-ს შეადგენდა.

თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არჩევნებისადმი დიდად დაინტერესდნენ როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სადამკვირვებლო და მონიტორინგის ორგანიზაციები. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემების მიხედვით, არჩევნებისთვის 61 000-მდე ადგილობრივი დამკვირვებელი გახლდათ დარგისტრირებული. გარდა ამისა, მრავლად იყვნენ უცხოელი დამკვირვებელი, რომლებიც მთელ რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ (ეუთო, ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი და სხვა.

დღესდღეობით, საქართველოში შერეული საარჩევნო სისტემა მოქმედებს. პარლამენტის 150 წევრიდან 77 აირჩევა პროპორციული საარჩევნო სიის მიხედვით, ხოლო დანარჩენ 73-ს ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში გამარჯვებული კანდიდატები ავსებენ. პროპორციული ხმის მიცემისას, პარტიებს საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრისთვის 5%-იანი ბარიერის გადალახვა ჭირდებოდათ. თუმცა, 2008 წლისგან განსხვავებით, როდესაც პარლამენტში ოთხი პოლიტიკური ჯგუფი მოხვდა, მხოლოდ ,,ქართულმა ოცნებამ'' და ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ'' მოახერხა წარმომადგენლობის მოპოვება.

პროპორციულ ხმის მიცემას გამოკვეთილი რეგიონული თავისებურებები გააჩნდა - თბილისი და მისი შემოგარენი გამარჯვებული ,,ქართული ოცნებისთვის'' ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენდა. დედაქალაქის ზეგავლენა არამხოლოდ მასთან ახლოს მდებარე საარჩევნო ოლქებზე ვრცელდება, არამედ - აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთზე. იმერეთის აღმოსავლეთი მხარე, კერძოდ, ისტორიული ზემო იმერეთი, კოალიციისადმი მაღალი მხარდაჭერის კიდევ ერთი არეალია. საჩხერეში, ბიძინა ივანიშ-

ვილის მშობლიურ მუნიციპალიტეტში, ,,ქართულმა ოცნებამ'' ხმების 93% მიიღო. კოალიცია ასევე კარგად გამოდიოდა მახლობელ მუნიციპალიტეტებში - ჭიათურაში (75%), ზესტაფონში (61%) და ხარაგაულში (51%). საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი, კერძოდ, გურიის და აჭარის ზღვისპირა საარჩევნო ოლქები, ასევე გამოირჩეოდა ქართული ოცნებისადმი მხარდაჭერით. ცხელი წერტილების რუკა (იხ. დანართი დ.16) მიგვითითებს ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობისადმი'' მხარდაჭერის არეალებს სამეგრელოში და დასავლეთ საქართველოს მთიანეთში. საქართველოს სამხრეთი ნაწილი, კერძოდ, ზემო აჭარა, სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი წარმოქმნის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მხარდაჭერის სამხრეთ სარტყელს. აღნიშნული რეგიონი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების კონცენტრაციით გამოირჩევა, რომლებსაც საარჩევნო ქცევის განსაკუთრებული თავისებურებები ახასიათებთ საქართველოს არჩევნების მთელი ისტორიის მანძილზე. სომეხი და აზერბაიჯანელი ამომრჩევლები, როგორც წესი, პოლიტიკური მიმართულების მიუხედავად, არსებული მთავრობის წარმომადგენლებს აძლევდნენ ხმას. ეთნიკური უმცირესობების მსგავსად, ზემო აჭარის მუნიციპალიტეტები, რომელიც ძირითადად სუნიტი ქართველებით არის დასახლებული, ,,ერთიან ნაციონალურ მოძრაობას'' უჭერდნენ მხარს.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება საარჩევნო ქცევაში მკვეთრად გამოხატული ქალაქი-სოფლის დაპირისპირება გახლდათ. ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ'' როგორც პროპორციული, ასევე მაჟორიტარული ხმის მიცემა დათმო თვითმმართველ ქალაქებსა და თბილისის ათივე საარჩევნო ოლქში. თუკი ცალკეულ საარჩევნო ოლქებს განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' სასოფლო არეალებში გაცილებით კარგად გამოდიოდა - პარტიამ სოფლებში 10%-ით მეტი ხმა მოაგროვა, ვიდრე სოფლებში. თბილისმა კოალიცია ,,ქართული ოცნების'' საარჩევნო ყულაბაში ლომის წილი - 37% შეიტანა, როდესაც ,,ნაციონალური მოძრაობისთვის'' ეს მაჩვენებელი მხოლოდ 20%-ს შეადგენდა. სასოფლო არეალები მნიშვნელოვანი გახლდათ მმართველი გუნდისთვის - მათ ხმების 55%

სწორედ სოფლებში განლაგებულ საარჩევნო უბნებზე მოაგროვეს.

საქართველოს საარჩევნო სისტემაში 73 ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქებიც შედის. მათი საზღვრები, როგორც წესი, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებს ემთხვევა. ამომრჩეველთა რაოდენობა განსხვავებულია - იგი 6000-დან (ცაგერი) 140 000-მდე (ქუთაისი) მერყეობს. მოსალოდნელი იყო, რომ მაჟორიტარულ ოლქებში ამომრჩეველთა არათანაბარი განაწილება და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება ,,ნაციონალური მოძრაობის'' წარმატებას განაპირობებდა, თუმცა კოალიცია ,,ქართულმა ოცნებამ'', პროპორციულის მსგავსად, შეძლო უფრო მეტი მაჟორიტარული ოლქის მოგება. არჩევნების საბოლოო შედეგების თანახმად, ოპოზიციას 41 მანდატი შეხვდა, ხოლო სამთავრობო გუნდს კი - 32.

მცირე გამონაკლისების გარდა, მაჟორიტარულ ოლქებს ის პოლიტიკური ჯგუფი იგებდა, რომელიც პროპორციულ არჩევნებში იმარჯვებდა. გამონაკლისს მხოლოდ დედოფლისწყარო, თეთრიწყარო, ხაშური , ამბროლაური და ტყიბული წარმოადგენდნენ. ოლქების აბსოლუტურ უმრავლესობაში, ერთი და იგივე პარტიის მიერ პროპორციულ და მაჟორიტარულ არჩევნებში მიღებულ ხმებს შორის სხვაობა 5%-ს არ აღემატებოდა.

მაჟორიტარულ ოლქებში ხმის მიცემის გეოგრაფიაც მსგავსი გახლდათ - ,,ოცნების'' კანდიდატებმა გაიმარჯვეს თბილისის, თვითმმართველი ქალაქების, გურიის, ქვემო აჭარის, ზემო იმერეთის და შიდა ქართლის მაჟორიტარულ ოლქებში, როდესაც ,,ნაციონალური მოძრაობის'' წარმომადგენლები კარგად გამოდიოდნენ სამეგრელოში, დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, ზემო აჭარასა და სამხრეთ საქართველოში. როგორც ჩანს, მაღალი საარჩევნო პოლარიზაციის გამო, მაჟორიტარული კანდიდატებისადმი პრეფერენცია ამომრჩევლის პარტიული კუთვნილებით იყო განპირობებული - ძირითადად, ამომრჩევლები ირჩევდნენ იმ კანდიდატს, რომლის პოლიტიკურ ჯგუფს პროპორციულ ხმის მიცემაში დაუჭირეს მხარი და პირიქით.

ცესკო-ს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების თანახმად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის აქტივობა 61%-ს შეადგენდა, რომელიც ბოლო ორი დე-

კადის მანძილზე უმაღლესი მაჩვენებელია. ხმის მიცემის მსგავსად, საარჩევნო აქტივობასაც გამოკვეთილი სივრცითი თავისებურებები გააჩნდა. თბილისის რამდენიმე ოლქში, ასევე - საჩხერეში, ხარაგაულსა და ამბროლაურში, აქტივობამ 70%-ზე მეტს მიაღწია, რაც ამომრჩეველთა ინტერესის და პარტიული აქტივის მობილიზების მაგალითია. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებს (წალკას, მარნეულს, ბოლნისს და გარდაბანს) ყველაზე დაბალი აქტივობა ქონდათ. რეგიონული თვალსაზრისით, სამეგრელოში, ქვემო ქართლსა და ჯავახეთში აქტივობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები დაფიქსირდა, ხოლო ზემო იმერეთი, გურია და თბილისი ლიდერებს შორის გახლდნენ. წინა არჩევნებთან შედარებით, აქტივობა შემცირდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ არეალებში, ხოლო თბილისის ცენტრალურ რაიონებში კი - მოიმატა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მ. სააკაშვილის მიერ საპრეზიდენტო და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მიერ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიღებული ხმები საარჩევნო აქტივობასთან საკმაოდ მაღალ დადებით კორელაციაში იყო; თუმცა აღნიშნული ტენდენცია არ შენარჩუნდა 2012 წელს. უფრო მეტიც, კორელაციის კოეფიციენტი უარყოფითი გახლდათ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის'' .

## 3.5 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას ქვეყანაში მრავალი პოლიტიკური ცვლილება მოყვა. საკონსტიტუციო რეფორმის გატარების შემდეგ, პრეზიდენტის უფლებამოსილება მნიშვნელოვნად შეიზღუდა და მმართველობის საპრეზიდენტო ფორმა საპარლამენტოთი შეიცვალა. საპარლამენტო არჩევნებიდან 2013 წლის შემოდგომამდე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჯერარნახული პროცესი მიმდინარეობდა, როდესაც პრეზიდენტი და მთავრობა ე. წ. კოჰაბიტაციის მდგომარეობაში იმყოფებოდა. გასაკვირი არ იყო, რომ აღნიშნული პერიოდი პოლიტიკური თვალსაზრისით, დაძაბული გახლდათ და განსაკუთრებით წინასაარჩევნო კამპანია ფართო ურთიერთბრალდე-

ზების ფონზე მიმდინარეობდა.

მმართველმა კოალიციამ საპრეზიდენტო კანდიდატად განათლების ყოფილი მინისტრი, გ. მარგველაშვილი წარმოადგინა. წინასწარი გამოკითხვების თანახმად, მისი პირადი რეიტინგი მცირედით ჩამორჩებოდა ,,ნაციონალური მოძრაობის'' კანდიდატის, დ. ბაქრაძის მოწონების მაჩვენებლებს, თუმცა გამოკითხულთა უმეტესობა (29%) მარგველაშვილის პრეზიდენტად ხილვას მიესალმებოდა. გასათვალისწინებელია, რომ ტრადიციულად, მსგავს კითხვაზე ძალიან მაღალი იყო იმ ადამიანთა წილი, რომლებიც არ იყვნენ ჩამოყალიბებული საკუთარ გადაწყვეტილებაში, ან - უარს აცხადებდნენ პასუხის გაცემაზე.

არჩევნების მთავარი ინტრიგა მდგომარეობდა იმაში, მოახერხებდა თუ არა ხელისუფლების მიერ წამოყენებული კანდიდატი გამარჯვების პირველ ტურში მოპოვებას. სიტუაცია გაამწვავა გ. მარგველაშვილის გამონათქვამმაც, როდესაც იგი, მეორე ტურის შემთხვევაში, საკუთარ კანდიდატურას მოხსნიდა.

რაც შეეხება თავად წინასაარჩევნო და არჩევნების დღეს მიმდინარე პროცესებს, იგი საკმაოდ მშვიდ ვითარებაში წარიმართა. როგორც ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიამ აღნიშნა (OSCE ODIHR, 2013), 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნები იყო მშვიდი, გამჭვირვალე და ეფექტურად ჩატარებული. ადამიანის ძირითადი უფლებები დაცული იყო და არჩევნების დღეს ამომრჩევლებს საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვა შეეძლოთ. თუმცა როგორც სადამკვირვებლო მისიას, ისევე ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს გარკვეული პრეტენზიები ქონდათ ადგილობრივი საარჩევნო ადმინისტრაციების თანამშრომელთა კვალიფიკაციის საკითხში, რაც ხმის მიცემის პროცესის ორგანიზებაში პრობლემების გამოვლენამ გამოიწვია (მაგ. გადატვირთული საარჩევნო უბნები და ა.შ.)

საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე აქტივობა ძალიან შემცირდა. აღმოჩნდა, რომ საარჩევნო ყუთებთან ამომრჩეველთა ნახევარიც კი არ გამოცხადდა და აქტივობამ საბოლოო ჯამში, 47% შეადგინა. მოლოდინი-

სამებრ, სახელისუფლებო კანდიდატმა ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე მოახერხა ხმების 61%-ის მოგროვება. მეორე ადგილზე ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მიერ წარმოდგენილი დ. ბაქრაძე გავიდა, რომელმაც მოსულ ამომრჩეველთა 21.72%-ის მხარდაჭერა მიიღო, მესამე ადგილზე კი ნ. ბურჯანაძე გავიდა ხმების 10.19%-ით.



სურ. 8: 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. საარჩევნო ყულაბა დასახლებული პუნქტის ტიპის მიხედვით

საინტერესოა, რომ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე პირველად დაფიქსირდა, რომ ძირითადი კანდიდატებისთვის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებს ხმების დაახლოებით თანაბარი პროპორცია მოქონდათ 8.

დაახლოებით მსგავსი იყო ხმის მიცემის განაწილება დასახლებული პუნქტების ტიპის და მხარეების მიხედვით. სახელისუფლებო კანდიდატმა ყველგან მოახერხა 50%-იანი ბარიერის დაძლევა, საზღვარგარეთის საარჩევნო უბნების გარდა. განსაკუთრებით მაღალი იყო მისი მხარდაჭერა დედაქალაქსა და სასოფლო ტიპის დასახლებულ პუნქტებში. რაც შეეხება დ. ბაქრაძეს, ხმების მაქსიმალური რაოდენობა მან საშუალო-მსხვილ ქალაქებში მოაგროვა, ხოლო მინიმალური - მცირე ზომის ურბანულ დასახლებებში.

ასევე მცირე ვარიაცია დაფიქსირდა სამთავრობო კანდიდატის ხმების სამხარეო განაწილებებს შორის. ყველაზე მაღალი პროცენტული წილი გ. მარგველაშვილის ხმებში გურიაში დაფიქსირდა (71%), ხოლო მინიმალური - სამეგრელოში (53%). ამ უკანასკნელში საკმაოდ კარგად გამოდიოდა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' კანდიდა-




სურ. 9: 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. ხმის მიცემა დასახლების ტიპის მიხედვით

ტი, სადაც დ. ბაქრაძემ ხმების 39% მოაგროვა. ნ. ბურჯანაძემ ხმების მაქსიმალური წილი (15%) აჭარასა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში მიიღო, ხოლო მინიმალური - გურიასა და იმერეთში.

როგორც სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი კოეფიციენტების განაწილე-ბის რუკა აჩვენებს (დანართი დ.10), გ. მარგველაშვილის მიერ მიღებული ხმების მაღა-ლი მაჩვენებლების კონცენტრაცია წარმოდგენილია თბილისსა და საქართველოს სამ-ხედრო გზის გასწვრივ, გარე კახეთში, ასევე შიდა ქართლში, ზემო იმერეთში, ჯავახეთ-სა და გურიაში. მინიმალური მაჩვენებლებით გამოირჩევიან შიდა კახეთი, ქვემო ქარ-თლი, სამეგრელო და აჭარა. დ. ბაქრაძის მხარდაჭერაში ოთხი მთავარი არეალი გამო-იყოფა - სამეგრელო და ქვემო იმერეთი, სამცხე, ქვემო ქართლი და შიდა კახეთი. რაც შეეხება ნ. ბურჯანაძეს, მის მიერ მიღებული მაღალი ხმების კონცენტრაცია წარმოდგე-ნილი იყო აჭარაში, სამცხე ჯავახეთში, საქართველოს მთიანეთსა და შიდა კახეთში.

## 3.6 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საქართველოსთვის გამორჩეული გახლდათ. მისი მნიშვნელობა თვითმმართველობის კოდექსის მიღებით იყო განპირობებული, რომელიც მუნიციპალიტეტებს ახალ უფლებამოსილებებს გადასცემს და ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის რეფორმის გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს. თვითმმართველობის ახალ კოდექსის მიღებას საზოგადოების გარკვეული ფენებიდან წინააღმდეგობა შეხვდა და კონსენსუსის საფუძველზე, მისი ხასიათი საბოლოო რედაქციაში საკმაოდ შეიცვალა. გადაწყდა, რომ წარმომადგენლობით ორგანოებში, ასევე მერის და გამგებლის თანამდებობაზე 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებში პირებს სამი წლის ვადით აირჩევდნენ.

ახალი კოდექსის თანახმად, საქართველოში არსებობს 11 თვითმმართველი ქალაქი: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ფოთი, გორი, ზუგდიდი, ახალციხე, ამბროლაური, თელავი და მცხეთა. მუნიციპალურ არჩევნებში ამ დასახლებული პუნქტების მცხოვრებლებს ქალაქის მერის პირდაპირი წესით არჩევის საშუალება მიეცათ. 2010 წელს მსგავსი უფლებით მხოლოდ თბილისელმა ამომრჩეველმა ისარგებლა. სიახლე იყო მუნიციპალიტეტების გამგებლის არჩევნები - გარდა თვითმმართველი ქალაქებისა, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირდაპირი წესით საქართველოს 59 მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ აირჩია. არ შეცვლილა წარმომადგენლობითი ორგანოების დაკომპლექტების წესი. მუნიციპალიტეტის და თვითმმართველი ქალაქის საკრებულოს წევრები შერეული წესით - პროპორციული და მაჟორიტარული ხმის მიცემით გაირკვნენ. საკრებულოს წევრების რაოდენობა განისაზღვრებოდა თვითმმართველ ერთეულში ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით.

არჩევნებში მონაწილეობისთვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 25 პოლიტიკური პარტია და ბლოკი დაარეგისტრირა. დაშვებული იყო დამოუკიდებელი კანდიდატების მონაწილეობა, ოღონდ მხოლოდ მაჟორიტარულ არჩევნებში. სხვადასხვა მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი იყო პოლიტიკური პარტიების განსხვავებული რაო-

დენობა, მაგალითად, ი. ოქრუაშვილის ,,ქართული პარტია'' მხოლოდ ქალაქ გორის და გორის თვითმმართველი თემის საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობდა.

მნიშვნელოვანი ცვლილება გახლდათ მერების და გამგებლების არჩევნების შემთხვევაში ბარიერის 50%-მდე აწევა. აღნიშნული გარდა მაღალი დემოკრატიული სტანდარტისა, პოლიტიკური პარტიების გაძლიერების და ადგილობრივი თვითმმართველობის ლეგიტიმაციის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. არც იყო გასაკვირი, რომ ამ ცვლილებამ ზევრ თვითმმართველ ერთეულში, თბილისის ჩათვლით, მეორე ტურის საჭიროება გამოიწვია.

2014 წლის მუნიციპალურ არჩევნებში, რომელიც ქართული დემოკრატიისთვის კიდევ ერთ გამოცდას წარმოადგენდა, პოლიტიკურ ჯგუფებს განსხვავებული ამოცანები ქონდათ გადასაჭრელი. მმართველი გუნდი ადგილობრივ თვითმმართველობებზე კონტროლის მოპოვებას ცდილობდა, ხოლო ოპოზიციური ჯგუფებისთვის მთავარ პრობლემას წარმომადგენლობით ორგანოებში მაქსიმალურად მეტი ადგილის მოპოვება და საკუთარი სიცოცხლისუნარიანობის დამტკიცება წარმოადგენდა. ამასთან, პოლიტიკურ ლანდშაფტში ძალების ახალი კონფიგურაცია ჩამოყალიბდა, რამაც არჩევნების მიმდინარეობასა და მის შედეგებზე საინტერესო გავლენა მოახდინა.

"ქართული ოცნებისთვის'' ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, პირველ სერიოზულ გამოცდას წარმოადგენდა. მმართველი კოალიციის კიდევ ერთ ამოცანას მუნიციპალიტეტებში ძალაუფლების ლეგიტიმაცია გახლდათ. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ახალ პოლიტიკურ რეალობაზე მორგების მიზნით, ბევრგან მოხდა გამგებლების გადაყენება, არსებული ფრაქციების დაშლა, რაც ხშირად სკანდალების და ძალადობის ფონზე მიმდინარეობდა. გარდა ამისა, მმართველ პოლიტიკურ გუნდს არჩევნების მაღალი სტანდარტებით ჩატარების და ამგვარად საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი პოზიციების გამაგრებაც წარმოადგენდა.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის'' მუნიციპალურ არჩევნებში მთავარ მი-

ზანს საკუთარი, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსის გამყარება გახლდათ. ამასთან, საჭირო იყო, რაც შეიძლება მეტ საკრებულოებზე კონტროლის განხორციელება. ,,ნაციონალური მოძრაობისთვის'' მნიშვნელოვან დარტყმას პოლიტიკური ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერის, გ. უგულავას დაკავება გახლდათ. როგორც პარტიის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, ამ ქმედებას პოლიტიკური სარჩული ქონდა, თუმცა ქვეყნის პროკურატურას განსხვავებული მოტივები გააჩნდა.

"ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის'' საბოლოო კონფიგურაცია არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გახდა ცნობილი. გარდა ,,დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსი'', მის შემადგენლობაში შევიდნენ ,,ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობა'' და ,,ქართული დასი'' . ,,ერთიან ოპოზიციას'' პრეტენზია ჰქონდა, გამხდარიყო მთავარი ოპოზიციური ძალა და ეს ადგილობრივ თვითმმართველობებში მხარდაჭერის მოპოვებით განეხორციელებინა.

მუნიციპალური არჩევნების წინ გამოჩნდა კიდევ ერთი პოლიტიკური ჯგუფი, რომლის წარმატებას წინასწარი გამოკითხვები ვერ წინასწარმეტყველებდნენ. ,,დავით თარხან-მოურავი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსის'' წევრები წინა ხელისუფლებისადმი უკიდურესად რადიკალური დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ. აქ წარმოდგენილი სახეების მნიშვნელოვანი ნაწილი მედიაკავშირ ,,ობიექტივთან'' ასოცირდებოდა. ,,პატრიოტთა ალიანსს'', მსგავსად ბურჯანაძის კოალიციისა, გამოხატული საგარეო - და შიდაპოლიტიკური მიმართულებები ქონდა - ერთის მხრივ, რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების, ხოლო მეორეს მხრივ - სოციალური კონსერვატიზმის საკითხი.

წინასაარჩევნო გამოკითხვების თანახმად, როგორც პროპორციულ, ასევე თვითმმართველი ქალაქების მერების შემთხვევაში, ლიდერობას ,,კოალიცია ქართული ოცნება'' და მის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატები ინარჩუნებდნენ, თუმცა საკმაოდ დიდი იყო იმ პოტენციურ ამომრჩეველთა რიცხვი, რომლებმაც არ იცოდნენ, ან უარს აცხადებდნენ პასუხის გაცემაზე. ,,ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის'' მიერ მიმდინარე წლის აპრილში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ამომრჩეველთა 48% საკრე-

ბულოს პროპორციულ არჩევნებში ,,ქართულ ოცნებას'' დაუჭერდა მხარს, 12% - ,,ნაციონალურ მოძრაობას'', ხოლო 4-4% - ,,ერთიან ოპოზიციას'' და ,,ლეიბორისტულ პარტიას'', 19%-მა არ იცოდა საკუთარი არჩევანის შესახებ, ხოლო 8% კი უარს აცხადებდა პასუხის გაცემაზე. რაც შეეხება მერობის კანდიდატებს, ამავე კვლევის თანახმად, ,,ქართული ოცნების'' კანდიდატი თორმეტიდან სამ ქალაქში ახერხებდა 50%-იანი ბარიერის პირველივე ტურში გადალახვას, დანარჩენებში კი მეორე ტური გახლდათ მოსალოდნელი.

2014 წლის 15 ივნისს გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველი ტური. როგორც სადამკვირვებლო ორგანიზაციები აცხადებდნენ, ხმის მიცემის პროცესმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა (სამართლიანი არჩევნები, 2014). დაფიქსირდა ტექნიკური ხასიათის დარღვევები, რომლებიც ძირითადად საარჩევნო მოხელეების დაბალი კვალიფიკაციით და საქმისადმი არასათანადო დამოკიდებულებით გახლდათ გამოწვეული (საია, 2014). საერთო ჯამში, დაფიქსირებულ დარღვევებს არჩევნების შედეგებზე გავლენა არ მოუხდენიათ.

საარჩევნო აქტივობა საკმაოდ დაბალი გახლდათ. 15 ივნისს საარჩევნო ყუთებთან ამომრჩეველთა მხოლოდ 37% გამოცხადდა. განსაკუთრებით დაბალი აქტივობა დაფიქსირდა მსხვილ ქალაქებში, თბილისის საარჩევნო ოლქებში, ასევე ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ მარნეულის, გარდაბნის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში. ამომრჩეველი განსაკუთრებით აქტიურობდა ასპინძის მუნიციპალიტეტში, სადაც მონაწილეობა რეგისტრირებულთა თითქმის 70%-მა მიიღო. მაღალი აქტივობით გამოირჩნენ ზემო აჭარის, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის, სამეგრელოს და გურიის ცალკეული მუნიციპალიტეტები.

დაბალი აქტივობის ტენდენცია საქართველოში ჩატარებულ ბევრ მუნიციპალურ არჩევნებზე გამოიკვეთა. 1998 წლის შემდეგ ჩატარებული ხუთი ადგილობრივი არჩევნებიდან აქტივობა არცერთში აღემატებოდა 50%-ს, ხოლო სამ მათგანში საერთოდ 40%-ზე დაბალი გახლდათ (Gilbreath, 2014).

პროპორციულ არჩევნებში, საქართველოს მასშტაბით, ,,ქართულმა ოცნებამ'' ხმების 51% მოაგროვა. ხმების მაქსიმალური რაოდენობა პოლიტიკურმა ჯგუფმა მიიღო დედოფლისწყაროს, საჩხერის, დმანისის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში, ამასთან, ყოფილი და ამჟამინდელი პრემიერმინისტრის მშობლიურ მუნიციპალიტეტებში კოალიციის მიერ მიღებული ხმები 80%-ს აღემატებოდა. ხმების მინიმალური მაჩვენებლები დაფიქსირდა გორის, მცხეთის, ფოთის და რუსთავის საარჩევნო ოლქებში, 36-40%-ის ფარგლებში.

"ნაციონალური მოძრაობა'', ტრადიციულად, კარგად გამოდიოდა სამეგრელოს მუნიციპალიტეტებში. ქალაქ ზუგდიდში მან ხმების 40%-ის მოგროვება მოახერხა. პოლიტიკურ ჯგუფს ასევე დიდი მხარდაჭერა გააჩნდა ქვემო იმერეთში, ახალციხის მუნიციპალიტეტსა და მთაწმინდა-კრწანისის საარჩევნო ოლქებში. რაც შეეხება მინიმალურ მაჩვენებლებს, ამ მხრივ გამოირჩეოდა ყაზბეგის, ქალაქ მცხეთის, საჩხერის და თიანეთის საარჩევნო ოლქები.

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ,,ერთიანი ოპოზიციის'' ხმების განაწილება ნაკლებად ამჟღავნებდა გეოგრაფიულ თავისებურებებს, თუმცა შედარებით მაღალი მხარდაჭერით გამოირჩეოდნენ ვანის, თიანეთის, ლაგოდეხის და ტყიბულის მუნიციპალიტეტები. განსაკუთრებით წარუმატებელი კოალიციისთვის ნინოწმინდის, ზუგდიდის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტები აღმოჩნდა.

"პატრიოტთა ალიანსის'' ხმების განსაკუთრებული კონცენტრაცია დაფიქსირდა გურიაში, ქვემო აჭარაში, ადიგენის, დუშეთის და წალკის მუნიციპალიტეტებში (10% და მეტი). პოლიტიკური ჯგუფი თბილისის საკრებულოშიც მოხვდა, რის ერთერთი მიზეზიც ვაკის და საბურთალოს საარჩევნო ოლქებში მოპოვებული ხმების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი გახდა.

როგორც აღვნიშნეთ, საკრებულოს დეპუტატების ნაწილი მაჟორიტარული წესით აირჩეოდა (იხ. დანართი დ.25). როგორც რუკიდან ჩანს, მაჟორიტარული ოლქების უმეტესობაში გამარჯვებას ,,ქართული ოცნების'' კანდიდატებმა მიაღწიეს, თუმცა ასევე აღ-

სანიშნავია დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ მიღწეული გამარჯვება მთელ რიგ ოლქებში. ,,ნაციონალური მოძრაობის'' მაჟორიტარები ძირითადად, დასავლეთ საქართველოს ოლქებში იმარჯვებდნენ.

რაც შეეხება გამგებლების და თვითმმართველი მერების არჩევნებს, 8 თვითმმართველ ქალაქში და 13 მუნიციპალიტეტში გამარჯვებულის გამოსავლენად მეორე ტურის ჩატარება გახდა საჭირო. საბოლოო ჯამში, ყველგან ქართული ოცნების მიერ წამოყენებულმა კანდიდატებმა მიაღწიეს გამარჯვებას, მაგრამ მეორე ტურში გასული კანდიდატების პოლიტიკური კუთვნილება განსხვავებული გახლდათ. თბილისში, თელავში, რუსთავსა და ბათუმში მმართველ კოალიციას ,,ნაციონალური მოძრაობის'' კანდიდატები დაუპირისპირდნენ, ფოთსა და ოზურგეთში - ,,პატრიოტთა ალიანსის'', მცხეთაში - მწვანეების, ხოლო გორში - ,,ქართული პარტიის'' მიერ მხარდაჭერილი კანდიდატები. მსგავსი განაწილება გვქონდა გამგებლების შემთხვევაშიც, თუმცა აქ რამდენიმე მუნიციპალიტეტში მეორე ტურში ,,ერთიანი ოპოზიციის'' კანდიდატი გავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მოსახლეობის მხრიდან გარკვეულწილად უგულებელყოფილი გახლდათ, მისმა მსვლელობამ დაამტკიცა, რომ დემოკრატიული არჩევნების ჩატარება ქვეყანაში პრობლემას აღარ წარმოადგენს. მართალია, აქ საპარლამენტო არჩევნების მსგავსი გამოხატული გეოგრაფიული თავისებურებები არ გვქონდა, თუმცა დადასტურდა, რომ ზოგიერთ პოლიტიკურ ჯგუფს მხარდაჭერის მკვეთრად ჩამოყალიბებული რეგიონული არეალები გააჩნია. გარდა ამისა, მერების და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევა უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯია ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირების საკითხში.

# 4 ხმის მიცემა თბილისის ურბანულ კონტექსტში

ტექსტის ამ ნაწილში თბილისის ორ უბანში ჩატარებული თვისებრივი კვლევის საფუძველზე დავახასიათებთ ე. წ. დარწმუნების და მოლაპარაკების ქსელების წარმოშობის თავისებურებებს, ასევე ამომრჩეველთა პერსონალურ ისტორიებსა და ნარატივებზე დაყრდნობით, გამოვყოფთ საარჩევნო გადაწყვეტილებაზე მოქმედ ფაქტორებს.

## 4.1 სამეზობლო და სოციალური ქსელები

ვიდრე უშუალოდ მონაცემთა ანალიზზე გადავიდოდეთ, ჯერ აღვწერთ თბილისში გავრცელებული სოციალური ქსელების და მათი გეოგრაფიული განაწილების თავისებურებები. საარჩევნო გადაწყვეტილების მიღებისას დიდი როლი ენიჭება სოციალურ ქსელებს და ინდივიდებს შორის არსებულ ურთიერთობებს. ამ დროს ადამიანები განიხილავენ მნიშვნელოვან საკითხებს, პოლიტიკის ჩათვლით. აღნიშნული კავშირები ე. წ. ,,საუბრით მოქცევის'' მთავარ წყაროს წარმოადგენენ.

როგორც აღვნიშნეთ, საცხოვრისის განაწილების პოლიტიკა საბჭოთა ეპოქაში სახელმწიფოს მიერ მთლიანად რეგულირდებოდა და კომერციული აქტივობისთვის შეზღუდული პირობები არსებობდა. რადგან საბჭოთა კავშირში მოქმედებდა ე. წ. ჩაწერის ინსტიტუტი, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა. 1990-იან წლებამდე ჩვენი კვლევის ფოკუსში მყოფი უბნების სოციალური სტრუქტურა კომერციული საქმიანობის შედეგად არ შეცვლილა, სამაგიეროდ, საბჭოთა კავშირის დაშლით და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისით გამოწვეულ მოსახლეობის მობილობით ამ ორმა უბანმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. აღნიშნულს რესპონდენტების მიერ მოთხრობილი ისტორიებიც მოწმობს: '' ძალიან ცოტა ,,ძირითადი'' ოჯახები დარჩნენ, რომლებიც ამ კორპუსის თავდაპირველი მცხოვრებლები იყვნენ (ქალი, გლდანი)'' ; '' როგორც წესი, ჩვენი მეზობლები ძალიან სწრაფად იცვლებიან...ადრე ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა თავდაპირველ მეზობლებთან (მამაკაცი, ვაკე)'' . ცხადია, რომ ორივე უბნის მრავალმა მცხოვრებმა გააქირავა საკუთარი ბინა

დამატებითი სარგებლის მიღების მიზნით, ან ფინანსური შეჭირვების გამო გაასხვისა პირვანდელი საცხოვრებელი. რთულია იმის მტკიცება, თუ რამდენად ახდენს აღნიშნული ფაქტორი გავლენას ხმის მიცემის პროცესზე, თუმცა უბნის შეცვლილი სოციალური სტრუქტურა შესაძლოა, ,,ძირძველი/თავდაპირველი'' მოსახლეობისთვის ,,საშიშ'' ფაქტორს წარმოადგენდეს, განსაკუთრებით კი - ქალაქის ცენტრალურ ნაწილში.

რესპონდენტები ასევე ხაზს უსვამდნენ ,,ძველ დროში'' გამართული საერთო სუფრების როლს, როდესაც მათ საშუალება ჰქონდათ, მეზობლებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინათ. როგორც გლდანში ჩატარებულ ერთ-ერთ ინტერვიუში რესპონდენტი იხსენებდა, ენერგოკრიზისის და ეკონომიკური შეჭირვების პერიოდში ყველა მონაწილეობდა საერთო საკვების მომზადებაში და საჭმელიც ყველა მეზობელს ერგებოდა. სუფრა ასევე შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვა საკითხის, მათ შორის, პოლიტიკის განხილვის ადგილად. რესპონდენტები ასევე მიუთითებდნენ, რომ შეკრება როგორც წესი, საცხოვრებელი კორპუსის ეზოში ხდებოდა. ეზო კომუნიკაციის, საერთო პრობლემების განხილვის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის მნიშვნელოვანი სივრცეა. მართალია, არცერთი რესპონდენტი აღნიშნავდა, რომ მათზე გავლენას მსგავსი დისკუსია ახდენდა, მაგრამ ხაზს უსვამდნენ, რომ თითქმის ყველა მეზობელს მეტ-ნაკლები წარმოდგენა გააჩნდა (და გააჩნია) სხვების პოლიტიკური პრეფერენციების შესახებ.

თუკი ნარატივებს შორის გეოგრაფიულ სხვაობას გადავხედავთ, სახლის და ყოველდღიური პრობლემები, როგორებიცაა ლიფტი, საცხოვრებელი კორპუსის სახურავი, ელექტროენერგიის და ნაგვის გატანის ღირებულება გლდანის მოსახლეობისთვის, სადაც მოსახლეობა ძირითადად მაღალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში ცხოვრობს, მეზობლებთან დისკუსიის ძირითად საკითხებს წარმოადგენენ. კომუნალური პრობლემების როლს ვერ უარვყოფთ ვაკეში გამოკითხულ რესპონდენტებს შორისაც, თუმცა ამ შემთხვევაში, პოლიტიკაც ასევე განხილვის აქტუალურ თემას წარმოადგენს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავდაპირველი განსახლების პოლიტიკის და კოოპერატიული ბინათმშენებლობის როლის გამო, შემთხვევითი არაა, რომ რამდენიმე რეს-

პონდენტმა აღნიშნა, რომ მათი მეგობრები და ახლობლები იმავე უბნებში არიან თავმოყრილები. იშვიათად, მაგრამ გვხვდებოდა ისეთი შემთხვევა, როგორიც გლდანში გვქონდა: და-ძმებიც კი მეზობელ ან იმავე მაღალსართულიან კორპუსებში სახლობდნენ. თუკი ორ უბანს შორის სხვაობას დავაკვირდებით, გლდანსა და ვაკეს შორის სოციალური ქსელების კონცენტრაციას შორის მნიშვნელოვან სხვაობას დავინახავთ. ვაკეში, როგორც წესი, უფრო ხნიერი რესპონდენტები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ მათი მეგობრები და კოლეგები იმავე უბნის მცხოვრებლები არიან, მაშინ, როდესაც გლდანის შემთხვევაში მოსახლეობის ქსელები მათი საცხოვრებელი უბნის გარეთაა კონცენტრირებული.

ზემოთქმულის შეჯამების მიზნით, გვინდა, რამდენიმე ფაქტს გაესვას ხაზი. როგორც ირკვევა, პრობლემების და მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის ქსელები, რომლებიც ნათესავების, ოჯახის წევრებისა და მეგობრებისგან შედგება, განსკუთრებით ვაკის რაიონში, მაღალი ტერიტორიული კონცენტრაციით ხასიათდება. საფიქრებელია, რომ ამ ფაქტს გადაწყვეტილების მიღების გეოგრაფიაზე უნდა ჰქონდეს გავლენა. როგორც ინტერვიუები გვაჩვენებენ, პოლიტიკური დისკუსია საუბრის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თემაა. შესაბამისად, ე. წ. სამეზობლოს ეფექტი მნიშვნელოვანი თეორიული კონსტრუქციაა საარჩევნო ქცევის მიზეზების ახსნისთვის. აღნიშნული კონცეფცია გვთავაზობს, თუ როგორ შეუძლიათ ტერიტორიულად კონცენტრირებულ ქსელებს, გავლენა მოახდინონ და ჩამოაყალიბონ ერთნაირი საარჩევნო ქცევა. როგორც ვხედავთ, სამზარეულოსა და ეზოს დისკუსიების პოლიტიკას ნამდვილად აქვთ გავლენა არჩევნების გეოგრაფიულ თავისებურებებზე, რაც ასე კარგად ჩანს თბილისის ცალკეული უბნების საარჩევნო გეოგრაფიის მაგალითზე.

## 4.2 არჩევნების და ხმის მიცემის პერსონალური აღქმა

ამ ქვეთავში ჩვენ აღვწერთ, თუ როგორ აღიქვამდნენ რესპონდენტები ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და შევაფასებთ იმ ფაქტორებს, რომლებიც მოქმედებენ საარჩევნო გადაწყვეტილებასა და ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფისადმი ლოიალობაზე. აქვე მო-

თხრობილია რესპონდენტების ცალკეული მოვლენებისადმი დამოკიდებულების შესახებ, რომლებიც მათი აზრით, მოსახლეობისთვის საარჩევნო გადაწყვეტილების მიღებისას გახლდათ მნიშვნელოვანი.

აღმოსავლეთევროპული არჩევნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საარჩევნო ქცევის ჩამომყალიბებელი ფაქტორები ლიპსეტის და როკანის შემოთავაზებულისგან განსხვავდება და უფრო საბჭოთა პერიოდს უკავშირდება, ვიდრე მე-18 და მე-19 საუკუნეში მომხდარ რევოლუციებს. თბილისში არსებული მდგომარეობა ასევე მიგვითითებს, რომ აქ როგორც მინიმუმ, ბოლო ექვსი წლის მანძილზე, ამომრჩეველთა მობილიზაცია იდეოლოგიურად მოტივირებული პარტიების ქოლგის ქვეშ არ ხდებოდა - ეს ზოგადად, ქართული პოლიტიკის ნიშან-თვისებაა. მართალია, ქვეყანაში არსებული ძირითადი პოლიტიკური პარტიები ყოველთვის აცხადებენ, რომ ამა თუ იმ იდეოლოგიური ხაზის გამტარებლები არიან, თუმცა აღწერილ კონტექსტში ამომრჩეველთა დამოკიდებულება უფრო კონკრეტული პოლიტიკოსისადმი დამოკიდებულებას, მის მოწონებას ან არმოწონებას და მასობრივი მედიის საშუალებებში, განსაკუთრებით - ტელევიზიით მისი საქმიანობის გაშუქებას უკავშირდება.

რესპონდენტებმა მრავალი ფაქტორი დაასახელეს, რაც მათი აზრით, შეიძლება წარმოადგენდეს ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკური ჯგუფისადმი ამომრჩეველთა ლოიალობის წყაროს. ყველაზე პირველი და უმთავრესი გახლავთ მედია, განსაკუთრებით - ტელევიზია, რომელიც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის ინფორმაციის მთავარ წყაროს წარმოადგენს.

რესპონდენტები ერთხმად აცხადებდნენ, რომ ტელევიზია ადამიანისთვის მნიშვნელოვანია საარჩევნო გადაწყვეტილების მიღებისას: ,,ბიძინამ არჩევნები ,,მაესტროთი'' მოიგო ('' მაესტრო'' -პოპულარული სატელევიზიო არხი, რომელიც მ. სააკაშვილის და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მძაფრი კრიტიკით გამოდიოდა) [ქალი, გლდანი]'' . ამომრჩევლები ხშირად იღებენ და ითვისებენ ინფორმაციას საკმარისი ანალიზის ან განხილვის გარეშე - ,,საინფორმაციოების გავლენა ისეთია, რომ ადამიანს თავისთვის

ფიქრი არ შეუძლია...ის აუცილებლად გაყვება სხვის აზრებს, [რომლებიც ტელევიზი-ითაა გადმოცემული][მამაკაცი, გლდანი]'' . პრობლემას ისიც წარმოადგენს, რომ ჟურ-ნალისტები ერთგულად ემსახურებიან სხვადასხვა პოლიტიკურ მხარეებს. მათ ფულს უხდიან ან ქრთამავენ, ისინიც მუდმივად ცდილობენ, ასიამოვნონ თავიანთ პატრონებს.

თითქმის ყველა შემთხვევაში, რესპონდენტები ახსენებდნენ მედიას და ტელევიზი-ას როგორც საზოგადოებრივ აზრზე და შესაბამისად, საარჩევნო ქცევაზე მოქმედ ყვე-ლაზე მნიშვნელოვან ფაქტორს. მეორეს მხრივ, მედიისადმი დამოკიდებულება ერთნა-ირად უარყოფითი არ გახლავთ. რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებდნენ ,,მიკერ-ძოებული'' და ,,მიუკერძოებელი'' ინფორმაციის წყაროებზე, თუმცა მიუთითებენ, რომ ისინი უნდა ,,გამოსწორდნენ'' – ,,პირველ რიგში, [ინფორმაციის წყაროებმა] უნდა შეც-ვალონ საკუთარი თავი, გაიზარდონ ...სიმართლის ხალხთან მისატანად (მამაკაცი, გლ-დანი)'' ; ,,[1990-იანი წლებისგან განსხვავებით], ახლა ხალხის შეგნება უფრო მაღალ დო-ნეზეა ტელევიზიის გამო (მამაკაცი, გლდანი)'' .

ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ხალხი შეიძლება აიძულოს, ქრთამის სახით დახმარება მიიღოს სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფებისგან. სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომა-რეობამ შესაძლოა, ხალხს უბიძგოს ისეთი კანდიდატის არჩევისკენ, რომელიც სოცია-ლურ უზრუნველყოფას და დასაქმებას შესთავაზებს. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენ-ტმა განაცხადა, ,,ახლა ხალხის მოქრთამვა შაქრით ან ფქვილით შეიძლება...მომავალზე კი არ ფიქრობენ, [არამედ] დღეს რა ჭამონ'' ან ,,პენსიონერისთვის ეს თავის დახმარებაზე ათი ლარის დამატებაა (ქალი, გლდანი)'' . ზოგიერთი რესპონდენტი ასევე ახსენებდა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს პოლიტიკურის გარდა, ,,ეკონომიკური'' ხა-სიათიც ქონდა, რადგან ამომრჩევლები პირველ რიგში, საკუთარი ეკონომიკური პრობ-ლემების გამოსწორებას ელოდნენ.

საარჩევნო კამპანია, პარტიების პროგრამები და დაპირებები ნებისმიერი დემოკრა-ტიული არჩევნების მთავარ კომპონენტს წარმოადგენენ. როგორც წესი, ისინი პოლი-ტიკური პარტიის/კანდიდატის ოფიციალურ იდეოლოგიას მისდევენ და ცდილობენ,

შესაბამისი ღირებულებების მქონე ამომრჩევლები მიიმხრონ. თუმცა, ჩვენს შემთხვევაში, რესპონდენტებს დიდ მნიშვნელობა არ მიუნიჭებიათ. როგორც, გამოკითხულებმა აღნიშნეს, პოლიტიკური კამპანია და წინასაარჩევნო დაპირისპირებები პოლიტიკოსებისგან დიდად არ ახდენს ამომრჩეველთა გადაწყვეტილებაზე ხმას. მართალია, კარგია, როდესაც არსებობს მიმზიდველი დაპირებები და ზოგიერთმა შესაძლოა, ეს მხედველობაშიც მიიღოს, მაგრამ ამომრჩევლებმა არ იციან, რას მიიღებენ ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის გამარჯვების შემდეგ. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავდა, ,,წინასაარჩევნო დაპირებები საქართველოში არასოდეს შესრულებულა, რაც ვაკვირდები... გამიხარდებოდა, არჩევნებისთვის კამპანიას რომ აზრი ქონდეს (ქალი, ვაკე)'' .

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც რესპონდენტებმა გამოარჩიეს, გახლავთ ინდივიდუალური პოლიტიკოსის ან პოლიტიკური ლიდერის ხასიათი და თავისებურებები. როგორც წესი, რესპონდენტები თანხმდებოდნენ, რომ ძლიერი და ქარიზმატული პოლიტიკოსი ბევრ მომხრეს გაიჩენს და წარმატებულ პოლიტიკურ კარიერასაც გაიკეთებს: ,,ჩემნაირი ხალხისთვის განათლებას და პროფესიონალიზმს აქვს მნიშვნელობა (ქალი, გლდანი)'' . ,,ივანიშვილი არ შეგვჭამს, რადგან უკვე ბევრი [ფული] იშოვა (მამაკაცი, გლდანი)'' . სამაგიეროდ, პირადი ნიშან-თვისებების შეფასება განსხვავებულია - ქარიზმით და ,,საქმის სწრაფად გაკეთებით'' დაწყებული პირადი ეკონომიკური მდგომარეობით დამთავრებული. როდესაც ცალკეული ადამიანების როლზე საუბრობდნენ, რესპონდენტები განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ ბოლო საპარლამენტო არჩევნების შედეგებს. საზოგადოებას ჭირდებოდა ადამიანი, რომელიც არსებული მთავრობის გამოწვევას შეძლებდა. ამ ადამიანს უკვე უნდა ჰქონოდა რაღაც საზოგადოებრივი იმიჯი. საინტერესოა, რომ ზოგიერთი რესპონდენტისთვის, სხვა თვისებებთან ერთად, კანდიდატის რელიგიურობა, უფრო სწორად კი მისი პოლიტიკის ეკლესიასთან თანხვედრა მნიშვნელოვანი ფაქტორია: ,,პირველ რიგში, მართლმადიდებელი ვარ და იმას მივცემ ხმას, ვინც ეკლესიის წინააღმდეგ არ წავა (ქალი, გლდანი)'' .

კიდევ ერთი თავისებურება, რაც ტექსტის ანალიზის შედეგად ჩნდება, არის ის, რომ

გლდანში მცხოვრები რესპონდენტები მიუთითებდნენ სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების გადამწყვეტ როლზე ხმის მიცემისას. მეორეს მხრივ, ვაკეში გამოკითხული რესპონდენტები წინასაარჩევნო დაპირებებს და პარტიების ლიდერების პერსონებს უსვამდნენ ხაზს.

განხილულ შემთხვევებში მივდივართ ე.წ. ,,კვერცხისა და ქათმის'' პრობლემასთან - აიძულებს თუ არა იდეოლოგიურად მოტივირებული პოლიტიკური პარტიების ნაკლებობა ამომრჩევლებს პერსონებზე და მასობრივ მედიაზე კონცენტრირებას თუ საზოგადოების ამჟამინდელი მდგომარეობა იწვევს იდეოლოგიური პარტიების არარსებობას? ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს ორი მოვლენა არაა ურთიერთგამომრიცხავი და ერთად არსებობა შეუძლიათ. ერთის მხრივ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ რესპონდენტებს უთუოდ მახსოვრობაში ჩარჩენილი ჰქონდათ წინა არჩევნებიდან ჩაყოლილი გამოცდილება, როდესაც იდეოლოგიური ხმის მიცემა სრულიად უარყოფილი იყო. ამასთან, მიუხედავად გამოცხადებული იდეოლოგიური კუთვნილებისა, საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები უფრო catch-all და პოპულისტური ტიპისაა, უფრო მეტიც, არსებობს ამორფული პოლიტიკური ერთობები, რომლის წევრებსაც რადიკალურად განსხვავებული მსოფლმხედველობა გააჩნიათ. აღნიშნული ფაქტორი თავისთავად ურთულებს იდეოლოგიურ პარტიებს საქმეს და საშუალებას არ აძლევს ამომრჩეველს, იყოს მათზე ორიენტირებული.

## 4.3 რამ გამოიწვია ,,საარჩევნო გადატრიალება'' ?

წინა ქვეთავში მიმოვიხილეთ, თუ როგორ განსაზღვრავდნენ რესპონდენტები ზოგადად საარჩევნო ქცევის მიზეზებს. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ შეგვიძლია, მივუთითოთ რამდენიმე ზოგად თავისებურებაზე, რომლებიც რესპონდენტების აზრით, მნიშვნელოვანი გახლდათ საარჩევნო გადაწყვეტილებების მიღებისთვის. მათ კონკრეტული არჩევნების შესახებ ვეკითხებოდით და პირადი და ზოგადი სტრატეგიების შესახებაც, რომლებიც ამ პერიოდისთვის მნიშვნელოვანი გახლდათ. ერთმანეთისგან განსხვავე-

ბის მიზნით, რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, შეედარებინათ სიტუაცია, 2008, 2010 და 2012 წლების არჩევნებისას, გაევლოთ პარალელები და ჩამოეთვალათ არსებული მიდგომები. შეგვიძლია, დავინახოთ, რომ ამ პერიოდში ინდივიდუალური გადაწყვეტილების სტრატეგიები საკმაოდ განსხვავდებოდა და ძირითადად, იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით იცვლებოდა.

ზემოთმოყვანილი მსჯელობიდან ჩანს, რომ ჯერჯერობით, რთულია ამომრჩეველთა პოლიტიკური ქცევის იდეოლოგიურ საფუძვლებზე საუბარი. სამაგიეროდ, საზოგადოებაში არსებობს პოლიტიკური პოლარიზაციის მაღალი ხარისხი, რაც განსაკუთრებით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების აღწერისას გამოიკვეთა. თითქმის ყველა რესპონდენტი ახსენებდა ამ პერიოდში ადამიანებს შორის მეტად დაძაბულ ურთიერთობებს და სიტუაციას. უფრო მეტიც, ერთ-ერთმა რესპონდენტმა ,,ქართული ოცნების'' და ,,ნაციონალური მოძრაობის'' ახალგაზრდა მხარდამჭერების ფიზიკური შეხლა-შემოხლის ფაქტებიც მოიყვანა.

2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დახასიათებისას, რესპონდენტთა ნარატივებში რამდენიმე მიმართულება იკვეთება. განსაკუთრებით საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრისას, რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ შედეგები გაყალბებული იყო და ისინი ამომრჩეველთა რეალურ განწყობას არ ასახავდნენ. ამასთან, ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფების და კანდიდატების სისუსტე მათ წარუმატებლობად იყო მონათლული. მათმა სისუსტემ, გაერთიანებაზე შეუთანხმებლობამ და მთავრობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მიღების უუნარობამ ასევე მნიშვნელოვნად განაპირობა არჩევნების შედეგები: ,,გაჩეჩილაძე ,,არასწორი'' ლიდერი იყო (მამაკაცი, გლდანი)'' ...'' კანდიდატების ხარისხის გამო საერთოდ არ იყო შეჯიბრი მთავრობასა და ოპოზიციას შორის (ქალი, ვაკე)'' .

2008 წლის არჩევნებზე საუბრისას, რესპონდენტებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციებს და ტელეკომპანია ,,იმედის'' დახურვას ჰქონდა, რომლის შედეგად ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება უკი-

დურესად დაიძაბა. მეორეს მხრივ, მთავრობის გაძლიერებული ზეწოლის გამო, საზოგადოების ნაწილში ინდიფერენტული დამოკიდებულება სუფევდა. მნიშვნელოვანი იყო არჩევნების შედეგების ფაბრიკაცია და მათი გავლენა საბოლოო რეზულტატებზე. თუკი ნარატივებს გეოგრაფიული კუთხით შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ ვაკის მცხოვრებლები სოციალური პრობლემების როლს უფრო უსვამდნენ ხაზს, რომლებიც ხალხისთვის უკვე იყო მნიშვნელოვანი, ასევე, უსამართლობა და მთავრობის მიერ გატარებული არასწორი პოლიტიკაც იყო ნახსენები. როგორც ჩანს, ზემოთხსენებულ პერიოდში დატრიალებულმა კონკრეტულმა მოვლენებმა ადამიანების შეფასებასა და ხმის მიცემის სტრატეგიებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.

2010 წლის ადგილობრივი არჩევნები ოპოზიციის მიერ ყველაზე მეტად იყო უგულებელყოფილი, რახან მმართველმა პარტიამ ადვილად მიაღწია გამარჯვებას. ეს არჩევნები რესპონდენტებისთვის რთულად გასახსენებელი აღმოჩნდა, რაც ასევე მისადმი დაბალ ინტერესზე მიუთითებს. რესპონდენტები ასევე მიუთითებდნენ 2008 წლის ომით გამოწვეულ იმედგაცრუებაზე, ოპოზიციის სისუსტეზე. უფრო მეტიც - ზოგიერთი მათგანი გიგი უგულავას, როგორც ,,კარგი მერის, რომელმაც კომუნალური მომსახურეობისთვის განსაკუთრებით ბევრი გააკეთა (მამაკაცი, გლდანი)'' როლსაც აღნიშნავდა. ხელისუფლების კანდიდატის და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მიერ ჩატარებულმა აქტიურმა წინასაარჩევნო კამპანიამ გამოიწვია როგორც იმედგაცრუებული ადამიანების მიერ არჩევნების უგულებელყოფა, ასევე მათი ხელისუფლების მხარდასაჭერად მობილიზება.

არსებული სისტემით მზარდი უკმაყოფილება, შიში და რა თქმა უნდა, პატიმართა წამების ამსახველი კადრების გამოქვეყნება წარმოადგენდა 2012 წლის ოქტომბერში ,,ხალხის მიერ მოწყობილი საარჩევნო გადატრიალების (ქალი, გლდანი)'' მთავარ მიზეზს. საქართველოს უახლესი ისტორიის ეს მნიშვნელოვანი მომენტი რესპონდენტებთან დისკუსიის ერთ-ერთი მთავარი თემა გახლდათ.

მთავარი ნარატივები, რომლებმაც ამომრჩეველთა შორის ცვლილებები გამოიწვია,

თემატურად შეიძლება დავაჯგუფოთ. კერძოდ, 2007 წლიდან დაწყებული პოლიტიკური ორომტრიალი, ეკონომიკური მდგომარეობა და უსამართლობა, 2008 წლის აგვისტოს ომი რესპონდენტების მიერ ჩამოთვლილი მთავარი პოლიტიკური თემებია, რომლებმაც მმართველი პარტიისადმი უკმაყოფილების ჩამოყალიბება განაპირობეს: ,,ხალხმა მასიურად გაიგო, რომ ამ ქვეყანაში რაღაც უნდა შეცვლილიყო...[სააკაშვილის მთავრობამ] რაღაცეები კი გააკეთა, მაგრამ [ბოლო წლებში] მეტის გაკეთება შეიძლებოდა (ქალი, გლდანი)'' .

უსამართლობას ეკონომიკასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე თავისუფლების ნაკლებობას რესპონდენტები ხშირად ეხმაურებოდნენ. ყველაზე პოპულარული ფრაზა, რომელიც ამ სიტუაციის დასახასიათებლად გამოიყენებოდა, გახლდათ ,,უკვე მოზეზრებული გვქონდა'' . შიში და უსამართლობის შეგრძნება ბოლო წლების მანძილზე განუხრელად იზრდებოდა. ,,ხალხი სტრესში იყო ჩავარდნილი... რახან მათ თავიანთი ეკონომიკური პრობლემების შესახებ ღიად საუბარი არ შეეძლოთ (ქალი, გლდანი)'' . მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა რესპონდენტი აღნიშნავდა მთავრობის მიერ განხორციელებულ რეფორმებს, მიღწეული წარმატება ნაკლებად მნიშვნელოვანი გახლდათ, რადგან პირადი თავისუფლების და დამოუკიდებლობის შეგრძნება მთავრობის მიერ იგნორირებული გახლდათ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც რესპონდენტებმა წამოჭრეს, ბიძინა ივანიშვილის პერსონაა. როგორც ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, საქართველოში ხალხი ყოველთვის ყურადღებას აქცევდა ცალკეულ ფიგურებს, განსაკუთრებით - ძლიერს და ჩამოყალიბებული ხასიათის მქონეს. ივანიშვილი ერთადერთი იყო, რომელსაც შეეძლო არსებული მთავრობის გამოწვევა - ,,არც ალასანია, არც სხვები ვერ შეძლებდნენ მთავრობის გადაგდებას...(ქალი, გლდანი)'', ამასთან, მისი სიმდიდრე და ეკონომიკურ საქმიანობაში გამოცდილება ადამიანებს იმედს უსახავდა, რომ ეკონომიკური მდგომარეობა და დასაქმება გაუმჯობესდებოდა. მერყევი ამომრჩევლებიც კი, რომლებიც ,,ნაციონალურ მოძრაობას'' თანაუგრძნობდნენ, საბოლოოდ ივანიშვილისკენ გადაიხარ-

ნენ, რადგან ,,იმედი გვქონდა, რომ ეკონომიკისთვის მეტს გააკეთებდა (ქალი, გლდანი)''
.

თუმცა, როგორც ჩანს საკვანძო ფაქტი, რომელმაც მერყევი ამომრჩევლების ,,ქართული ოცნების'' მხარეზე გადასვლა გამოიწვია, ციხის გახმაურებული ფარული ვიდეოჩანაწერები გახლდათ. თითქმის ყველა რესპონდენტი ამბობდა, რომ ბევრმა იცოდა ციხეებში არსებული მსგავსი მდგომარეობის შესახებ, თუმცა უშუალოდ ვიდეოჩანაწერების ხილვამ განსაკუთრებით გააღვივა საპროტესტო განწყობა და ნეიტრალური ამომრჩეველი ოპოზიციის მხარეზე გადაიყვანა.

როგორც რამდენიმე რესპონდენტმა განაცხადა, ვიდეოების ხილვამდე ისინი სრულიად იყვნენ დარწმუნებულები საკუთარ არჩევანში, როგორც მათი სოციალური წრის უმეტესობა მეგობრების, მეზობლების და ნათესავების ჩათვლით. როდესაც ისინი საუბრობდნენ პერსონალურ არჩევანზე, რესპონდენტები აცხადებდნენ, რომ მათზე გავლენა არავის მოუხდენია და ეს პირადული გახლდათ, თუმცა ბევრი მათგანი აღნიშნავს, რომ არჩევნებამდე ადამიანებს შორის მნიშვნელოვანი დისკუსიები იმართებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების შედეგები ორივე ოლქში ერთნაირი გახლდათ, როგორც ჩანს, ამომრჩეველთა მსგავს გადაწყვეტილებაზე განსხვავებულმა მიზეზებმა იმოქმედეს. თუკი ჩვენ შევხედავთ ნარატივებს ვაკიდან, აქ რესპონდენტები განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ პერსონალურ ფაქტორებს. მათი აზრით, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ პოლიტიკაში ქვეყნის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა - ,,მოვიდა ასეთი ადამიანი, რომელიც ცნობილი იყო თავისი [კეთილი] საქმეებით (ქალი, ვაკე)'', ,,მეტი არჩევანი არ გვქონდა - ან მიშა, ან - ბიძინა (კაცი, ვაკე)'' . ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენას თან სდევდა ხალხის სურვილი ცვლილებებისა - აღნიშნული შეხედულება ასევე ფართოდ იყო გავრცელებული ვაკის ტერიტორიაზე. რაც შეეხება გლდანს, აქ ჩვენ აზრების დიდი მრავალფეროვნება გვაქვს, რომლებიც მოიცავენ ციხის კადრებს, ცვლილებების აუცილებლობას, სოციალურ პრობლემებს და უცხოეთის გავლენასაც კი.

## 4.4 ქსელები და საარჩევნო ქცევის ჩამოყალიბება

როგორც მონაცემთა ანალიზიდან გამომდინარეობს, თბილისის ამ ორ უბანში რამდენიმე ფაქტორი გამოიყოფა, რომლებიც საარჩევნო ქცევის ჩამოყალიბებაზე ახდენენ გავლენას. ისტორიული განვითარების თავისებურებების გამო, ჯერჯერობით შეუძლებელია იდეოლოგიაზე დაფუძნებული პოლიტიკური პარტიების არსებობა. მასალებიდან ჩანს, რომ საარჩევნო გადაწყვეტილებებზე შემდეგი მიზეზები ახდენს გავლენას: პოლიტიკური კამპანიები თამაშობენ მნიშვნელოვან მაგრამ არა გადამწყვეტ როლს ამომრჩეველთა მოზიდვის საქმეში. რახან საქართველოში ინფორმაციის მთავარ წყაროს ტელევიზია წარმოადგენს, პოლიტიკის ან ცალკეული პოლიტიკოსების ან პოლიტიკური ჯგუფების გაშუქება მნიშვნელოვანი ზერკეტია. შემდეგი ფაქტორები დამოკიდებულია ,,ვარდების რევოლუციის'' შემდგომ გატარებულ პოლიტიკაზე. სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეები, უსამართლობა და დასჯის შიში აყალიბებდა მოსახლეობაში საპროტესტო ელექტორატს. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, კანდიდატების პირადი თვისებები ასევე დიდ როლს ასრულებდნენ საარჩევნო გადაწყვეტილების მიღების საქმეში.

ჩვენი ანალიზის მთავარი ნაწილი შეეხება ნარატივებს შორის სივრცით სხვაობებს, რომლებიც უკავშირდება რესპონდენტის პოლიტიკურ კუთვნილებას და საარჩევნო გადაწყვეტილებას. პოლიტიკის და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას პოლიტიკურ აზრზე დიდი გავლენა აქვს. დისკუსიების ქსელების ტერიტორიულ კონცენტრაციას შეეძლო, ხმის მიცემის სივრცით ასპექტებზე გავლენის მოხდენა. ასევე ამ ქსელებს შეუძლიათ მსგავსი იდეების გავრცელება ერთსა და იმავე ტერიტორიაზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ერთნაირი სოციალური თავისებურებების მქონე მოსახლეობის კონცენტრაციას ერთ ტერიტორიაზე, რაც საცხოვრებლის განაწილების საბჭოთა პოლიტიკით ხორციელდებოდა, შეეძლო ჩამოეყალიბებინა ადამიანებს შორის მჭიდრო კავშირები. საინტერესოა, რომ ორივე არეალიდან შეგროვებული ნარატივი მიგვითითებს, რომ მათი ამ ტერიტორიაზე აღმოჩენა უმეტესწილად მთავრობის მიერ იყო განპირობებული. უფრო მეტიც, ბევრი საცხოვრებელი კორპუსი დასახლებული იყო თანამშრომლებით

და კოლეგებით. თუმცა, თუკი ფიზიკურ ქსელებს შევხედავთ, ისინი უფრო მჭიდრო და ტერიტორიულად კონცენტრირებულები ვაკის ტერიტორიაზე ჩანან; როგორც რესპონდენტები მიუთითებდნენ, მათი თითქმის ყველა ნათესავი და ახლობელი სწორედ ამ უბანში ცხოვრობდა.

როდესაც ვსაუბრობთ სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის პოლიტიკის განხილვის შესახებ, მეგობრები და ოჯახის წევრები მთავარ აუდიტორიას წარმოადგენენ, რომლებიც თავის მხრივ, სოციალური ქსელის წევრები არიან. განხილვა და დარწმუნება ქსელის შიგნით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, როდესაც საქმე მიდის საარჩევნო გადაწყვეტილების მიღებაზე. თუკი იდეების გავრცელების ქსელი ტერიტორიულადაა კონცენტრირებული, მაშინ იგი ამ ტერიტორიაზე მცხოვრებლების საარჩევნო ქცევის სივრცით თავისებურებებზეც ახდენს გავლენას. როგორც აღვნიშნეთ, ეს ფენომენი ,,სამეზობლოს ეფექტის'' სახელითაა ცნობილი. არაა აუცილებელი, რომ რესპონდენტები პირდაპირ მიუთითებდნენ პოლიტიკური პრეფერენციების შესახებ კონსულტაციებზე. თავად დისკუსიის პროცესს აქვს უზარმაზარი გავლენა აზრის ჩამოყალიბებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე.

მოგროვებული მასალების ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ ჯერჯერობით იდეოლოგიურად მობილიზებული პარტიების არსებობისთვის შეზღუდული საფუძველი არსებობს. ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიასთან მიკუთვნება ფორმირდება ლიდერებისადმი მოწონება-არმოწონების დამოკიდებულების შედეგად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას იყო. აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ძალიან დიდი როლი ენიჭებოდა მიმდინარე მოვლენებს, განსაკუთრებით ამომრჩეველთა მობილიზაციის და მერყევი ამომრჩევლების ოპოზიციის მხარეს მიმხრობის მიზნით.

კვლევის მეორე ასპექტი ეხებოდა ამომრჩევლებს შორის პოლიტიკური იდეების გავრცელების გზებს. როგორც ჩანს, ე. წ. ,,სამეზობლოს ეფექტი'' მნიშვნელოვანია, როდესაც ვსაუბრობთ თბილისის საარჩევნო გეოგრაფიაზე. სივრცის მოწყობა საერთო პრობ-

ლემების (მათ შორის, პოლიტიკის) განხილვისთვის, შესაძლოა მივიჩნიოთ, ამა თუ იმ პოლიტიკური იდეების და პრეფერენციების გასავრცელებლად საჭირო ადგილად. ,,დისკუსიის და დარწმუნების'' ქსელების ტერიტორიული კონცენტრაცია მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ხმის მიცემის გეოგრაფიულ თავისებურებებს.

# 5 საარჩევნო დაპირისპირების მოდელი საქართველოში

წინა თავებში დიდი ადგილი დაეთმო 2008 წლის შემდეგ საქართველოში ჩატარებული არჩევნების გეოგრაფიული ასპექტების განხილვას [3]. ლიპსეტ-როკანის თეორიაზე დაყრდნობით, შეგვიძლია, ვიმსჯელოთ, თუ გამოვლენილი თავისებურებებიდან რომელი წარმოადგენს სოციალურ დაპირისპირებას და ვამტკიცოთ შემოთავაზებული საარჩევნო მოდელის სტატისტიკური სანდოობა. მათ შორის პირველი სოფელი-ქალაქის დიქოტომიაა. განსხვავება ცხადი გახლავთ, თუკი ერთმანეთს შევადარებთ იგივე საარჩევნო ოლქში მდებარე ქალაქის და სოფლების მცხოვრებლების ხმის მიცემის თავისებურებებს. როგორც არჩევნების შედეგების აღწერილობითი ანალიზი აჩვენებს, სასოფლო არეალების ელექტორატი 2008 წლიდან 2012 წლის ჩათვლით, მ. სააკაშვილისა და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობისადმი'' ლოიალურად იყვნენ განწყობილები, მაშინ, როდესაც მუნიციპალიტეტის ცენტრებში ოპოზიციურ კანდიდატებს და პარტიებს გაცილებით მაღალი მხარდაჭერა ქონდათ.

შეგვიძლია, ვისაუბროთ მსგავსი საარჩევნო ქცევის გამომწვევ რამდენიმე ფაქტორზე. ქალაქები და განსაკუთრებით, დედაქალაქი ქართული პოლიტიკის მთავარ ასპარეზს წარმოადგენენ. ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, რომლებმაც ქვეყანაში ფუნდამენტური ცვლილებები გამოიწვია, საფუძველი თბილისის ქუჩებში და უფრო ნაკლებად, სხვა ქალაქებში ჩაეყარა. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ სოფელსა და ქალაქს (უფრო სწორად, მსხვილ ქალაქებს) შორის განვითარებას და შესაძლებლობების მხრივ არსებული დიდი სხვაობა. როგორც სტივენ ჯონსი ამბობს, ,,საქართველოს სოფელი განიცდის ფინანსური დახმარების, ინვესტიციების და ინფორმაციის სიმწირეს'' (Jones, 2013, გვ. 130). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის 40%-ზე მეტი სოფელში ცხოვრობს, იგი სერიოზული სამთავრობო პოლიტიკის ნაწილი არასოდეს გამხადრა. უფრო მეტიც, დამოუკიდებლობის ორი ათწლეულის მანძილზე უფსკრუ-

[3]ნაშრომის აღნიშნული ნაწილი წარდგენილი იყო შვეიცარია-კავკასიის აკადემიური ქსელის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე ,,Security, Democracy and Development in the Southern Caucasus and the Black Sea Region'', სტამბოლი, 2012

ლი ქალაქსა და სოფელს შორის კიდევ უფრო გაიზარდა (Jones, 2013, გვ. 132). როგორც ვხედავთ, სოფლის ამომრჩეველს ნაკლებად უნდა ჰქონოდა მთავრობის მხარდაჭერის სურვილი, თუმცა შედეგები საპირისპიროზე მიგვითითებენ.

ინფორმაციის მრავალფეროვანი წყაროების ხელმისაწვდომობა საარჩევნო ქცევაზე მოქმედი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. სოფლის მცხოვრებლებისგან განსხვავებით, ქალაქელებს უფრო მრავალფეროვან საინფორმაციო საშუალებებზე მიუწვდებოდათ ხელი, სადაც პოლიტიკასა და მიმდინარე მოვლენებს განიხილავდნენ. საზოგადოებრივი აზრის კვლევები ადასტურებენ, რომ ტელევიზია საქართველოს მოსახლეობისთვის ინფორმაციის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს (Navarro and Woodward (2010a), Navarro and Woodward (2010b), Navarro and Woodward (2012b), Navarro and Woodward (2012a)), 2012 წლამდე, როდესაც საქართველოში ,,მასთ-ქერის'' და ,,მასთ-ოფერის'' პრინციპი ამოქმედდა, ტელევიზიების მხოლოდ შეზღუდულ ნაწილს ჰქონდა მთელს საქართველოზე მაუწყებლობის საშუალება (OSCE ODIHR, 2008). მათ ხშირად ადანაშაულებდნენ მიკერძოებულობაში, ხოლო მთავრობას - მედიით მანიპულირებაში. მაგალითისთვის ტელეკომპანია ,,იმედის'' შემთხვევა კმარა, რომელიც 2007 წლის ნოემბრის აქციების შემდეგ დაიხურა და მისი მაუწყებლობა მხოლოდ ერთი წლის თავზე განახლდა.

სოციალური დაპირისპირებების მეორე განზომილებად ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო ქცევა უნდა ჩაითვალოს. უკვე დიდი ხნის ჩამოყალიბებული ტენდენციაა, რომ საქართველოს ეთნიკური უმცირესობები, კერძოდ ქვემო ქართლში, ჯავახეთსა და კახეთში განსახლებული აზერბაიჯანული და სომხური მოსახლეობა, ყოველთვის ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ უჭერს მხარს (Nodia & Scholtbach, 2006).სხვადასხვა დროს ეს არეალები კომუნისტური პარტიის, ,,საქართველოს მოქალაქეთა კავშირის'' და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდნენ. გასაკვირი არაა, რომ აღნიშნული ტენდენცია 2008 და 2012 წლის არჩევნებშიც შენარჩუნდა. მაგალითად, 2008 წლის არჩევნებში, სომხური მოსახლეობით დასახლებული ნინოწმინდის საარჩევნო ოლქში, მ. სააკაშვილმა ხმების 90%-ის მოგროვება შეძლო. მარნეულ-

ში, სადაც აზერბაიჯანელები ცხოვრობენ, მას ამომრჩეველთა 88%-მა დაუჭირა მხარი. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში, მიუხედავად სხვა მხარეებში მიღწეული წარმატებისა, ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ'' დამაჯერებელ გამარჯვებას სწორედ ეთნიკური უმცირესობების ხმების ხარჯზე მიაღწია. დაბოლოს, 2012 წლის არჩევნებზე ,,ნაციონალური მოძრაობის'' მიღებული ხმების მეოთხედი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ შვიდ საარჩევნო ოლქზე - გარდაბანზე, მარნეულზე, ბოლნისზე, დმანისზე, წალკაზე, ახალქალაქსა და ნინოწმინდაზე განაწილდა.

საარჩევნო აქტივობა პოლიტიკური ჩართულობის და ამომრჩეველთა მობილიზაციის მნიშვნელოვანი საზომია. ლიპსეტი და როკანი ამბობდნენ, რომ პარტიები ,,კონფლიქტის და მობილიზაციის ინსტრუმენტები'' არიან, შესაბამისად, ისინი ცდილობენ პოლიტიკური მხარდაჭერის საარჩევნო ხმებად ქცევას (Lipset & Rokkan, 1967). წინა თავებში ვაჩვენეთ, რომ რიგ შემთხვევებში, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' და მის მიერ წამოყენებული კანდიდატების ხმების რაოდენობასა და საარჩევნო აქტივობას შორის მაღალი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია არსებობდა. ასე გახლდათ 2008 წლის არჩევნებში - მაღალი აქტივობა მთავრობისადმი მეტ მხარდაჭერას მიუთითებდა. 2012 წლის არჩევნების შედეგად მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა.

როგორც ლანსკოი და არეშიძე აღნიშნავენ, 2008 წლის არჩევნებზე ხელისუფლებამ აქცენტი ადგილობრივ ელიტებზე გააკეთა (Lanskoy & Areshidze, 2008). ამ მოვლენამ დიდი როლი ითამაშა როგორც პარლამენტში მაჟორიტარული სიით გასვლის საქმეში (,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ'' ოთხის გარდა ყველა ერთმანდატიანი ოლქი მოიგო), ასევე პროპორციულ ხმის მიცემაში სახელისუფლებო პარტიის წარმატებაში. როგორც ჩანს, ადგილობრივმა ქსელების მიერ ჩატარებული სამუშაო ამომრჩეველთა მობილიზებისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა. სასოფლო არეალებში აქტიურმა პარტიული უჯრედებმა, ლოიალურმა ქსელებმა (და სავარაუდოდ, ადმინისტრაციული რესურსების ფართო გამოყენებამ) მმართველი პოლიტიკური ძალის გამარჯვება განაპირობეს. 2012 წლის არჩევნებში, ,,კოალიცია ქართულმა ოცნებამ'', რომელიც მდიდარ ფი-

ნანსურ და ადამიანურ რესურსს ფლობდა, შეძლო პარტიული აქტივის და ადგილობრივი ორგანიზაციების ძლიერი ქსელის შექმნა და ამით ,,ნაციონალური მოძრაობის'' გამოწვევა.

ხმის მიცემის მოდელში აქტივობის ჩართვის კიდევ ერთი მიზეზი გახლდათ ფალსიფიკაციის კონტროლი. მაღალი აქტივობა შესაძლოა, მიუთითებდეს არამარტო ამომრჩეველთა მობილიზაციაზე, არამედ შედეგების ფაბრიკაციაზე. ეს განსაკუთრებით 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს ეხება, როდესაც მმართველი გუნდის წარმომადგენლებს ბიულეტენების ჩაყრასა და სხვა უკანონო მანიპულაციებში ადანაშაულებდნენ.

ამრიგად, 2008 წლიდან 2012 წლის ჩათვლით, საქართველოს არჩევნებში ორი მთავარი დაპირისპირება ვლინდება. მართალია, ისინი პარტიების ფორმირებაზე და მათ იდეოლოგიურ კუთვნილებაზე გავლენას არ ახდენენ, თუმცა საარჩევნო ქცევის ანალიზი მოწმობს, რომ სოციალური დაპირისპირებების სტრუქტურა საქართველოს შემთხვევაში აქტუალურია. ჩვენს მიერ მოტანილი მოდელი გვიჩვენებს, თუ როგორ მოქმედებდა ქალაქი-სოფლის დიქოტომია, ეთნიკური შემადგენლობა და პოლიტიკური მობილიზაცია ამომრჩეველთა პრეფერენციებზე 2008-2012 წლების საყოველთაო არჩევნების დროს; კერძოდ, რა ზეგავლენა ჰქონდათ ამ პოლიტიკურ დაპირისპირებებს არსებული მთავრობისთვის მიცემული ხმების ოდენობაზე.

ჩვენს მოდელში დამოკიდებულ ცვლადად აღებულია მ. სააკაშვილის და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მიერ საარჩევნო ოლქებში მიღებული ხმების პროცენტული წილი; დამოუკიდებელ ცვლადებად ვთვლით ქალაქი-სოფლის, ცენტრი-პერიფერიის დაპირისპირებებს და ამომრჩეველთა მობილიზაციის მაჩვენებლებს. ქალაქი-სოფლის დიქოტომიის ოპერაციონალიზაცია თითოეულ საარჩევნო ოლქში ქალაქის მოსახლეობის წილით მოხდა, ხოლო ცენტრი-პერიფერიის დაპირისპირება კი გაზომილია მუნიციპალიტეტებში ქართული მოსახლეობის წილით, რახან, მცირე გამონაკლისების გარდა, საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფა საარჩევნოს ემთხვევა. აღნიშნულ მოდელში შემოტანილი გვაქვს კიდევ ერთი დამოუკიდებელი ცვლადი საარჩევნო აქტი-

ვობის სახით, რომელიც ზომავს პოლიტიკური მობილიზაციას და ასევე აკონტროლებს პოტენციურ საარჩევნო ფალსიფიკაციას. 2012 წლის ქვე-მოდელისთვის 73 შემთხვევა გვაქვს, რახან არჩევნები არ ჩატარებულა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რომელთაც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ ახალგორი, ლიახვი და ზემო აფხაზეთი დაემატათ.

მოდელისთვის გამოვიყენეთ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების საოლქო მონაცემები. რახან უახლესი სანდო მონაცემების მოპოვება თითქმის შეუძლებელია, ჩავთვალეთ, რომ საქალაქო და სასოფლო მოსახლეობის, ასევე ეთნიკური ქართველების წილი მუნიციპალიტეტებში მნიშვნელოვნად არ შეიცვლებოდა. შესაბამისად, ყველა ქვე-მოდელი ანალოგიურ მონაცემებს იყენებს. ორ საარჩევნო ოლქში (ლიახვი და ზემო აფხაზეთი) საქალაქო მოსახლეობა არ გვაქვს წარმოდგენილი, ხოლო თბილისის ათ საარჩევნო ოლქში კი არ გვაქვს სასოფლო მოსახლეობა. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული თვალსაზრისით, თბილისის შემოგარენში არსებული სოფლები დედაქალაქის შემადგენლობაშია, მათი მოსახლეობის სიმცირით, ეკონომიკური საქმიანობით და ქალაქის გავლენის გამო მათი გამოყოფა მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ. რახან საქართველოში მოსახლეობის უკანასკნელი აღწერა 2002 წელს ჩატარდა, საქალაქო მოსახლეობის პროცენტული წილის მაჩვენებელი ემყარება 2006 წელს საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ შეფასებას (საქართველოს მთავრობა, 2006)

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის [კანდიდატის] მიერ მიღებული ხმების წილი = β0+ β1*ქალაქის მოსახლეობა+ β2*ქართული მოსახლეობა + β3*საარჩევნო აქტივობა

დამოუკიდებელი ცვლადების დამოკიდებულზე გავლენის შესაფასებლად, მონაცემები შევიტანეთ საერთო უმცირეს კვადრატთა წრფივი რეგრესიის მოდელში. ეს მიდგომა გულისხმობს, რომ დამოკიდებულება წრფივია და თავად ცვლადები რიგის სკალაზე გახლავთ გაზომილი. მოდელი შემოწმდა მულტიკოლინეარობაზე, ჰეტეროსკედასტურობაზე და ასევე გაიარა სხვადასხვა სტატისტიკური ტესტი. მისი შედეგები წარმოდგენილია მე-2 ცხრილში:

| | 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები | 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები | 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები |
|---|---|---|---|
| | მ. სააკაშვილი | ,,ენმ'' | ,,ენმ'' |
| ქალაქის მოსახლეობის წილი (2006) | -0.191 | -0.201 | -0.225 |
| | (-4.330)** | (-6.560)** | (-5.580)** |
| ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წილი | -0.218 | -0.245 | -0.213 |
| | (-3.990)** | (-6.170)** | (-3.560)** |
| საარჩევნო აქტივობა | 0.696 | 0.418 | -0.351 |
| | (4.660)** | (4.470)** | (-1.770) |
| თავისუფალი კოეფიციენტი | 0.417 | 0.674 | 0.941 |
| | (3.750)** | (10.210)** | (8.480)** |
| R2 | 0.59 | 0.67 | 0.49 |
| N | 76 | 76 | 73 |

*p<0.05; ** p<0.01

ცხრილი 2: ხმის მიცემის საარჩევნო დაპირისპირების მოდელი საქართველოში

შემოთავაზებული ფორმულა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოდელში დამოკიდებული ცვლადის ვარიაციის 59%-ს, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში 67%-ს, ხოლო 2012 წლის მოდელის შემთხვევაში 49%-ს ხსნის. თუკი ქალაქი-სოფლის დაპირისპირების კოეფიციენტებს შევხედავთ, საკმაოდ მყარ ტენდენციას დავინახავთ. ისინი ყოველთვის უარყოფითია და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' და მ. სააკაშვილის ხმების მსგავს ნეგატიურ ცვლილებას იწვევენ. ქართული მოსახლეობის წილის კოეფიციენტები ყველა მოდელში უარყოფითია, თუმცა მათი ეფექტი განსხვავებულია. კერძოდ, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის კოეფიციენტის ოდენობა იზრდება, ხოლო 2012 წლის არჩევნებისთვის კი - მცირდება. ამრიგად, საარჩევნო დაპირისპირების ორი ცვლადი მსგავს უარყოფით ცვლილებას იწვევს ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' და მ. სააკაშვილის მიერ მიღებული ხმების მაჩვენებელში. მიუხედავად იმისა, რომ 2008 და 2012 წლის არჩევნები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ როგორც პოლიტიკური კონტექსტით, ასევე აქტორებით, გამოყოფილ ორ დაპირისპირებას შედეგებზე მსგავსი გავლენა ჰქონდა.

ლიპსეტი და როკანი ქალაქი-სოფლის დაპირისპირების საფუძვლად სამრეწველო რევოლუციის მიერ გამოწვეული ღრმა საზოგადოებრივ კონფლიქტებს ასახელებენ. ზოგიერთ შემთხვევაში, აღნიშნული კონფლიქტი პოლიტიკურ პარტიებშიც გადაიზრდებოდა. მაგალითად, ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც პოლიტიკურ ცხოვრებაში საქალაქო არეალები დომინირებდნენ, ,,დემოკრატიისა და საპარლამენტო მმართველობისთვის ბრძოლა გამოწვეული იყო გლეხობის მობილიზაციის ფართო პროცესით'' (Lipset & Rokkan, 1967, გვ. 20). თუმცა, რთულია ვამტკიცოთ, თუ რამდენად ექნებოდა ინდუსტრიულ რევოლუციას ამგვარი გავლენა ევროპის პერიფერიაზე მდებარე საზოგადოებაზე. როგორც ჩანს, ქალაქი-სოფლის დიქოტომიის (ისევე, როგორც ცენტრი-პერიფერიის დაპირისპირების) საფუძვლები უახლოეს წარსულში უნდა ვეძებოთ.

საქართველოს ურბანიზაციის თავისებურებები ქალაქი-სოფლის პოლიტიკურ დაპირისპირებაშიც აისახება. საბჭოთა კავშირის და სოციალისტური ბლოკის სხვა ქვეყ-

ნების მსგავსად, ჩვენმა ქვეყანამ ურბანიზაციის სწრაფი პროცესი გაიარა. უაითფილდი (Whitefield, 2002) ამტკიცებს, რომ ქალაქი-სოფლის დაპირისპირება შესაძლოა, დავიყვანოთ საქმიანობის კლასზე - მართლაც, საბჭოთა კავშირის ურბანიზაცია მეტწილად მასობრივი ინდუსტრიალიზაციით იყო გამოწვეული. საქმიანობის კლასმა (გლეხი/კოლმეურნე-მუშა/მოსამსახურე/ქალაქში მომუშავე) ფაქტიურად, ჩამოაყალიბა გარდამავალი და თანამედროვე ეპოქის საქართველოს სოციალური ლანდშაფტი, რაც საბოლოო ჯამში, ხმის მიცემის გეოგრაფიაზე აისახა. ამგვარი სოციალური დიფერენციაცია, არათანაბარი ეკონომიკური განვითარების პირობებში, ქალაქი-სოფლის დაპირისპირებას უფრო აღრმავებს. ჰერბერტ კიჩელტი აღნიშნავს, ქალაქის ტიპის დასახლებებში მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ,,თეთრსაყელოიანი'' მომუშავეები და ინტელიგენცია წარმოადგენს, რაც ასევე ხელს უწყობს ქალაქი-სოფლის დაპირისპირების სიმლიერეს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სოფლის მოსახლეობას ოპოზიციურად განწყობილი ინფორმაციის წყაროების, განსაკუთრებით, ტელევიზიებზე წვდომა შეზღუდული ჰქონდათ.

კიჩელტის შემოთავაზებული იდეა შესაძლოა, თბილისის საარჩევნო ქცევის ერთ-ერთი განზომილების ახსნის მიზნით გამოვიყენოთ. 2008 და 2010 წლის არჩევნებმა ,,პრესტიჟული'' და ,,მუშათა კლასის'' უბნებს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი სხვაობა გამოავლინეს. ოპოზიციური კანდიდატები (და პარტიები), რომელთა პროგრამა პოლიტიკური მოთხოვნებისგან შედგებოდა, განსაკუთრებით პოპულარობით ,,პრესტიჟულ'' არეალებში სარგებლობა, როდესაც გარეუბნების მოსახლეობა უპირატესობას სოციალური (და პოპულისტური) პროგრამის მქონე ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობას'' და მის კანდიდატებს ანიჭებდა. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მსგავსი სხვაობის მიზეზი იგივეა, რაც ქალაქი-სოფლის დაპირისპირებისა.

საბჭოთა პერიოდში თბილისის უბნების განვითარება მნიშვნელოვნად განიცდიდა სოციალურ სეგრეგაციას. ქალაქის ცენტრალური ,,პრესტიჟული'' არეალები ძირითადად, ,,თეთრსაყელოიან'' მომუშავეებს და ინტელიგენციას (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,

,,პრივილიგენციას'' ) ეთმობოდა. ამ ფენის წარმოშობა, სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება საბჭოთა ხელისუფლებას უკავშირდება, რამაც მათი კომუნისტური სისტემისადმი განსაკუთრებული ლოიალობა გამოიწვია. მათი მდგომარეობა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ შეიცვალა, როდესაც პრივილიგირებული მდგომარეობა მთავრობის მხრიდან მკაცრმა დამოკიდებულებამ შეცვალა. დამოუკიდებლობის პირველი წლები მძიმე და ძალადობრივი მოვლენებით გამოირჩეოდა, რასაც ზ. გამსახურდიას ხელისუფლებიდან ჩამოცილება და ე. შევარდნაძის, საბჭოთა საქართველოს ყოფილი ლიდერის დაბრუნება მოყვა. მან ათ წელზე მეტი გაატარა დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის პოზიციაზე და მისი მმართველობა 2003 წლის ვარდების რევოლუციით დასრულდა. საინტერესოა, რომ შევარდნაძის ,,მეორე პერიოდში'' კომუნისტური ეპოქის ზევრმა პარტიულმა მუშაკმა და ,,აპარატჩიკმა'' შეძლო მნიშვნელოვანი საჯარო და პოლიტიკური თანამდებობის დაკავება. შეიძლება, ვამტკიცოთ, რომ ,,ვარდების რევოლუციის'' მიერ არსებული სისტემის მოშლამ, ძველი ელიტა და მის კმაყოფაზე მყოფი ადამიანები უკმაყოფილო დატოვა. თუმცა ახალი პრეზიდენტის და მისი პარტიის უზომო პოპულარობამ, რომელიც მათ 2007 წლამდე ჰქონდათ, შეანელა აღწერილი უკმაყოფილების პოლიტიკური დაპირისპირებად გარდაქმნა.

რაც შეეხება ცენტრი-პერიფერიის საარჩევნო დაპირისპირების წარმოშობას, აქ მოგვიწევს ლიპსეტის და როკანის წარმოდგენილი პარადიგმის განხილვა. თუ მათ ვენდობით (Lipset & Rokkan, 1967), აღნიშნული პოლიტიკური დაპირისპირება განიმარტება, როგორც პერიფერიული კულტურებისა და ჯგუფების ცენტრალური, ასიმილაციის მოსურნე ძალის წინააღმდეგ ბრძოლა. თუმცა, როგორც ჩანს, ქვეყნების მიხედვით ბრძოლის სტრატეგიები განსხვავებულია. ზოგიერთი კვლევის მიხედვით, საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებს პოლიტიკურ ცენტრში წარმოდგენისთვის რამდენიმე ბარიერი ეღობებათ. ნოდიას (Nodia & Scholtbach, 2006) რამდენიმე მაჩვენებელი მოყავს: ენასთან დაკავშირებული პრობლემები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური წარმომადგენლობის და მონაწილეობის დაბალი ხარისხი. შედეგად, ყველა პოსტსაბჭოთა

არჩევნებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ხელისუფლებას უჭერდნენ მხარს (იქვე).

რახან საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური გაერთიანებები არ არის დაშვებული, ეროვნულ არჩევნებში ისინი, როგორც წესი, სახელისუფლებო პოლიტიკურ ძალებს აძლევენ ხმას. თუმცა, ცოლინგერის და ბოჰსლერის მიერ ჩატარებული უახლესი კვლევის მიხედვით (Zollinger & Bochsler, 2012), ცენტრის წარმომადგენელი პოლიტიკური პარტიები შესაძლოა, ეთნიკური უმცირესობების ელიტების მიერ გამოყენებული იქნას ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში წარმოდგენის მიზნით. ავტორებს მოყავთ 2006 წლის არჩევნების მაგალითი, როდესაც ჯავახეთში ,,ფარპარტიას'' პოლიტიკური ჯგუფი ,,მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს'' წარმოადგენდა. სწორედ ,,მრეწველების'' პროპორციული სიით მოხვდნენ ადგილობრივ საკრებულოებში ორგანიზაცია ,,ჯავახქის'' წევრები. ამასთან, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ,,კოალიცია ქართული ოცნების'' და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' ახალქალაქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს ,,ჯავახქის'' ყოფილი და ამჟამინდელი წევრები წარმოადგენდნენ.

როგორც ვხვედავთ, სახეზე გვაქვს კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობების განსაკუთრებული საარჩევნო ქცევა. როგორც ჩანს, მსგავსი ქცევა იმითაა გამოწვეული, რომ ეთნიკური უმცირესობები არჩევენ პოლიტიკურად განყენებულ მდგომარეობაში ყოფნას სამთავრობო პოლიტიკური ძალებისთვის ხმის მიცემით და მათთვის ლოიალობის ჩვენებით. აღნიშნული ემსახურება საკუთარი ცხოვრების წესის, ადგილობრივ თემებში სტაბილურობის და უსაფრთხოების დაცვის სურვილს.

ჩვენი მოდელის მნიშვნელოვანი თავისებურება საარჩევნო აქტივობის შესაბამისი კოეფიციენტის დიდი ფლუქტუაციაა. მას უმაღლესი დადებითი ეფექტი გააჩნია 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ქვე-მოდელში, მცირდება იმავე წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის აღარაა მნიშვნელოვანი. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ამ მაჩვენებლით ჩვენ ვზომავთ ამომრჩეველთა მობი-

ლიზაციას და ვაკონტროლებთ გაყალბებას. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოდელში მაღალი კოეფიციენტი მიგვითითებს, რომ მაღალ აქტივობას შედეგად მ. სააკაშვილისადმი მაღალი მხარდაჭერა მოყვებოდა. სამაგიეროდ, სიტუაცია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შეიცვალა. მაღალმა აქტივობამ ,,კოალიცია ქართული ოცნების'' გამარჯვებაში შეიტანა დიდი წვლილი. როგორც ჩანს ამ პოლიტიკურმა ჯგუფმა შეძლო, ჩამოეყალიბებინა ძლიერი ადგილობრივი ორგანიზაციები და გამოეწვია საზოგადოების მაღალი ინტერესები არჩევნებისადმი.

თუკი შევხედავთ ნაშთების განაწილების რუკას (დანართი დ.1), მოდელით პროგნოზირებულ მაჩვენებლებსა და არჩევნების რეალურ შედეგებს შორის რამდენიმე საინტერესო სხვაობას აღმოვაჩენთ. საფიქრებელია, რომ იქ, სადაც ნაშთებში მაღალი რყევა გვაქვს, საარჩევნო ქცევაზე კიდევ რამდენიმე ,,ფარული'' მოვლენა ახდენს გავლენას. ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, ეს გადახრები არსებული კონტექსტური ეფექტებით ავხსნათ. როგორც ჩანს, მისი შინაარსი მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავებულია და მას სხვადასხვა ფაქტორები აყალიბებენ.

საპრეზიდენტო არჩევნების ქვე-მოდელში ჯავახეთში, შიდა ქართლში, რაჭა-ლეჩხუმსა და ზემო იმერეთში რეალური შედეგები ძალიან მცირედითაა გადახრილი (-/+0.5 სტანდარტული გადახრა), ხოლო სამეგრელოში, ქვემო ქართლსა და გურიაში კი განსხვავება ყველაზე მაღალია. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების მოდელში გამოკვეთილია რეგიონული სხვაობები - მსგავსად საპრეზიდენტოსი, სამეგრელოსა და ქვემო ქართლში ნაშთების განაწილებაში ისევ მაღალი რყევა გვაქვს; მსგავსი თავისებურება თავს იჩენს შიდა ქართლში. სამაგიეროდ, კახეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისსა და მის შემოგარენში მოდელი იდეალურად ხსნის საარჩევნო ქცევას. დაბოლოს, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შემოთავაზებული მოდელი ხსნის ვარიაციას კახეთში, დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, ზემო იმერეთსა და შიდა ქართლში. ხაზგასასმელია ის, რომ ნაშთების განაწილებაში გვაქვს ორი უკიდურესობა - საჩხერის მუნიციპალიტეტში, საიდანაც ,,კოალიცია ქართული ოცნების'' იმდროინდელი ლიდე-

რი გახლავთ და ახალციხე/ასპინძა, რომლის მკვიდრი ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' პრემიერმინისტრობის კანდიდატი გახლავთ. ქვეყანაში, სადაც პერსონალური ფაქტორები პოლიტიკისთვის გადამწყვეტია და წარმოშობის ადგილებთან კავშირი ისევ ძლიერია, მსგავსი ფაქტები კვლავ იქნება მოცემულ ტერიტორიაზე საარჩევნო ქცევის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი.

ზემოთ მოცემული მიზეზების გამო, შევიმუშავეთ კიდევ ერთი მოდელი, სადაც გარდა არსებული ცვლადებისა, შემოგვაქვს ე. წ. საკონტროლო ცვლადები საქართველოს მსხვილი მაკრორეგიონებისთვის. აღნიშნული საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ, თუ რა გავლენა გააჩნია გეოგრაფიულ დარაიონებას საარჩევნო ქცევაზე და არსებული დაპირისპირების მოდელი უფრო ამომწურავი გავხადოთ. მე-3 ცხრილში მოცემულია წრფივი რეგრესიული მოდელის შედეგები. განახლებულ მოდელში შეტანილია 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები, თუმცა დამოკიდებული ცვლადი შეცვლილია და იგი ,,ქართული ოცნების'' საპრეზიდენტო კანდიდატის, გ. მარგველაშვილის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება. გეოგრაფიული თავისებურებების კონტროლის მიზნით დამატებულია საქართველოს მაკრორეგიონების აღმწერი დიქოტომიური ცვლადები. როგორც მოდელიდან ჩანს, რეგიონული თავისებურების გავლენა ხმის მიცემაზე მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში ვლინდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იგი სამეგრელოს შემთხვევაშია. აღნიშნული ფაქტორი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ოთხიდან სამ ქვე-მოდელშია. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთს და ქვემო ქართლს, აქ მათი შესაბამისი კოეფიციენტების სტატისტიკური მნიშვნელოვნება ეთნიკური უმცირესობების მაღალი კონცენტრაციით განისაზღვრება. ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება წარმოვადგინოთ მესამე ჰიპოთეტური მოდელი, სადაც გარდა საარჩევნო დაპირისპირების და ამომრჩეველთა მობილიზაციისა, დამოუკიდებელ ცვლადად სამეგრელოს დიქოტომიური ცვლადი იქნება შეტანილი. შეგიძლია ვთქვათ, რომ სამეგრელოში გამოკვეთილი ამგვარი საარჩევნო ქცევის მიზეზი არა ისტორიულ - გეოგრაფიული თავისებურება, არამედ ქვეყნის უახლესი წარსულით ჩამოყალიბებული

კონტექსტი გახლავთ. როგორც ცნობილია, ეს რეგიონი 1990-იანი წლების დასაწყისში სამოქალაქო ომის ეპიცენტრს წარმოადგენდა. შესაბამისად, ამ პერიოდიდან შემორჩენილი მეხსიერება ახლაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის შეხედულებებზე და მათ საარჩევნო ქცევაზე.

ამრიგად, მოდელი გვთავაზობს, რომ საქართველოში ორი მთავარი პოლიტიკური დაპირისპირება განაპირობებს საარჩევნო ქცევის ჩამოყალიბებას. შედეგად მიღებული კოეფიციენტები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია სამივე წარმოდგენილი ქვემოდელისთვის. დაპირისპირების წარმომქმნელი ფაქტორები მდგრადია, რაც გვაფიქრებინებს რომ ტენდენცია ალბათ მომდევნო არჩევნებშიც გამოვლინდება. ნაშთების ტერიტორიული განაწილებიდან ჩანს, რომ წარმოდგენილია ,,ფარული'' რეგიონული ფაქტორები, რომლებიც ადგილობრივი კონტექსტური ეფექტების სიძლიერეზე მიგვითითებენ.

| | 2008 წლის საპრეზიდენტო | 2008 წლის საპარლამენტო | 2012 წლის საპარლამენტო | 2013 წლის საპრეზიდენტო |
|---|---|---|---|---|
| | მ. სააკაშვილი | ,,ენმ'' | ,,ენმ'' | გ. მარგველაშვილი |
| საარჩევნო აქტივობა | 0.628 | 0.012 | -0.374 | 0.232 |
| | (0.142)*** | (0.080) | (-1.930) | (1.470) |
| ქართველი მოსახლეობა | -0.130 | -0.036 | -0.057 | -0.061 |
| | (0.054)* | (-0.720) | (-0.850) | (-1.060) |
| ქალაქის მოსახლეობა | -0.111 | -0.164 | -0.152 | -0.047 |
| | (0.049)* | (-3.880)*** | (-2.970)** | (-1.010) |
| სამეგრელო | 0.164 | 0.053 | 0.165 | -0.102 |
| | (0.051)** | (1.160) | (2.900)** | (-2.140)* |
| თბილისი | -0.089 | -0.068 | -0.010 | 0.010 |
| | (0.050) | (-1.520) | (-0.170) | (0.210) |
| კახეთი | -0.061 | 0.029 | 0.052 | -0.023 |
| | (0.050) | (0.650) | (0.950) | (-0.500) |
| აღმ. საქართველოს მთიანეთი | -0.102 | -0.019 | -0.063 | 0.069 |
| | (0.052) | (-0.440) | (-1.130) | (1.470) |
| ქვემო ქართლი | 0.146 | 0.122 | 0.144 | -0.051 |
| | (0.058)* | (2.320)* | (2.260)* | (-0.960) |
| შიდა ქართლი | 0.048 | 0.141 | 0.025 | -0.007 |
| | (0.048) | (3.240)** | (0.460) | (-0.150) |

| | 2008 წლის საპრეზიდენტო | 2008 წლის საპარლამენტო | 2012 წლის საპარლამენტო | 2013 წლის საპრეზიდენტო |
|---|---|---|---|---|
| | მ. სააკაშვილი | ,,ენმ'' | ,,ენმ'' | გ. მარგველაშვილი |
| სამცხე-ჯავახეთი | 0.098 | 0.251 | 0.324 | -0.072 |
| | (0.060) | (3.970)*** | (5.020)*** | (-1.340) |
| დას. საქართველოს მთიანეთი | 0.038 | 0.003 | 0.084 | -0.037 |
| | (0.052) | (0.070) | (1.360) | (-0.720) |
| იმერეთი | 0.052 | -0.044 | 0.025 | 0.000 |
| | (0.047) | (-1.010) | (0.480) | (0.010) |
| გურია | -0.151 | -0.017 | -0.001 | 0.053 |
| | (0.061)* | (-0.310) | (-0.020) | (0.920) |
| აჭარა | -0.016 | 0.017 | 0.042 | -0.073 |
| | (0.052) | (0.380) | (0.730) | (-1.500) |
| თავისუფალი კოეფიციენტი | 0.332 | 0.676 | 0.730 | 0.603 |
| | (0.111)** | (7.070)*** | (6.160)*** | (7.120)*** |
| R2 | 0.84 | 0.80 | 0.76 | 0.36 |
| N | 76 | 76 | 73 | 73 |

* p<0.05; ** p<0.01;,***p<0.001

ცხრილი 3: ხმის მიცემის საარჩევნო დაპირისპირების მოდიფიცირებული მოდელი საქართველოში

წარმოდგენილი მოდელი გვიჩვენებს დაპირისპირების მნიშვნელობას უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე ჩატარებულ არჩევნებში, მაგრამ მათი ჩამოყალიბება ლიპსეტის და როკანის შემოთავაზებულ ახსნას არ ექვემდებარება. ამ შემთხვევაში, უფრო მნიშვნელოვანი ევანსის და უაითფილდის იდეები გახლავთ, რომლებიც პოსტსაბჭოთა სივრცეში საარჩევნო ქცევის და პარტიული სტრუქტურების ჩამოყალიბებას საბჭოთა ეპოქას, გარდამავალი პერიოდს თავისებურებებს და გარკვეულწილად, კომუნიზმამდელ ეპოქას უკავშირებდნენ. ქალაქი-სოფლის და ცენტრი-პერიფერიის დაპირისპირება შესაძლოა, დათარიღდეს საბჭოთა ეპოქით და 1990-იანი წლების გარიჟრაჟით, როდესაც საქართველო ეთნიკური კონფლიქტების ქარცეცხლში გაეხვა. თუკი ავიღებთ ქალაქი-სოფლის პოლიტიკურ დიქოტომიას, ამ შემთხვევაში საბჭოთა დროის ურბანიზაციის პროცესი და საქალაქო დასახლებების სოციალური სტრუქტურის ცვლილება გახლდათ გადამწყვეტი. ეთნიკური უმცირესობების ,,ფარული დაპირისპირება'', რაც ნაწილობრივ გამოწვეულია მათი პოლიტიკურ სისტემაში ინტეგრაციის ნაკლებობით, უფრო გვიანდელი მოვლენებით აიხსნება. მნიშვნელოვანია, რომ ნაშთების განაწილება მიგვითითებს რეგიონული თავისებურებების არსებობაზე. რახან რეგიონული და სუბეთნიკური ფაქტორები საქართველოში ყოველთვის მძლავრი გახლდათ, მოულოდნელი არ იქნება, რომ მათი კრისტალიზება საარჩევნო ქცევაში მომხდარიყო.

# 6 არჩევნები საქართველოში - ძირითადი გეოგრაფიული თავისებურებები

## 6.1 საქართველოს არჩევნების მიკროგეოგრაფია

ბოლო წლების მანძილზე, თბილისის ადმინისტრაციული საზღვრები რამდენჯერმე შეიცვალა და მის შემადგენლობაში მეზობელი მუნიციპალიტეტების ფარგლებში არსებული რამდენიმე სასოფლო ტიპის დასახლება შევიდა[4]. მსგავსად ადმინისტრაციულისა, საარჩევნო-ტერიტორიული დაყოფის მხრივ, ეს სოფლები დედაქალაქის ნაწილს წარმოადგენენ. დასახლებული პუნქტები - კიკეთი, ტაბახმელა, წავკისი და შინდისი, დაბა კოჯორთან ერთად, მთაწმინდის ოლქში შედიან, ვაკის საარჩევნო ოლქის შემადგენლობაშია წყნეთი და მისი მიმდებარე სოფლები; სოფელი დიღომი საბურთალოს საარჩევნო ოლქს მიეკუთვნება და ა. შ. სულ სასოფლო დასახლებები თბილისის ათი საარჩევნო ოლქიდან ექვსშია წარმოდგენილი. ამასთან, მთაწმინდის და კრწანისის ოლქებში სოფლის მცხოვრებლები ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის დაახლოებით მეათედს შეადგენენ, დანარჩენებში კი მათი წილი 6%-ს არ აღემატება.

უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების გეოგრაფიული თავისებურებებიდან ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მოვლენას ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობისადმი'' სოფლის მოსახლეობის მაღალი მხარდაჭერა წარმოადგენდა. სამი საარჩევნო ოლქის (საჩხერე, თეთრიწყარო, გარდაბანი) გარდა, ,,ნაციონალური მოძრაობა'' ოლქის სასოფლო არეალებში უფრო მეტი ხმის დაგროვებას ახერხებდა, ვიდრე მუნიციპალიტეტის ცენტრებსა და საქალაქო ტიპის დასახლებებში. ამასთან, 30-მდე საარჩევნო ოლქის სოფლებში პარტიის მიერ მიღებული ხმები მუნიციპალიტეტის ცენტრებსა და ქალაქებში ნაჩვენებ შედეგებს 10%-ით ან უფრო მეტით აღემატებოდა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დაფიქსირებულ საერთო სურათის მიხედვით, თბილისის შემადგენლობაში შემავალი სასოფლო დასახლებების უმეტესობაში არ-

[4]ნაშრომის ეს ნაწილი გამოქვეყნდა ,,CRRC-საქართველოს'' ბლოგზე




სურ. 10: მ. სააკაშვილის და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მიერ მიღებული ხმები თბილისში დასახლების ტიპის მიხედვით (%)

ჩევნებში ,,ქართულმა ოცნებამ'' მიაღწია გამარჯვებას, თუმცა მმართველი ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' სოფლებში უფრო მაღალ შედეგებს აჩვენებდა, ვიდრე ოლქის საქალაქო დასახლებებში. შედარებისთვის, მთაწმინდის ოლქში შემავალ სოფლებში ,,ნაციონალურმა მოძრაობამ ხმების 57% მოაგროვა, როდესაც უშუალოდ ქალაქში არსებულ უბნებზე მხოლოდ 29%-ის მოპოვება შეძლო. სხვაობა კიდევ უფრო მაღალი იყო კრწანისის შემთხვევაში - 35% ქალაქში და 80% სასოფლო დასახლებებში. რაც შეეხება მთლიანად თბილისს, დედაქალაქის ურბანულ ნაწილში ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ'' ხმების მხოლოდ 27% მოაგროვა, ხოლო სასოფლო არეალებში კი - 39% (იხ. დიაგრამა 10).

როგორც წინა არჩევნების შედეგების ანალიზიდან ჩანს, აღნიშნული ტენდენცია საკმაოდ მდგრადია. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მმართველი გუნდი სასოფლო არე-

ალებში გაცილებით მაღალი მხარდაჭერით სარგებლობდა. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, სადაც მ. სააკაშვილი თბილისის მასშტაბით დამარცხდა, დედაქალაქის სასოფლო არეალებში მან სხვა კანდიდატებზე მეტი ხმის მოგროვება შეძლო. ანალოგიურად, 2008 წლის საპარლამენტო და 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მმართველი პარტია სოფლებში ხმების 10% და უფრო მეტ წილს მოიპოვებდა ხოლმე, ვიდრე ურბანულ არეალებში.

აღსანიშნავია, რომ განხილულ პერიოდში საარჩევნო ოლქების საზღვრები მუდმივი არ ყოფილა. 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის კრწანისის საარჩევნო ოლქში შემავალი სოფლები კოჯორი, კიკეთი, ტაბახმელა, წავკისი და შინდისი მიუერთდა მთაწმინდას, სადაც მანამდე მხოლოდ ერთი სასოფლო დასახლება - ოქროყანა შედიოდა. შედეგად, სასოფლო მოსახლეობის წილი ოლქის ამომრჩევლებში 2%-დან 10%-მდე გაიზარდა, ხოლო კრწანისში 18%-დან 9%-მდე შემცირდა. 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საოლქო მასშტაბით ,,ნაციონალურმა მოძრაობამ'' ხმების 60% დააგროვა, როდესაც წინა საპარლამენტო არჩევნებში პარტიის მიერ ნაჩვენები შედეგი 46% გახლდათ. რა თქმა უნდა, ამასთან გასათვალისწინებელია ზოგადად, ოპოზიციური ძალების ნაკლები წარმატება, თუმცა მაინც არსებობს გარკვეული საფუძველი იმის მტკიცებისა, რომ საარჩევნო ოლქის საზღვრების ცვლილება შედეგებით მანიპულირების საშიშროებას ქმნიდა როგორც პროპორციული, ასევე მაჟორიტარული ხმის მიცემის პროცესის დროს, მით უმეტეს, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მთაწმინდას საკრებულოში ერთი მაჟორიტარი დეპუტატი წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრაქტიკა მსოფლიოში ახალი არ არის და ლიტერატურაში ,,ჯერიმენდერინგს'' უწოდებენ, თუმცა საქართველოში ამ ფენომენის არსებობის შესახებ ჩვენთვის აქამდე არაფერი იყო ცნობილი.

სპეციალური უბნები ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის და სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლებისთვის იქმნება. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მათი შედეგები დამოუკიდებლად არ ითვლება, მონაცემთა



სურ. 11: ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მიერ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიღებული ხმების განაწილება უბნების ტიპის მიხედვით (%)

შეჯამებისას დროს ხმების მიერთება ხდება სხვა, ჩვეულებრივ საარჩევნო უბნებზე. ცხადია, ამ შემთხვევაში შეუძლებელია უშუალოდ სპეციალური უბნების ქცევაზე საუბარი, რადგან მონაცემები აგრეგირებულია, თუმცა რამდენიმე საინტერესო ტენდენციის გამოკვეთა მაინც შეიძლება. მთელი ქვეყნის მასშტაბით მოხდა 70 სპეციალური საარჩევნო უბნის იდენტიფიცირება, სადაც ჩვეულებრივ ამომრჩევლებთან ერთად სულ დაახლოებით 95 ათასი ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული (ეს მოიცავს სპეციალური უბნებსა და ე.წ. ,,დედა-უბნებზე'' რეგისტრირებულ ამომრჩევლებს). თუკი გავაანალიზებთ არჩევნების დღეს საოლქო აქტივობას, ვნახავთ, რომ იმ 25 ოლქიდან, სადაც სპეცუბნები იყო ორგანიზებული, რვაში მსგავს უბნებზე გამოცხადებული ამომრჩევლები მთელ ოლქში მონაწილე ამომრჩევლების 10%-ს ან მეტს შეადგენდნენ - მაგალითად, კრწანისში ეს მაჩვენებელი 24%-ს აღწევდა, მთაწმინდაზე კი - 17%-ს. აღნიშნული უბნები ხმის მიცემის თავისებურებებით აშკარად განსხვავდებოდნენ იმავე ოლქის სხვა უბნებისგან. კერძოდ, ზემოთხსენებული 70 უბნიდან 54-ში გამარჯვება ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ'' მოიპოვა, საიდანაც 42-ში 10% და მეტით უსწრებდა ,,ქართულ ოცნებას'' . ამასთან, 63 სპეციალურ უბანში მმართველმა პარტიამ ხმების უფრო მაღალი

მაჩვენებელი დააგროვა, ვიდრე ოლქის მასშტაბით, საიდანაც 53-ში სხვაობა 10% და მეტი იყო. განსხვავება განსაკუთრებით თვალშისაცემი სენაკის და გარდაბნის საარჩევნო უბნებზე გახლდათ, სადაც განსხვავება 20%-ს აღემატებოდა (დიაგრამა 11).

საქართველოში ჩატარებული ბოლო რამდენიმე არჩევნების შედეგებს თუ გადავხედავთ, განხილული ტენდენცია საკმაოდ მაღალი მდგრადობით ხასიათდება (დიაგრამა 12). ცხადია, რომ ,,ნაციონალური მოძრაობა'' და მისი საპრეზიდენტო კანდიდატი სპეციალურ უბნებზე ყოველთვის ხმების გაცილებით მაღალ პროცენტულ მაჩვენებლებს იღებდნენ, ვიდრე ჩვეულებრივ უბნებზე იმის მიუხედავად, რომ ჩვენს მიერ მოტანილი რიცხვები ასევე მოიცავს ე. წ. დედა უბნების მონაცემებსაც.




სურ. 12: მ. სააკაშვილის და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მიერ მიღებული ხმების განაწილება უბნების ტიპის მიხედვით (%)

დევნილი მოსახლეობის საარჩევნო ქცევაზე დაკვირვება გარკვეულ სირთულებთანაა დაკავშირებული. მათი განსახლების თავისებურებიდან გამომდინარე, მხოლოდ კოლექტიურ ცენტრებში ჩასახლებული ამომრჩევლების იდენტიფიცირებაა შესაძლებელი. ამასთან, ხშირად, კოლექტიური ცენტრებში მყოფი დევნილები ადგილობრივი მოსახლეობისთვის განკუთვნილ საარჩევნო უბნებში აძლევენ ხმას. არსებობს რამდენიმე ათეული საარჩევნო უბანი, რომელიც მხოლოდ დევნილი მოსახლეობისთვის იქნა ორ-

განიზებული. შესაბამისად, ქვემოთ მხოლოდ მსგავსი ტიპის უბნებს განვიხილავთ. ამგვარი უბნები შექმნილია მხოლოდ რამდენიმე საარჩევნო ოლქში, სადაც კოლექტიური ცენტრების კონცენტრაცია მაღალია: შიდა ქართლში 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევნილი მოსახლეობისთვის აგებულ ჩასახლებებში, 2011-2012 წლებში ბათუმში, ფოთსა და წყალტუბოში აგებულ საცხოვრებელ რაიონებში აფხაზეთიდან დევნილებისთვის, ასევე ყოფილ სასტუმროებსა და სანატორიუმებში.

დევნილთა საარჩევნო უბნების შედეგების განხილვისას ვხედავთ, რომ 23-დან 20 უბანზე პროპორციული სიით არჩევნებში გამარჯვებას ნაციონალურმა მოძრაობამ მიაღწია. ერთი უბნის გარდა, ყველგან ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' საოლქო შედეგებზე უფრო მაღალ პროცენტულ მაჩვენებელს იღებდა და 19 უბანზე ეს სხვაობა 10%-ს აღემატებოდა. საოლქო შედეგებსა და დევნილთა უბნებში დაფიქსირებულ ნაციონალური მოძრაობის ხმებს შორის ყველაზე დიდი სხვაობა სწორედ ახალაშენებულ რაიონებში დაფიქსირდა, კერძოდ, ბათუმში და ფოთში, ეს სხვაობა 37-45%-ს აღწევდა. აღსანიშნავია, რომ სამივე ახალ რაიონში ნაციონალურმა მოძრაობამ ხმების 70%-ზე მეტი მოიპოვა. თუკი მონაცემებს ცალკეული მუნიციპალიტეტის მიხედვით განვიხილავთ, გორის ოლქში დევნილთა საარჩევნო უბნებში მმართველი პარტია ყველაზე მეტ ხმას იღებდა (77% ან უფრო მეტი), მაშინ, როდესაც ოლქის მასშტაბით ორივე კონკურენტმა პარტიამ ხმების დაახლოებით თანაბარი ოდენობა მიიღეს ('' ნაციონალური მოძრაობა'' 47% და ,,ქართული ოცნება'' 48%). სამაგიეროდ, მცხეთის მუნიციპალიტეტში განლაგებული დევნილების საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა ქცევა ოლქის მსგავსი იყო, სადაც კოალიცია ,,ქართულმა ოცნებამ'' მოახერხა გამარჯვების მოპოვება. როგორც ვხედავთ, დევნილთა უბნებზე რეგისტრირებული ამომრჩეველი ,,ნაციონალური მოძრაობისადმი'' საკმაოდ მაღალი ლოიალობით გამოირჩევა. განსაკუთრებით ეს ეხება დასავლეთ საქართველოში ახლადაშენებულ რაიონებს, ასევე გორის მუნიციპალიტეტში არსებულ დევნილთა კოლექტიურ ჩასახლებებს, სადაც მმართველი პარტიის გამარჯვება ეჭვქვეშ არ დამდგარა.

კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისას გამოვლინდა, გახლავთ კონკრეტული მოვლენების გავლენა ლოკალურ პოლიტიკურ პროცესებზე. სოფელ ლაფანყურში ჩატარებულმა სპეცოპერაციას საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოყვა. ამასთან, როგორც გაირკვა, ლიკვიდირებული მებრძოლებიდან ორი პანკისის ხეობის მცხოვრები გახლდა, რამაც ხეობის მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ქისტების თემის წარმომადგენლები აქტიურად ესწრებოდნენ ოპოზიციური ,,ქართული ოცნების'' მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს და მიტინგებს. როგორც აღმოჩნდა, ამ მოვლენებმა მათ საარჩევნო ქცევაზეც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს.




სურ. 13: ეთნიკური სტრუქტურა და ხმების განაწილება პანკისის ხეობაში (ახმეტის მუნიციპალიტეტი)

ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარე პანკისის ხეობაში ეთნიკური ქისტებით და-

სახლებული სამი საარჩევნო უბანია. მის შემადგენლობაში შედის სოფლები დუისი, ჯოყოლო, ომალო, ბირკიანი, დუმასტური და სხვები. ამ დასახლებულ პუნქტებში მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 10% ცხოვრობს. თუკი განვიხილავთ წინა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შედეგებს, მოცემულ უბნებზე ოპოზიციურ კანდიდატებს თუ პოლიტიკურ ჯგუფებს არასოდეს დაუგროვებიათ ხმების 30%-ზე მეტი. სამაგიეროდ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციურ კოალიციას, რომელმაც ახმეტის საარჩევნო ოლქში 51% მიიღო, დუისის უბანზე ამომრჩეველთა 70%-მა, ჯოყოლოში 75%-მა, ხოლო ომალოში 49%-მა დაუჭირა მხარი, რაც ამ უბნებზე არჩევნების მოგებისთვის საკმარისი აღმოჩნდა (იხ. დიაგრამა 13). ამასთან, დუისი და ჯოყოლო ახმეტის მასშტაბით იმითაც გამოირჩნენ, რომ აქ ,,ქართულმა ოცნებამ'' ხმების ყველაზე მაღალი პროცენტული წილის მოგროვება შეძლო.

არჩევნების შედეგების ცალკეული უბნის დონეზე განხილვა საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს. აღმოჩნდა, რომ სასოფლო მოსახლეობის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობისადმი'' ლოიალობის მთელი საქართველოსთვის დამახასიათებელი ტენდენცია თბილისისთვისაც რელევანტურია, უფრო მეტიც, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დედაქალაქის ორი საარჩევნო ოლქის სასოფლო უბნებზე სახელისუფლებო პარტიამ გამარჯვება მოიპოვა. ანალოგიური ტენდენციით ხასიათდება სამხედრო და სასჯელაღსრულების დაწესებულებების მოსამსახურეთათვის შექმნილი სპეციალური საარჩევნო უბნები, რომლებიც ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მყარ დასაყრდენს წარმოადგენდნენ. ამასთან ორივე აღწერილი ტენდენცია დამახასიათებელია 2008 წლის შემდეგ ჩატარებული ყველა არჩევნებისთვის, რაც საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ მათი გრძელვადიანობის შესახებ. საფიქრებელია, რომ დევნილების საცხოვრებლით უზრუნველყოფისთვის განხორციელებულმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა იძულებით გადაადგილებული პირების საარჩევნო ქცევაზეც იმოქმედა - დევნილთა უბნებზე, რომლებიც მსგავს არეალებში იყო ორგანიზებული,

მმართველი პარტია გაცილებით მეტ ხმას იღებდა, ვიდრე საოლქო მასშტაბით. დაბოლოს, სოფელ ლაფანყურში განვითარებულმა მოვლენებმა გავლენა მოახდინეს არჩევნების შედეგებზე - პანკისის ხეობის იმ სოფლებში, საიდანაც სპეცოპერაციისას დაღუპული მეომრები იყვნენ, ოპოზიციურმა კოალიცია განსაკუთრებით მაღალი მხარდაჭერით სარგებლობდა, არადა, წინა არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, ამ უბნებზე მმართველი პარტია და კანდიდატები გამარჯვებას უპირობოდ აღწევდნენ.

## 6.2 საქართველოს არჩევნების სივრცითი-სტატისტიკური ანალიზი

კონტექსტური (გეოგრაფიული) ეფექტების კვლევა პოლიტიკური გეოგრაფიის მთავარი ამოცანაა. სივრცითი-სტატისტიკური ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ საქართველოში ხმის მიცემაზე მოქმედი ისეთი ეფექტები, რომელთა აღწერაც ინდივიდუალური მონაცემების საფუძველზე შეუძლებელია. ცხადია, რომ მიუხედავად საქართველოში დემოკრატიული და კონკურენტული არჩევნების მცირე ხნის ისტორიისა, არსებობს ჩამოყალიბებული და მნიშვნელოვანი გეოგრაფიული განსხვავებები.

### 6.2.1 სივრცითი ასოციაციის გლობალური მაჩვენებლები

არსებულ გეოგრაფიული მონაცემებში ადგილობრივი ტენდენციების შენიშვნა და აღწერა რამდენიმე ხერხითაა შესაძლებელი. როგორც მეთოდოლოგიურ მიმოხილვაში აღვნიშნეთ, ე. წ. გლობალური სივრცითი ავტოკორელაციის დადგენა შესაძლებელია მორანის გლობალური I ინდექსით. ეს მაჩვენებელი გარკვეულწილად წააგავს კორელაციის კოეფიციენტს - მერყეობს -1-სა და +1-ს შორის. მორანის გლობალური კოეფიციენტის ნულოვანი ჰიპოთეზის თანახმად, მონაცემები შემთხვევითაა განაწილებული და მეზობლად მდებარე ერთეულები არ არიან ურთიერთდამოკიდებულები.

საარჩევნო ქცევის კვლევისას გლობალური სივრცითი ავტოკორელაციის დადგენა საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ, თუ სივრცითი თვალსაზრისით როგორ აღიწერე-

ბოდა ცალკეული პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერა. ჩვენს შემთხვევაში ალტერნატიული ჰიპოთეზა ამტკიცებს, რომ პარტიების და პოლიტიკური ჯგუფების მხარდაჭერა საქართველოში გეოგრაფიულად კონცენტრირებულია და ამ შემთხვევაში, შეგვიძლია, ვისაუბროთ გარკვეულ კონტექსტურ ეფექტებზე.

ჩვენ გავაანალიზეთ 2008 წლიდან 2014 წლის ჩათვლით საქართველოში ჩატარებული არჩევნების შედეგები და გამოვთვალეთ მორანის კოეფიციენტი რამდენიმე პოლიტიკური ჯგუფისთვის. საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მხედველობაში მივიღეთ მხოლოდ პროპორციული სიით ხმის მიცემის შედეგები, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნებში კი ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის მიერ წამოყენებული კანდიდატის მიერ მიღებული ხმები. 2008 წლიდან დღემდე არჩევნებში უცვლელი ფორმით მხოლოდ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' გამოდის, შესაბამისად, სივრცე-დროითი შეფასება მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება რელევანტური.

| | ენმ | ქართული ოცნება | ერთიანი ოპოზიცია | ქდმ |
|---|---|---|---|---|
| 2008 საპრეზიდენტო | 0.6835 | | 0.693325 | |
| 2008 საპარლამენტო | 0.553029 | | 0.555589 | 0.412486 |
| 2010 მუნიციპალური | 0.250209 | | | 0.257017 |
| 2012 საპარლამენტო | 0.578442 | 0.589017 | | |
| 2013 საპრეზიდენტო | 0.3652 | 0.337004 | | |
| 2014 მუნიციპალური | 0.35903 | 0.297356 | | |

ცხრილი 4: მორანის გლობალური ინდექსის ევოლუცია, 2008-2014

მე-4 ცხრილში მოცემულია მორანის გლობალური ინდექსის დინამიკა ბოლო ექვსი წლის მანძილზე საქართველოში ჩატარებული არჩევნების დროს. კოეფიციენტი გამოთვლილია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, გაერთიანებული ოპოზიციის, ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობის და კოალიცია ,,ქართული ოცნებისთვის'' . როგორც აღინიშნა, სრული წარმომადგენლობა მხოლოდ ,,ენმ'' -ის შემთხვევაში გვაქვს. ,,ქართული ოცნება'' მხოლოდ ბოლო სამ არჩევნებში გვაქვს სახეზე, თუმცა ამ პოლიტიკური ჯგუფის შემადგენელი სუბიექტები წინა არჩევნებში ,,გაერთიანებული ოპოზიციის'' სახელით გამოდიოდა, რაც გარკვეული შედარების საშუალებას იძლევა.

ზოგადად, კოეფიციენტი ყველა განხილულ შემთხვევაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანია და მიგვითითებს იმაზე, რომ ხმების განაწილებას ტერიტორიულად კონცენტრირებული ხასიათი გააჩნიათ. თუმცა მაჩვენებლის სიდიდე არჩევნებიდან არჩევნებამდე მკვეთრად იცვლება. 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები მონაწილე პარტიების მიერ მიღებული ხმების მაღალი სივრცითი კონცენტრაციით გამოირჩევიან. განსაკუთრებით თვალშისაცემი ეს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე გახლდათ, როდესაც ორივე მთავარი პოლიტიკური სუბიექტისადმი (მ. სააკაშვილი და ერთიანი ოპოზიციის კანდიდატი ლ. გაჩეჩილაძე) მხარდაჭერა გეოგრაფიულად კონცენტრირებული გახლდათ.



სურ. 14: "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხმების კორელოგრამა, 2008-2014

მორანის გლობალური კოეფიციენტის გამოთვლისას შესაძლებელია, მიეთითოს ბიჯის მანძილი. ზემოთმოყვანილ გამოთვლაში ბიჯი ავტომატურად შეირჩა პროგრამის მიერ, თუმცა ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ მორანის კოეფიციენტის კორელოგრამას, რომელზეც მოცემულია მაჩვენებლის მანძილზე დამოკიდებულება.

სივრცითი ურთიერთობების კონცეპტუალიზაციის თვალსაზრისით საჭიროა, მორანის გლობალური კოეფიციენტი გამოითვალოს განსხვავებული დისტანციისთვის.

იგი გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება კოეფიციენტი სივრცით ერთეულებს შორის მანძილის ზრდასთან ერთად. მოცემულ დიაგრამაზე ნათლად ჩანს, რომ 2008 და 2012 წლის ეროვნული არჩევნებისას, ახლომდებარე საარჩევნო უბნებზე ძალიან მსგავსი საარჩევნო შედეგები ფიქსირდებოდა. აღნიშნული თავისებურება შესაძლოა, იმაზეც მიუთითებდეს, რომ პარტია განსაკუთრებით ეყრდნობოდა ადგილობრივი აქტივის და პატრონაჟის ქსელებს, რომლებიც სავარაუდოდ, განსაკუთრებით აქტიურები სწორედ ახლო მანძილებზე გახლდნენ. როგორც ვხედავთ, ქევინ ქოქსის იდეა სამეზობლოს ეფექტის შესახებ (Cox, 1969) საქართველოს შემთხვევაშიც სამართლიანია.

2010 წლის ადგილობრივი არჩევნები გამონაკლისს წარმოადგენს. მართალია, სივრცითი ავტოკორელაცია ფიქსირდება, თუმცა მორანის კოეფიციენტი საკმაოდ დაბალია, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ხმის მიცემისას რეგიონულ ფაქტორებს შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ქონდათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' ხმები ტერიტორიული თვალსაზრისით, თანაბრად იყო განაწილებული.

რაც შეეხება 2012 წლის შემდგომ პერიოდში გამართულ არჩევნებს, აქ ხმების გეოგრაფიული კონცენტრაცია თითქმის იდენტურია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დ. ბაქრაძემ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში და ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ'' მუნიციპალურ არჩევნებში ხმების დაახლოებით თანაბარი რაოდენობა (და არა პროცენტული წილი) მოაგროვეს, შეგვიძლია, ვიმსჯელოთ ამ პოლიტიკური ჯგუფის მხარდამჭერთა ჩამოყალიბებულ ჯგუფზე, უფრო სწორად, ე. წ. საარჩევნო ჩვევაზე.

როგორც ვხედავთ, გადამწყვეტ ეროვნულ არჩევნებზე პოლიტიკური ჯგუფებისადმი მხარდაჭერა რეგიონული თვალსაზრისით, განსაკუთრებით არის გამოხატული. როგორც ჩანს, ამომრჩევლების მობილიზებაზე გავლენას გარდა ზემოთაღწერილი სოციალური დაპირისპირებებისა, სხვა ადგილობრივი, კონტექსტური ეფექტებიც ახდენს. გარდა ამისა, აღწერილი ეროვნული არჩევნები ძალაუფლებისთვის ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპებს წარმოადგენდა - საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში, 2008 წლის 5 იან-

ვრის არჩევნებს განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა. საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში მიღწეულმა შედეგმა ,,ერთიან ნაციონალურ მოძრაობას'' ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში იოლი გამარჯვების პირობები შეუქმნა. ანალოგიურად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, შეცვლილი მმართველობის ფორმის გამო, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ. მომდევნო ეროვნული არჩევნები კი უკვე ნაკლები ძალისხმევით იქნა გადატანილი.

### 6.2.2 სივრცითი ასოციაციის ლოკალური მაჩვენებლები

მორანის გლობალური ინდექსის საფუძველზე დავადგინეთ, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში ჩატარებულ ყველა არჩევნებს გამოკვეთილი რეგიონული თავისებურებები გააჩნია. სივრცითი ასოციაციის ლოკალური მაჩვენებლები (LISA) ამ თავისებურებების გამოვლენაში გვეხმარება. არსებობს რამდენიმე სახის კოეფიციენტი, რომელთაგან ჩვენ ორ მათგანს მიმოვიხილავთ. პირველი კოეფიციენტი გახლავთ მოტანის ლოკალური I კოეფიციენტი. იგი გვიჩვენებს, არსებობს თუ არა ლოკალური ავტოკორელაცია ცალკეული გეოგრაფიული ერთეულისთვის. ამ შემთხვევაში, ჩვენი ნულოვანი ჰიპოთეზა არის ის, რომ არეალი გახლავთ ჰეტეროგენული, ხოლო ალტერნატიული ჰიპოთეზის თანახმად კი - მონაცემები რეგიონულადაა განაწილებული. მორანის ლოკალური კოეფიციენტის შედეგად ვიღებთ მონაცემთა მაღალი და დაბალი კონცენტრაციის, ასევე სივრცითი გამონაკლისების (Spatial Outliers) განაწილებას. გასათვალისწინებელია, რომ მორანის ლოკალური კოეფიციენტი ფარდობითი მაჩვენებელია და იგი მხედველობაში იღებს ცვლადის საშუალო მნიშვნელობას.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' 2008 წლიდან დღემდე ჩატარებულ ყველა არჩევნებში მონაწილეობდა. 2008 წლის განმავლობაში ამ პოლიტიკური ჯგუფის და მისი კანდიდატის მიერ მიღებული ხმების მაღალი კონცენტრაცია ფიქსირდებოდა სამეგრელოს, ქვემო იმერეთის (ქუთაისის გამოკლებით), ზემო აჭარის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო და შიდა ქართლის ტერიტორიებზე. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დაბალი ხმების კონცენტრაცია შეგვიძლია, დავინახოთ მსხვილი ქალაქების, ქვემო აჭარის, გუ-

რიის და მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიაზე. საპარლამენტო არჩევნებისას დაბალი ხმების სივრცითი კონცენტრაცია შეინიშნებოდა იმერეთის, მსხვილი ქალაქების და თბილისის შემოგარენში.

საინტერესო გამონაკლისს წარმოადგენს 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები. მართალია, ,,ნაციონალურმა მოძრაობამ'' დამაჯერებლად გაიმარჯვა ქვეყნის მასშტაბით, თუმცა მაღალი ხმების კონცენტრაცია ფიქსირდებოდა სამცხეში, შიდა ქართლში, თბილისის შემოგარენსა და ქვემო ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში. რაც შეეხება დაბალ ხმებს, იგი თავმოყრილი იყო ზემო აჭარის, ჯავახეთის, ქვემო ქართლის, ზემო იმერეთის, დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს მთიან ზონებში.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნები ,,ნაციონალური მოძრაობის'' ხმების განაწილების თვალსაზრისით, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს წააგავდა, იმ განსხვავებით, რომ ქვემო იმერეთსა და შიდა ქართლში უკვე აღარ იყო წარმოდგენილი ხმების მაღალი გეოგრაფიული კონცენტრაცია. 2013 წელს, უკვე ოპოზიციაში მყოფი ,,ნაციონალური მოძრაობისთვის'' ხმების მაღალი კონცენტრაციის ძველი არეალებიდან მხოლოდ სამეგრელო, ქვემო იმერეთი, სამცხე და ქვემო ქართლის დასავლეთი ნაწილი დარჩა. ანალოგიური სიტუაცია შენარჩუნდა 2014 წლის მუნიციპალურ არჩევნებშიც. ამ შემთხვევაში, ხმების კონცენტრაციამ ქვემო ქართლის დასავლეთიდან მხარის აღმოსავლეთ ნაწილში გადაინაცვლა.

ადგილობრივი კონტექსტური ეფექტების შესაფასებლად, მორანის ლოკალური ტესტი გამოავლენს ე. წ. სივრცით გამონაკლისებს. ისინი წარმოადგენენ გეოგრაფიულ ობიექტებს, რომლებიც განსხვავდებიან მეზობელი ერთეულებისგან. ჩვენს შემთხვევაში, გამონაკლისები არიან ის საარჩევნო უბნები, სადაც დაფიქსირებულია ხმების მაღალი ან დაბალი კონცენტრაცია, ხოლო მეზობელ საარჩევნო უბნებში კი საპირისპირო შედეგები გვაქვს. თუკი ზოგად სურათს შევაფასებთ, სივრცითი გამონაკლისები, როგორც წესი, ეთნიკურად და რელიგიურად შერეულ რეგიონებში გვხვდება. დაბალი-მაღალი ტიპის გამონაკლისები წარმოდგენილია ზემო აჭარაში, ქვემო ქართლში, სამცხესა და

კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში.

მეორე განსახილველი ჯგუფი წარმოადგენს მრავალფეროვან პოლიტიკურ ორგანიზაციებს და მათ წარმომადგენლებს, რომლებიც სხვადასხვა დროს ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მთავარი ოპონენტები გახლდნენ. მათ მეტნაკლებად შეინარჩუნეს კოალიციური ხასიათი და 2011 წლიდან ,,ქართული ოცნების'' საფუძველს წარმომადგენლებს. 2008 წლის არჩევნებში მათი საპრეზიდენტო კანდიდატი გახლდათ ლ. გაჩეჩილაძე, საპარლამენტო არჩევნებში, მცირე გამონაკლისის გარდა, მონაწილეობდნენ ,,ერთიანი ოპოზიციის'' ბლოკით. 2010 წლის მუნიციპალურ არჩევნებში, ეს ჯგუფები წარმოდგენილი იყვნენ ,,ალიანსი საქართველოსთვის'' და ,,ეროვნული საბჭოს'' სახელით, ხოლო 2012 წლიდან კი - კოალიცია ,,ქართული ოცნების'' შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ.

როგორც მორანის ლოკალური ინდექსის ანალიზიდან ჩანს, აღნიშნული ჯგუფის მთავარ დასაყრდენს საქართველოს დედაქალაქი, გურია და ქვემო აჭარა წარმოადგენს. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, ლ. გაჩეჩილაძის ხმების მაღალი მაჩვენებლები თბილისში და გურიაში გახლდათ კონცენტრირებული. იმავე წლის საპარლამენტო არჩევნებზე, მაღალი ხმების კონცენტრაცია დედაქალაქში შენარჩუნდა, ხოლო ახალ რეგიონებს შორის აღსანიშნავია დასავლეთ საქართველოს მთიანეთი.

2010 წლის მუნიციპალურ არჩევნებში, ამ პოლიტიკური ჯგუფიდან წარმოდგენილი ,,ეროვნული საბჭო'' და ,,ალიანსი საქართველოსთვის'' გახლდათ. ,,ალიანსის'' მაღალი ხმების კონცენტრაცია დედაქალაქის მასშტაბით იყო შეზღუდული. რაც შეეხება ,,ეროვნულ საბჭოს'', მათი მაღალი ხმების კონცენტრაცია დედაქალაქში, ასევე დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლში შეინიშნებოდა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან მოყოლებული, აღნიშნული პოლიტიკური ჯგუფები კოალიცია ,,ქართული ოცნების'' სახით მონაწილეობენ არჩევნებში. საპარლამენტო არჩევნებში, როგორც მორანის გლობალური კოეფიციენტი გვიჩვენებს, განსაკუთრებით მაღალი გახლდათ ძირითადი პოლიტიკური პარტიების ხმების გეოგრაფი-

ული კონცენტრაცია. გარდა თბილისის და გურიისა, ,,ქართული ოცნების'' ხმების მაღალი კონცენტრაცია დაფიქსირდა მსხვილ ქალაქებში, ქვემო აჭარაში, ზემო იმერეთში, ხაშურისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ). მხარდაჭერის ახალი რეგიონების შემომატებამ, ალბათ მნიშვნელოვანწილად განაპირობა კოალიციის გამარჯვება.

უკვე ხელისუფლებაში მყოფი ,,ქართული ოცნების'' წარმომადგენლებმა კიდევ უფრო განიმტკიცეს საკუთარი პოზიციები. საპრეზიდენტო არჩევნებში, მათ შეინარჩუნეს მხარდაჭერა ზემოთაღნიშნულ რეგიონებში და გარდა ამისა, ჯავახეთში, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში ასევე ფიქსირდებოდა მაღალი ხმების კონცენტრაცია. სიტუაცია მეტნაკლებად შეიცვალა 2014 წლის მუნიციპალურ არჩევნებზე, როდესაც მაღალი ხმები ტერიტორიულად ზემო აჭარაში, სამცხეში, დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, ქვემო ქართლსა და ჯავახეთში გახლდათ თავმოყრილი. წინა არჩევნებისგან განსხვავებით, თბილისში საქართველოს ტერიტორიაზე მიღებული ხმების საშუალოზე დაბალი მაჩვენებლები იყო თავმოყრილი.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ექვსი წლის მანძილზე, ქართული პოლიტიკური დისკურსი ორი ჯგუფის დაპირისპირების ასპარეზად იქცა, ხშირ შემთხვევაში, არჩევნების მსვლელობაში ე. წ. მესამე ჯგუფები ,,ერეოდნენ'' და ხმების საკმაოდ მნიშვნელოვან რაოდენობას აგროვებდნენ. აღსანიშნავია, რომ ,,მესამე'' ჯგუფების მხარდაჭერას მკვეთრად გამოხატული რეგიონული თავისებურებები გააჩნია, რაც მორანის ლოკალური ინდექსის ანალიზით კარგად ჩანს.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ,,მესამე'' ძალად თავისუფლად შეიძლება, ა. პატარკაციშვილი ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ სრულფასოვანი საარჩევნო კამპანია არ უწარმოებია, მან მაინც შეძლო ხმების მნიშვნელოვანი რაოდენობის მოგროვება. პატარკაციშვილის ხმების მაღალი მაჩვენებლები თავმოყრილი იყო გურიაში, ქვემო აჭარაში, სვანეთში, თბილისის სამხრეთით და შიდა კახეთში. პატარკაციშვილს პოლიტიკური ჯგუფი არ შეუქმნია, თუმცა მასთან მეტნაკლებად ასოცირებული ,,ქრისტიან

დემოკრატიული მოძრაობა'' საკმაოდ წარმატებით გამოვიდა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. ქდმ-ის ხმების მაღალი მაჩვენებლები თავმოყრილი გახლდათ იგივე გურია-ქვემო აჭარის, ასევე, სამეგრელოს და ნაწილობრივ, იმერეთის ტერიტორიაზე. აღნიშნული პოლიტიკური ჯგუფის მიერ მიღებული ხმების მაღალი რაოდენობა ასევე ფიქსირდება შიდა კახეთის ტერიტორიაზე.

2010 წლის მუნიციპალურ არჩევნებზე, ქდმ-ის ხმები საპარლამენტო არჩევნების მსგავსად იყო განაწილებული იმ გამოკლებით, რომ ხმების მაღალი რაოდენობის კონცენტრაცია გამოჩნდა თბილისში ვაკის, საბურთალოს და მთაწმინდის საარჩევნო ოლქების გამოკლებით. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები უკიდურესი პოლარიზაციით ხასიათდებოდა. შედეგად, ,,ნაციონალური მოძრაობის'' და ,,ქართული ოცნების'' გარდა, ვერცერთმა პოლიტიკურმა ჯგუფმა შეძლო საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრა.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ,,მესამე ძალად'' ნინო ბურჯანაძე წარმოჩინდა, რომელმაც ხმების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დააგროვა. გეოგრაფიული თვალსაზრისით, მისი ხმების მაღალი მაჩვენებლების განაწილება მოიცავს აჭარას, ჯავახეთს, დასავლეთ საქართველოს მთიანეთს, შიდა კახეთს და ყაზბეგის მუნიციპალიტეტს. 2014 წლის მუნიციპალურ არჩევნებში ბურჯანაძის და მისი ჯგუფის (რომლის შემადგენლობაშიც ,,ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობაც'' შედიოდა) მიერ მოგროვილი ხმების მაღალი მაჩვენებლები თავმოყრილი იყო ქვემო აჭარის, ქვემო იმერეთის, წალკის მუნიციპალიტეტის, ასევე შიდა კახეთის ტერიტორიაზე. კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც არ ასოცირდებოდა ,,ქართული ოცნების'' და ,,ნაციონალური მოძრაობის'' წევრებთან, გახლდათ ,,პატრიოტთა ალიანსი''. გარდა გურია-ქვემო აჭარისა, ეს პოლიტიკური ჯგუფი კარგად გამოდიოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (სამხედრო გზის მიმდებარედ), ასევე თბილისის დასავლეთ ნაწილში.

როგორც ვხედავთ, ქართული პოლიტიკური სპექტრი შესაძლოა, სამ ნაწილად გაიყოს. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'', კოალიცია ,,ქართულ ოცნებაში'' შემავალი პოლიტიკური ჯგუფები მეტნაკლებად მსგავს საგარეო-პოლიტიკურ პლატფორმაზე დგა-

ნან, იდეოლოგიური თვალსაზრისით კი განსხვავება ქართულ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის საკმაოდ უმნიშვნელოა. მესამე ჯგუფს წარმოადგენს რადიკალური სპექტრი, სადაც წამყვან როლს ბურჯანაძის ,,ერთიანი ოპოზიცია'' და ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსი'' ასრულებენ.

მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შეიძლება, ვამტკიცოთ, რომ საქართველოში ცალკეულ პოლიტიკურ ჯგუფებს ჩამოუყალიბდათ მხარდაჭერის საკმაოდ მყარი არეალები. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის'' მხარდაჭერის არეალები გახლდათ სამეგრელო, ქვემო იმერეთი და ე. წ. სამხრეთი სარტყელი, სადაც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები არიან განსახლებულნი. მხარდაჭერის არეალები თანდათანობით შეიზღუდა და ამჟამად კონცენტრირებულია სამეგრელოს, ქვემო იმერეთის, სამცხის და ქვემო ქართლის ტერიტორიებით. ,,ქართული ოცნების'' და მისი ,,წინაპარი'' პოლიტიკური ჯგუფების ძირითად დასაყრდენს თბილისი, გურია და მსხვილი ქალაქები წარმოადგენდნენ. მათ სხვადასხვა დროს დაემატათ ზემო იმერეთი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, მოგვიანებით - ჯავახეთი და კახეთი. რაც შეეხება ,,მესამე ძალებს'', ამ ჯგუფების ძირითადი დასაყრდენი თბილისი, გურია, შიდა კახეთი, ნაწილობრივ - ჯავახეთი და წალკის მუნიციპალიტეტია.

# დასკვნა

საარჩევნო ქცევის ინდივიდუალურ დონეზე კვლევა სოციალური მეცნიერებების მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მისი მეშვეობით ხდება ე.წ. ეკოლოგიური შეცდომის თავიდან აცილება, რაც ხშირად დგება ხოლმე აგრეგირებული (მათ შორის, გეოგრაფიული) მონაცემების (მაგალითად, Freedman (1999), Seligson (2002), Pearce (2000)) სტატისტიკური ანალიზისას, თუმცა მკვლევრები უგულებელყოფენ კონტექსტურ (ადგილობრივ) ეფექტებს (Johnson et al. (2002), Kramer (1983)), რომლებიც ხშირად გადამწყვეტიც კი არის საარჩევნო ქცევის განსაზღვრისას.

პრობლემისადმი პოლიტიკურ-გეოგრაფიული და ელექტორალურ-გეოგრაფიული მიდგომა ხაზს უსვამს ხმის მიცემის კონტექსტური ეფექტების როლს. როგორც რონ ჯონსთონი ამბობდა, რომ ,,დამოკიდებულებების და ქცევითი თავისებურებების...შეძენა ხდება კონკრეტულ ადგილზე სოციალური ურთიერთქმედებით'' (Johnston, 2009a, 110) და ,,ამომრჩეველთა სოციალიზაცია კონტექსტუალური პროცესია''(Johnston, 2009b, 187). ამრიგად, საარჩევნო გადაწყვეტილების მიღება მიბმულია ხშირად მიბმულია კონკრეტულ ადგილთან და მის სივრცით თავისებურებებთან (Agnew (1987), Cox (1969)).

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავდა, განეხილა საქართველოს არჩევნების ძირითადი გეოგრაფიული თავისებურებები და გამოევლინა ის კონტექსტური/გეოგრაფიული ეფექტები, რომლებიც საქართველოში ხმის მიცემის თავისებურებების ჩამოყალიბებაზე ახდენენ გავლენას. მისი პირველი ნაწილი დაეთმო 2008 წლიდან 2014 წლის ჩათვლით, საქართველოში ჩატარებული არჩევნების აღწერილობით სტატისტიკურ ანალიზს. ტექსტის ამ ნაწილში მიმოვიხილეთ ქვეყნის საარჩევნო სისტემა, არჩევნების ჩატარების დროს არსებული კონტექსტი, საერთაშორისო შეფასება, შედეგები და ძირითადი სივრცითი თავისებურებები.

2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო, ასევე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, თავისი ხასიათით დაძაბულ და პოლარიზებულ გარემოში ტარდებოდა. მეტნაკლებად გამოკვეთილი გახლდათ სამი პოლიტიკური ცენტრი, რომელიც ხელისუფ-

ლებაში მოსვლას ცდილობდა. გამოიკვეთა ძირითადი გეოგრაფიული მახასიათებლები ხმების დასახლებული პუნქტების ტიპის და რეგიონული თვალსაზრისით განაწილებისას. ხელისუფლების ცვლილებამდე, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მიერ ხმების ნახევარზე მეტი საქართველოს სასოფლო დასახლებებზე მოდიოდა. რადიკალური ოპოზიცია, რომელიც მოგვიანებით ,,ქართული ოცნების'' საფუძვლად იქცა, ხმების მაღალ მაჩვენებლებს დედაქალაქსა და მსხვილ ქალაქებში იღებდა. რეგიონული თვალსაზრისით, ,,ნაციონალური მოძრაობისთვის'' მხარდაჭერის მთავარ არეალებს სამეგრელო - ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი წარმოადგენდა, ხოლო რადიკალური ოპოზიცია კი - გურიაში, დედაქალაქში, ქვემო აჭარასა და ზემო იმერეთში გამოდიოდა კარგად.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რადიკალური გეოგრაფიული სხვაობები თითქმის არ გვაქვს. ზემოთაღნიშნული ფაქტი თეორიაში ცნობილია, როგორც პოლიტიკის ნაციონალიზაციის პროცესი (Caramani (2004), Tapiador and Mezo (2009)) . ამ კონცეფციის თანახმად, დემოკრატიულ ქვეყნებში, საარჩევნო პროცესების განვითარების შედეგად ხდება ტერიტორიული საარჩევნო ქცევის ჰომოგენიზაცია. როგორც დანიელ კარამანი აღნიშნავს, ტერიტორიული დაპირისპირებების გაქრობა შესაძლოა, მაინცდამაინც არ უკავშირდებოდეს საზოგადოებების ინტეგრაციას, არამედ ამ შემთხვევაში, სახეზეა პარტიების სტრატეგია, მეტნაკლებად თანაბრად ,,დაფარონ'' ქვეყნის ტერიტორია ხმების მოგროვების მიზნით (Caramani, 2004, გვ. 6). თუმცა, როგორც ჩანს, საქართველოში პოლიტიკის მსგავსი განვითარებისთვის საკმარისი საფუძვლები არ არსებობს, რადგან ქვეყნის მეტნაკლებად დემოკრატიული გამოცდილება სულ 23 წელს ითვლის, ხოლო ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა ამ პერიოდში მხოლოდ ერთხელ მოხდა.

გარდა აღწერილობითი ანალიზისა, ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი საარჩევნო ქცევის ინდივიდუალურ დონეზე კვლევას დაეთმო. ამ შემთხვევაში, ჩვენი ძირითადი მიზანი იყო, ბიოგრაფიული ინტერვიუების საფუძველზე თბილისის მოსახლეობის სა-

არჩევნო გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის განხილვა. ჩვენ მოვიპოვეთ რესპონდენტთა ნარატივები საცხოვრებელი ადგილის, საოჯახო ისტორიის, არჩევნებთან და საარჩევნო პროცესთან მათი დამოკიდებულების შესახებ.

როგორც გაანალიზებული მასალების საფუძველზე გამოჩნდა, ჯერჯერობით საქართველოში იდეოლოგიურად მობილიზებული პარტიების არსებობისთვის საკმაოდ მცირე შესაძლებლობები არსებობს. ცალკეული პოლიტიკური ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა ფორმირდება კონკრეტული ლიდერის მოწონება-არმოწონების საფუძველზე. აღნიშნული განსაკუთრებით შესამჩნევი 2012 წლის საპარლამენტო მაგალითზე გახლდათ. ამ შემთხვევაში, დიდი როლი ითამაშეს მიმდინარე მოვლენებმა, კერძოდ, ე. წ. ციხის ვიდეოჩანაწერების გამოქვეყნებამ, რომელზეც რესპონდენტების თქმით, განსაკუთრებით ასოცირდებოდნენ უკანასკნელ არჩევნებთან.

კვლევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი გულისხმობდა პოლიტიკური იდეების გავრცელების მექანიზმის გამოვლენას. როგორც რესპონდენტების ნარატივებიდან ჩანს, ტელევიზიის როლი ამ შემთხვევაში გადამწყვეტია, რახან იგი გავლენას ახდენს როგორც რესპონდენტების პოლიტიკურ კუთვნილებაზე, ასევე მათი ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფისადმი დამოკიდებულებაზე. კიდევ ერთი საინტერესო პარამეტრი ე. წ. სამეზობლო ეფექტი ანუ ,,განხილვის და დარწმუნების'' ქსელების არსებობაა, რაც გამოიხატება ამომრჩეველთა სოციალური ქსელების ტერიტორიულ კონცენტრაციაში. როგორც ჩანს, პოლიტიკის და სხვა საკითხების განხილვა თბილისის მასშტაბით სწორედ პირად სოციალურ ქსელებშია შეზღუდული. თავის მხრივ, ამ ქსელების ფორმირება მნიშვნელოვნად უკავშირდება თბილისის სოციალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რაც ძირითადად, საბჭოთა პერიოდში მოხდა. ზემოთაღწერილი თავისებურებები სავარაუდოდ, განაპირობებენ კიდეც თბილისის ელექტორალურ-გეოგრაფიულ თავისებურებებს.

როგორც ემპირიული მასალა ცხადყოფს, საქართველოს სასოფლო და საქალაქო დასახლებების მცხოვრებთა შორის საარჩევნო ქცევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი

სხვაობა არსებობს, ისევე როგორც - ქართული და არაქართული მოსახლეობით დასახლებულ არეალებს შორის. ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად, აღნიშნული თავისებურებები. ლიპსეტის და როკანის მიერ შემოთავაზებული დაპირისპირებების თეორიის საფუძველზე ჩვენ წარმოვადგინეთ საარჩევნო ქცევის ეკოლოგიური მოდელი, რომელშიც გამოყენებული გვაქვს აღწერილი ცვლადები.

საქალაქო არეალები, განსაკუთრებით კი - დედაქალაქი, საქართველოში პოლიტიკური ბრძოლის ველს წარმოადგენენ. ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც ქვეყანაში ფუნდამენტურ პოლიტიკურ ცვლილებებთან მიგვიყვანა, თბილისის ქუჩებში და უფრო ნაკლებად, სხვა ქალაქებში ჩაისახა. ქალაქის მცხოვრებლები სოფლის მსგავსად იტანჯებოდნენ ეკონომიკური და სხვა სახის პრობლემებით, შესაბამისად, ასეთი დაპირისპირების წარმოშობა მხოლოდ ეკონომიკური მიზეზებით ახსნა შეუძლებელია. როგორც ჩანს, მედიაზე და ინფორმაციის წყაროებზე წვდომა მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდათ, რახან ქალაქელებს სოფლის მცხოვრებლებთან შედარებით, ინფორმაციის მოპოვების მეტი შესაძლებლობა გააჩნდათ.

ეთნიკური (და სავარაუდოდ, რელიგიური) უმცირესობების საარჩევნო ქცევა საქართველოში ელექტორალური დაპირისპირების კიდევ ერთ განზომილებას ქმნის. საკმაოდ დიდი ხნის ჩამოყალიბებული ტენდენციაა, როდესაც განსაკუთრებით ქვემო ქართლში, ჯავახეთსა და კახეთში მცხოვრები უმცირესობები სამთავრობო პოლიტიკურ ჯგუფებს აძლევენ ხმას (Nodia & Scholtbach, 2006). სხვადასხვა დროს, აღნიშნული ტერიტორიები კომპარტიის, ,,მოქალაქეთა კავშირის'' და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' დასაყრდენებს წარმოადგენდნენ. გასაკვირი არაა, რომ აღნიშნული თავისებურება 2008 და 2012 წლის არჩევნებშიც იჩენდა თავს. კერძოდ, 2008 წელს, სომხებით დასახლებულ ნინოწმინდის საარჩევნო ოლქში მ. სააკაშვილმა ხმების 90%-ის მოპოვება შეძლო. აზერბაიჯანელებით დასახლებულ მარნეულის ოლქში ამომრჩეველთა 88%-მა მხარი ხელისუფლების კანდიდატს დაუჭირა. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში, მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო ძალა სხვაგანაც ძლიერად გამოიყურებოდა, ,,ნაციონა-

ლურმა მოძრაობამ" კომფორტული უმრავლესობის მოპოვება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ხარჯზე შეძლო. დაბოლოს, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ მიღებული ხმების მეოთხედი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ შვიდ საარჩევნო ოლქზე მოდის. სამაგიეროდ, აღნიშნული ,,ტრადიცია" დაირღვა 2013 და 2014 წლის არჩევნებზე, როდესაც აღნიშნულ არეალებში საარჩევნო ხმების განაწილების მხრივ, გაცილებით დიდი მრავალფეროვნება გვქონდა.

ჩვენს მიერ მოტანილი დაპირისპირების ეკოლოგიური მოდელი გვთავაზობს, რომ საარჩევნო დიქოტომიები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი 2008-2012 წლებში ჩატარებულ არჩევნებში გახლდათ. თუმცა, მათი ფორმირება არ მომხდარა ლიპსეტის და როკანის მიერ მოცემული ფაქტორების გამო. ქალაქი-სოფლის და ცენტრი-პერიფერიის დაპირისპირება შეიძლება, დავუკავშიროთ ადრეულ 1990-იან წლებს, როდესაც საქართველომ სისხლიანი ეთნოტერიტორიული კონფლიქტები გადაიტანა. რაც შეეხება ქალაქისოფლის დიქოტომიას, იგი უკავშირდება საბჭოთა პერიოდში განხორციელებულ ურბანიზაციის პროცესს, რამაც გავლენა მოახდინა დასახლებული პუნქტების სოციალურ სტრუქტურაზე და დღესდღეობით საარცევნო ქცევაში გამოვლინდება. ამასთან, ეთნიკური უმცირესობების ,,ფარული დაპირისპირება" ნაწილობრივ გამოიხატება მათი ინტეგრაციის ნაკლებობით და საკუთარი სურვილითვე, შეინარჩუნონ თვითმყოფადობა და ცენტრისგან ჩაურევლობის სანაცვლოდ, მას საარჩევნო მხარდაჭერა გამოუცხადონ.

ნაშრომის საბოლოო ნაწილი ეძღვნება საქართველოს არჩევნების კვლევით სივრცითსტატისტიკურ ანალიზს. იგი ეყრდნობა განსახილველ პერიოდში ჩატარებული არჩევნების საუბნო მონაცემების ანალიზს და მოიცავს ტესტებს სივრცით ავტოკორელაციაზე, ჰეტეროგენულობასა და კლასტერიზაციაზე. სივრცით ავტოკორელაციაზე შემოწმდა მ. სააკაშვილის და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ მიღებული ხმები, რახან აღნიშნული პოლიტიკური ჯგუფი მოცემულ პერიოდში უწყვეტად მონაწილეობდა არცევნებში. ადგილობრივი (გეოგრაფიული) ჰეტეროგენულობის აღწერისთვის

ჩვენ მოვიშველიეთ სივრცითი ასოციაციის ლოკალური ინდიკატორები, კერძოდ, მორანის ადგილობრივი I კოეფიციენტი და ჯეთის-ორდის GI* ტესტი.

სივრცითი-სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს არჩევნებში მეტად მნიშვნელოვანია რეგიონული ფაქტორების როლი. როდესაც საქმე გვაქვს სივრცით ავტოკორელაციასთან, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' და მისი კანდიდატების მიერ მიღებული ხმების მორანის გლობალური კოეფიციენტი მაქსიმალურია ყველაზე პოლარიზებული არჩევნებისას, კერძოდ, 2008 საპრეზიდენტო და საპარლამენტო, ასევე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ჩვენი ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ ამ შემთხვევაში საარჩევნო კამპანია ძირითადად ადგილობრივ ორგანიზაციებზე, პატრონაჟის ქსელებზე (და სავარაუდოდ, ადმინისტრაციულ რესურესებზე) იყო ორიენტირებული.

რაც შეეხება სივრცითი ასოციაციის ადგილობრივ მაჩვენებლებს, არჩევნების რეგიონული შედეგების მიხედვით, შეგვიძლია ვისაუბროთ ხმის მიცემის სამ ტიპზე. პირველი მათგანი მოიცავს ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მხარდამჭერებს, რომლებიც ცხოვრობენ ეთნორელიგიური თვალსაზრისით გამორჩეულ სამცხე-ჯავახეთში, ზემო აჭარასა და ქვემო ქართლში, ასევე - სამეგრელოში. მეორე ჯგუფი მოიცავს ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' საწინააღმდეგოდ განწყობილ ამომრჩევლებს, რომლებიც ხმას აძლევდნენ იმ პოლიტიკურ ჯგუფებს, რომლებიც შედარებით პროდასავლურად არიან განწყობილი (ეროვნული საბჭო, ალიანსი საქართველოსთვის, კოალიცია ქართული ოცნება). ეს ამომრჩევლები, როგორც წესი, ცხოვრობენ თბილისში, ზემო იმერეთში, გურიასა და ქვემო აჭარაში. დაბოლოს, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მოწინააღმდეგე კიდევ ერთი ჯგუფი, რომლებიც როგორც ჩანს, უფრო პრორუსულად განწყობილი პარტიებისადმი ამჟღავნებენ სიმპათიებს, განლაგებულია იმ არეალებში, რომლებიც საბჭოთა პერიოდში საექსპორტო ეკონომიკით გამოირჩეოდა: ქვემო აჭარასა და გურიაში, კახეთში და ასევე, დედაქალაქ თბილისში.

ამრიგად, ჩვენ მიმოვიხილეთ საქართველოში 2008-2014 წლებში ჩატარებული არ-

ჩევნების ელექტორალურ-გეოგრაფიული თავისებურებები. დღესდღეობით, ქვეყანა კონსოლიდირებული დემოკრატიის ჩამოყალიბებისკენ თავის პირველ ნაბიჯებს დგას. ამ საქმეში თავისუფალი არჩევნების როლი უმნიშვნელოვანესია. მნიშვნელოვანია საარჩევნო თავისებურებების კვლევა, რაც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ კარგ წარმოდგენას გვიქმნის და ხელს უწყობს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას როგორც პოლიტიკოსების, ასევე - ამომრჩევლების მხრიდან.

# ბიბლიოგრაფია


საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. (2007). 2008 წლის საპრეზიდენტო არჩვნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის ანგარიში (Tech. Rep.). ნანახია:2014-06-14

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. (1919). 1919 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნები.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2010). საქართველო - არჩევნების ისტორია (1990-2010). საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. ნანახია:2014-03-16http://cesko.ge/files/TEA/archevnebisistoria/geohistory.pdf

საქართველოს მთავრობა. (2006). რეგიონის პასპორტი.

სამართლიანი არჩევნები. (2014). განმეორებითი არჩევნების დღის საბოლოო შეფასება | ISFED. ნანახია:2014-08-06http://www.isfed.ge/main/734/geo/

ცესკო. (2008). საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2008 წლის 13 იანვრის "საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე არჩეევნების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების შესახებ"n32/2008 განკარგულებით დამტკიცებულ შემაჯამებელ ოქმში ცვლილების შეტანის თაობაზე. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება N33/2008. წყარო:http://www.cesko.ge/uploads/other/6/6772.pdf

საია. (2014). GYLA.GE - სიახლეები - საია არჩევნების შემდგომ საჩივრების განხილვისა და შედეგების შეჯამების პროცედურების მონიტორინგის შედეგებს აქვეყნებს. ნანახია:2014-08-06http://gyla.ge/geo/news?info=2187

Agnew, J. A. (1987). Place and politics: The geographical mediation of state and society. Allen & Unwin Boston. ნანახია:2014-06-07http://www.getcited.org/pub/102554133

Andrews, J. T., & Bairett Jr, R. L. (2013). Institutions and the stabilization of party systems in the new democracies of central and eastern europe. Electoral Studies. ნანახია:2014-01-02http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0261379413000826

Anselin, L. (1999). Interactive techniques and exploratory spatial data analysis. Geographical Information Systems: Principles, Techniques, Management and Applications, eds., P. Longley, M. Goodchild, D. Maguire, and D. Rhind. Cambridge: Geoinformation Int. ნანახია:2014-07-01http://www.geos.ed.ac.uk/ gisteac/gis$_{b}ook_{a}bridged/files/ch17.pdf$

Aprasidze, D. (2004). Georgia’s new nationalism: A better opportunity for state building? OSCE Yearbook 2004, 179--90. ნანახია:2014-05-25http://core-hamburg.de/documents/yearbook/english/04/Aphrasidze.pdf

Aprasidze, D., & Siroky, D. (2010). Frozen transitions and unfrozen conflicts, or what went wrong in georgia. Yale J. Int'l Aff., 5, 121. ნანახია:2014-05-25http://heinonlinebackup.com/hol-cgi-bin/get$_{p}df.cgi?handle = hein.journals/yaljoina5section = 39$

Bader, M. (2008). Fluid party politics and the challenge for democracy assistance in georgia. Caucasian Review of International Affairs, 2(2). ნანახია:2014-05-25http://dare.uva.nl/document/129730

Barnes, T. J. (2004). Placing ideas: genius loci, heterotopia and geography's quantitative revolution. Progress in Human Geography, 28(5), 565--595. ნანახია:2014-03-21http://phg.sagepub.com/content/28/5/565.short

Birch, S. (1995). Electoral behaviour in western ukraine in national elections and referendums, 1989–91. Europe-Asia Studies, 47(7), 1145--1176. ნანახია:2014-05-24http://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/09668139508412313

Birch, S. (2000). Elections and democratization in ukraine. Macmillan. ნანახია:2014-05-24http://eprints.gla.ac.uk/80871/

Birch, S. (2001). Electoral systems and party systems in europe east and west. Perspectives on European Politics and Society, 2(3), 355--377. ნანა-

ხია:2014-01-02http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/1570585018458768

Bohrer, R. E., Pacek, A. C., & Radcliff, B. (2000). Electoral participation, ideology, and party politics in post-communist europe. Journal of Politics, 62(4), 1161--1172. ნანახია:2014-01-02http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/0022-3816.00051/abstract

Caramani, D. (2004). The nationalization of politics: The formation of national electorates and party systems in western europe. Cambridge University Press.

Chiaberashvili, Z., & Tevzadze, G. (2005). Power elites in georgia: Old and new. From Revolution to Reform: Georgia's Struggle with Democratic Institution Building and Security Sector Reform, 187--207. ნანახია:2014-01-02http://www.bundesheer.or.at/pdf$_{p}ool/publikationen/10_{w}g11_{c}hapt9_{1}00.pdf$

Clem, R. S., & Craumer, P. R. (2008). Orange, blue and white, and blonde: The electoral geography of ukraine's 2006 and 2007 rada elections. Eurasian Geography and Economics, 49(2), 127--151. ნანახია:2014-01-02http://www.tandfonline.com/doi/abs/10.2747/1539-7216.49.2.127

Cornell, S. E., & Nilsson, N. (2009). Georgian politics since the august 2008 war. Demokratizatsiya, 17(3), 251--268. ნანახია:2014-05-25http://essential.metapress.com/content/k28u3808822q4v06/fulltext.html

Cox, K. R. (1969). The voting decision in a spatial context. Progress in geography, 1(1), 81--117.

CRRC-Georgia. (2011). Media survey in georgia, 2011 (Tech. Rep.). ნანახია:2014-06-04http://caucasusbarometer.org/en/me2011ge/factsheet/

Dalton, R. J., Flanagan, S. C., Beck, P. A., & Alt, J. E. (1984). Electoral change in advanced industrial democracies: realignment or dealignment? Princeton University Press Princeton, NJ. ნანახია:2014-01-02http://www.getcited.org/pub/102385804

Dawisha, K., & Deets, S. (2006). Political learning in post-communist elec-

tions. East European Politics & Societies, 20(4), 691--728. ნანახია:2014-01-02http://eep.sagepub.com/content/20/4/691.short

Deegan Krause, K. (2007). New dimensions of political cleavage. Oxford Handbook of Political Behaviour, 538--556. ნანახია:2014-01-20http://ecpr2007cleavages.pbworks.com/f/Deegan-Krause$_{N}ew + Dimensions + of + Political + Cleavage.pdf$

De Waal, T. (2011). Georgia's choices: Charting a future in uncertain times (Vol. 5). Carnegie Endowment for International Peace Washington. ნანახია:2014-05-25http://edoc.bibliothek.uni-halle.de/receive/HALCoRe$_{d}ocument_{0}$0011333?$lang = de$

ESRI. (2013). How spatial autocorrelation (global moran's i) works. ნანახია:2014-06-30http://help.arcgis.com/en/arcgisdesktop/10.0/help/index.html//005p0000000t

Evans, G., & Whitefield, S. (2000). Explaining the formation of electoral cleavages in post-communist democracies. Elections in Central and Eastern Europe: The First Wave, 36--70. ნანახია:2013-07-05http://www.uh.edu/democracy/evansp.pdf

Fairbanks, C. H. (2004). Georgia's rose revolution. Journal of Democracy, 15(2), 110--124. ნანახია:2014-05-13http://muse.jhu.edu/journals/jod/summary/v015/15.2fairbanks.html

Fairbanks, C. H. (2007). Revolution reconsidered. Journal of Democracy, 18(1), 42--57. ნანახია:2014-05-13http://muse.jhu.edu/journals/jod/summary/v018/18.1fairbanks.html

Fairbanks, C. H. (2010). Georgia's soviet legacy. Journal of democracy, 21(1), 144--151. ნანახია:2014-05-25http://muse.jhu.edu.sci-hub.org/journals/jod/summary/v021/21.1.fairbanks.ht

Fairbanks, C. H., & Gugushvili, A. (2013). A new chance for georgian democracy. Journal of Democracy, 24(1), 116--127. ნანახია:2014-05-25http://muse.jhu.edu/journals/journal$_{o}f_{d}emocracy/v$024/24.1.$fairbanks.html$

Freedman, D. A. (1999). Ecological inference and the ecological fallacy. International Encyclopedia of the social & Behavioral sciences, 6, 4027--4030. ნანახია:2014-06-30http://michaeljohnsonphilosophy.com/wp-content/uploads/2012/10/ecological-

Gallina, N. (2010). Puzzles of state transformation: the cases of armenia and georgia. Caucasian Review of International Affairs, 4(1). ნანახია:2014-05-25

George, J. A. (2008). Minority political inclusion in mikheil saakashvili's georgia. Europe-Asia Studies, 60(7), 1151--1175. ნანახია:2014-05-25http://www.tandfonline.com.sci-hub.org/doi/abs/10.1080/09668130802230697

Gilbreath, D. (2014). Caucasus research resource center electoral notes- municipal elections, 2014. ნანახია:2014-08-06http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/119025/

Gogsadze, G., Kachkachishvili, I., & Bashaleishvili, L. (2014, January). Minority integration in georgia: Main challenges and opportunities (case of javakheti) (Tech. Rep.). The Levan Mikeladze Foundation.

Gotua, G. (2011). Different governments in tbilisi, same people in regions: local elites in the years of independence. Changing identities: Armenia, Azerbaijan, Georgia, 202. ნანახია:2014-05-28http://edoc.bibliothek.uni-halle.de:8080/servlets/MCRFileNodeServlet/HALC
$2009_{engP}RINT.pdf page = 202$

Gugushvili, A. (2012). Material deprivation and the outcomes of elections. ნანახია:2014-01-02http://cadmus.eui.eu/handle/1814/25655

Haining, R., Wise, S., & Ma, J. (1998). Exploratory spatial data analysis. Journal of the Royal Statistical Society: Series D (The Statistician), 47(3), 457--469. ნანახია:2014-07-01http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/1467-9884.00147/abstract

Haining, R. P. (2003). Spatial data analysis. Cambridge University Press Cambridge. ნანა-

ხია:2014-07-01http://www.researchgate.net/publication/237131854$_Spatial_{d}ata_{A}nalysis_{T}heory_{a}$

Ishiyama, J. T. (1997). Transitional electoral systems in post-communist eastern europe. Political Science Quarterly, 112(1), 95--115. ნანა-ხია:2014-01-09http://www.jstor.org/stable/10.2307/2658164

Jawad, P. (2005). Democratic consolidation in georgia after the"rose revolution"? ნანა-ხია:2014-05-25http://edoc.vifapol.de/opus/volltexte/2008/257/pdf/prif73.pdf

Johnson, M., Shively, P. W., & Stein, R. M. (2002). Contextual data and the study of elections and voting behavior: connecting individuals to environments. Electoral Studies, 21(2), 219--233. ნანა-ხია:2014-06-30http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0261379401000191

Johnston, R. (2009a). Contextual effect. John Wiley & Sons.

Johnston, R. (2009b). Electoral geography. John Wiley & Sons.

Johnston, R., & Pattie, C. (2003). Representative democracy and electoral geography. A companion to political geography, 337--356. ნანახია:2014-05-25

Jones, S. F. (2000). Democracy from below? interest groups in georgian society. Slavic Review, 42--73. ნანახია:2014-05-28http://www.jstor.org/stable/2696904

Jones, S. F. (2006). The rose revolution: A revolution without revolutionaries? Cambridge Review of International Affairs, 19(1), 33--48. ნანა-ხია:2014-05-13http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/09557570500501754

Jones, S. F. (2013). Georgia: A political history since independence. IB Tauris.

Karvonen, L., & Kuhnle, S. (2003). Party systems and voter alignments revisited. Routledge. ნანახია:2014-01-02http://books.google.com/books?hl=enlr=id=Bp9x$_NdBcfgCoi = fndpg = PP1dq = party + systems + and + voter + alignments + revisitedots = ejY7pNhyWTsig = 4RibqNeMfcgd7FzTiX9AYFTl95w$

Khelashvili, G. (2010). External forces, nationalism, and the stagnation of democratization in georgia. Program on New Approaches to Research and Security in Eurasia.

Khutsishvili, G. (2009). Georgia's degenerative transition. Democracy's Plight in the European Neigbourhood. Struggling Transitions and Proliferation of Dynasties, Brussels, Centre for European Policy Studies, 68--75. ნანახია:2014-05-25http://kms2.isn.ethz.ch/serviceengine/Files/ESDP/130954/ichaptersection$_singl$ $5d3d-469b-bfd6-50f808b6f8c4/en/77-84.pdf$

Kitschelt, H. (1995). Formation of party cleavages in post-communist democracies theoretical propositions. Party Politics, 1(4), 447--472. ნანახია:2013-07-05http://ppq.sagepub.com/content/1/4/447.short

Kramer, G. H. (1983, March). The ecological fallacy revisited: Aggregate- versus individual-level findings on economics and elections, and sociotropic voting. The American Political Science Review, 77(1), 92--111. ნანახია:2014-06-29http://www.jstor.org/stable/1956013 doi: 10.2307/1956013

Lanskoy, M., & Areshidze, G. (2008). Georgia's year of turmoil. Journal of democracy, 19(4), 154--168. ნანახია:2014-05-25http://muse.jhu.edu/journals/jod/summary/v019/19.4.lanskoy.html

Lazarus, J. (2010). Neo-liberal state building and western 'democracy promotion': The case of georgia. In SGIR 7th pan-european conference, stockholm, sweden. ნანახია:2014-05-25

Le Gallo, J., & Ertur, C. (2003). Exploratory spatial data analysis of the distribution of regional per capita GDP in europe, 1980- 1995. Papers in regional science, 82(2), 175--201. ნანახია:2014-06-30http://link.springer.com.sci-hub.org/article/10.1007/s101100300145

Leib, J., Quinton, N., & Warf, B. (2011). On the shores of the "moribund backwater"?: Trends in electoral geography research since 1990. Revitalizing electoral geography, 9--27.

Levitsky, S., & Way, L. (2002). The rise of competitive authoritarianism. Journal of democracy, 13(2), 51--65. ნანა-

ხია:2014-05-24http://muse.jhu.edu/journals/jod/summary/v013/13.2levitsky.html

Lipset, S. M., & Rokkan, S. (1967). Party systems and voter alignments. SOCIOLOGY, 26, 33. ნანა-ხია:2013-07-05http://www.circap.unisi.it/file$_d ownload/332/lipset_r okkan_p arty_s ystem.pdf$

Metreveli, E., & Yakobashvili, T. (2009). The georgian state and minority integration: Progress made and progress still to come. Central Asia-Caucasus Institute and Silk Road Studies Program (CACI-SRSP) s, 45--64. ნანა-ხია:2014-05-25http://kms1.isn.ethz.ch/serviceengine/Files/ISN/99823/ichaptersection$_s ingled$
$79e0-4ff3-877e-b1e5d51e8d5d/en/2Pages+from+nn09stateapproaches-2.pdf$

Mitchell, L. A. (2004). Georgia's rose revolution. Current History, 103(675), 342--348. ნანა-ხია:2014-05-25http://academiccommons.columbia.edu/catalog/ac:138698

Mitchell, L. A. (2006). Democracy in georgia since the rose revolution. Orbis, 50(4), 669--676. ნანა-ხია:2014-05-25http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0030438706000780

Mitchell, L. A. (2008). What was the rose revolution for? understanding the georgian revolution. Harvard International Review. ნანა-ხია:2014-05-25http://academiccommons.columbia.edu/catalog/ac:139104

Mueller, S. (2013). The parliamentary and executive elections in the republic of georgia, 2012. Electoral Studies.

Mykhnenko, V. (2009). Class voting and the orange revolution: A cultural political economy perspective on ukraine's electoral geography. Journal of Communist Studies and Transition Politics, 25(2-3), 278--296. ნანა-ხია:2014-01-02http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13523270902860626

Navarro, L., & Woodward, I. T. (2010a, April). Public attitudes towards elections in georgia:

Results of a april 2010 survey carried out for NDI by CRRC.

Navarro, L., & Woodward, I. T. (2010b, June). Public attitudes towards elections in georgia: Results of a june 2010 survey carried out for NDI by CRRC.

Navarro, L., & Woodward, I. T. (2012a, June). Public attitudes in georgia: Results of a june 2012 survey carried out for NDI by CRRC.

Navarro, L., & Woodward, I. T. (2012b, November). Public attitudes in georgia: Results of a november 2012 survey carried out for NDI by CRRC.

Nelson, L. D., & Amonashvili, P. (1992). Voting and political attitudes in soviet georgia. Europe-Asia Studies, 44(4), 687--697. ნანახია:2014-04-26http://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/09668139208412038

Nilsson, N., & Cornell, S. E. (2008, May). Georgia's may 2008 parliamentary elections: Setting sail in a storm (Policy paper). Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program – A Joint Transatlantic Research and Policy Center.

Nilsson, N., & Popjanevski, J. (2009). State building dilemmas: The process of national integration in post-revolutionary georgia. Metreveli, E., Nilsson, N. ნანახია:2014-05-25http://kms1.isn.ethz.ch/serviceengine/Files/ISN/106333/ichaptersection$_singled$ $8bdd-4889-86dd-afdff1ea8e29/en/Chap1.pdf$

Nodia, G., & Scholtbach, l. P. (2006). The political landscape of georgia: political parties: achievements, challenges and prospects. Eburon Delft. ნანახია:2014-01-02http://books.google.com/books?hl=enlr=id=vBMrVV4C1e0Coi=fndpg=PR1d

Nodia, G., & Tevzadze, G. (2003). Building democracy in georgia attempts to establish democracy in georgia..

O' Loughlin, J. (2001). The regional factor in contemporary ukrainian politics: scale, place, space, or bogus effect? Post-Soviet Geography and Economics, 42(1), 1--33. ნანახია:2014-01-02http://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/10889388.2001.10641161

O' Loughlin, J. (2003). Spatial analysis in political geography. A companion to political geography, 30--46. ნანახია:2014-06-29

OSCE ODIHR. (2008). Georgia, extraordinary presidential election, 5 january 2008: Final report (Tech. Rep.). ნანახია:2014-06-14http://www.osce.org/odihr/elections/Georgia/30959

OSCE ODIHR. (2010). Georgia, municipal elections, 30 may 2010: Final report | OSCE. ნანახია:2014-09-04http://www.osce.org/odihr/elections/71280

OSCE ODIHR. (2013). Georgia, presidential election 27 october 2013: Final report | OSCE. ნანახია:2014-09-10http://www.osce.org/odihr/elections/110301

Papava, V. (2006). The political economy of georgia's rose revolution. Orbis, 50(4), 657--667. ნანახია:2014-01-02http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0030438706000779

Papava, V. (2009). Anatomical pathology of georgia's rose revolution. current Politics and Economics of the caucasus Region, 2(1), 1--18. ნანახია:2014-05-25

Pearce, N. (2000). The ecological fallacy strikes back. Journal of epidemiology and community health, 54(5), 326--327. ნანახია:2014-06-30http://jech.bmj.com/content/54/5/326.short

Pelkmans, M. (2002). Religion, nation and state in georgia: Christian expansion in muslim ajaria. Journal of Muslim Minority Affairs, 22(2), 249--273. ნანახია:2014-01-02http://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/1360200022000027276

Pelkmans, M. (2005). Baptized georgian: religious conversion to christianity in autonomous ajaria. ნანახია:2014-05-25http://eprints.lse.ac.uk/28072/

Perepechko, A. S., Kolossov, V. A., & ZumBrunnen, C. (2007). Remeasuring and rethinking social cleavages in russia: Continuity and changes in elec-

toral geography 1917–1995. Political Geography, 26(2), 179--208. ნანა-ხია:2014-01-02http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0962629806001041

Pop-Eleches, G., & Tucker, J. A. (2013). Communist socialization and post-communist economic and political attitudes. Electoral Studies. ნანა-ხია:2014-01-09http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0261379413000887

Rimple, P. (2012). Who owned georgia 2003–2012. Transparency International Georgia, Open Society Georgia Foundation.

Roper, S. D., & Fesnic, F. (2003). Historical legacies and their impact on post-communist voting behaviour. Europe-Asia Studies, 55(1), 119--131. ნანა-ხია:2014-01-02http://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/713663449

Schofield, N., Gallego, M., Jeon, J., & Muskhelishvili, M. (2012). Modelling elections in the caucasus. Journal of Elections, Public Opinion & Parties, 22(2), 187--214. ნანა-ხია:2014-01-02http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/17457289.2012.666554

Schofield, N., Jeon, J., Muskhelishvili, M., Ozdemir, U., & Tavits, M. (2011). Modelling elections in post-communist regimes: Voter perceptions, political leaders and activists. In Political economy of institutions, democracy and voting (pp. 259--301). Springer. ნანა-ხია:2014-01-12http://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-642-19519-8$_1$1

Seligson, M. A. (2002). The renaissance of political culture or the renaissance of the ecological fallacy? Comparative Politics, 273--292. ნანა-ხია:2014-06-30http://www.jstor.org/stable/4146954

Shvetsova, O. (1999). A survey of post-communist electoral institutions: 1990–1998. Electoral Studies, 18(3), 397--409.

Siroky, D. S., & Aprasidze, D. (2011). Guns, roses and democratization: Huntington's secret admirer in the caucasus. Democratization, 18(6), 1227--1245. ნანა-

ნახ:2014-05-25http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13510347.2011.579514

Tapiador, F. J., & Mezo, J. (2009). Vote evolution in spain, 1977–2007: A spatial analysis at the municipal scale. Political Geography, 28(5), 319--328. ნანახ:2014-06-29http://www.sciencedirect.com.sci-hub.org/science/article/pii/S09626298090007

Tatum, J. D. (2009). Democratic transition in georgia: Post-rose revolution internal pressures on leadership. Caucasian Review of International Affairs, 3(2), 156--171. ნანახ:2014-05-25

Tavits, M. (2005). The development of stable party support: Electoral dynamics in post-communist europe. American Journal of Political Science, 49(2), 283--298. ნანახ:2014-01-02http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/j.0092-5853.2005.00123.x/full

Tobler, W. R. (1970). A computer movie simulating urban growth in the detroit region. Economic geography, 234--240. ნანახ:2014-03-17http://www.jstor.org/stable/143141

Van der Brug, W., Franklin, M., & Tóka, G. (2008). One electorate or many? differences in party preference formation between new and established european democracies. Electoral Studies, 27(4), 589--600. ნანახ:2014-01-12http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0261379408000747

Walczak, A., van der Brug, W., & de Vries, C. E. (2012). Long-and short-term determinants of party preferences: Inter-generational differences in western and east central europe. Electoral Studies, 31(2), 273--284. ნანახ:2014-01-02http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0261379411001399

Welt, C. (2006). Regime vulnerability and popular mobilization in georgia's rose revolution. In Waves and troughs of post communist transitions workshop at the center on democracy,

development, and the rule of law, stanford university.

Welt, C. (2009). Still staging democracy: Contestation and conciliation in postwar georgia. Demokratizatsiya, 17(3), 196--226.

Wertsch, J. V. (2006). Georgia after the rose revolution. The Caucasus & Globalization, 1(1), 54--66. ნანახია:2014-05-25http://www.ca-c.org/c-g/2006/journal$_{e}ng/c - g - 1/07.wertchen.shtml$

Wheatley, J., & Zürcher, C. (2008). On the origin and consolidation of hybrid regimes: The state of democracy in the caucasus. Taiwan Journal of Democracy, 4(1). ნანახია:2014-05-25

Whitefield, S. (2002). Political cleavages and post-communist politics. Annual Review of Political Science, 5(1), 181--200. ნანა-ხია:2013-07-05http://www.annualreviews.org/doi/pdf/10.1146/annurev.polisci.5.112601.1442

Whitefield, S., & Evans, G. (1999). Class, markets and partisanship in post-soviet russia: 1993-96. Electoral Studies, 18(2), 155--178. ნანა-ხია:2014-01-02http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0261379498000584

Zarycki, T. (2002). Four dimensions of center–periphery conflict in the polish electoral geography. Social Change. Adaptation and Resistance, 19--38. ნანა-ხია:2014-01-02http://www.iss.uw.edu.pl/zarycki/pdf/CP.pdf

Zollinger, D., & Bochsler, D. (2012). Minority representation in a semi-democratic regime: the georgian case. Democratization, 19(4), 611--641. ნანა-ხია:2014-01-02http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13510347.2011.605996

# დანართი

# ნაშთების გეოგრაფიული განაწილება




დანართი დ.1: საარჩევნო დაპირისპირების მოდელი. ნაშთების განაწილების რუკა




დანართი დ.2: 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. მ. სააკაშვილის ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი)




დანართი დ.3: 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. ლ. გაჩეჩილაძის ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი)




დანართი დ.4: 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. ა. პატარკაციშვილის ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი)




დანართი დ.5: 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. საარჩევნო აქტივობის სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი)




დანართი დ.6: 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი)




დანართი დ.7: 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები. ,,ალიანსი საქართველოსთვის'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოე-ფიციენტი)




დანართი დ.8: 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები. ,,ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი)




დანართი დ.9: 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები. „ეროვნული საბჭოს" ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი)

## გიორგი მარგველაშვილი - მხარდაჭერის "ცხელი" და "ცივი" არეალები

"ცხელი არეალები" მიუთითებენ მაღალ მხარდაჭერაზე, "ცივი" - დაბალზე




დანართი დ.10: 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. გ. მარგველაშვილის ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი)

## დავით ბაქრაძე - მხარდაჭერის "ცხელი" და "ცივი" არეალები

"ცხელი არეალები" მიუთითებენ მაღალ მხარდაჭერაზე, "ცივი" - დაბალზე




დანართი დ.11: 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. დ. ბაქრაძის ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი)

# ნინო ბურჯანაძე - მხარდაჭერის "ცხელი" და "ცივი" არეალები

"ცხელი არეალები" მიუთითებენ მაღალ მხარდაჭერაზე, "ცივი" - დაბალზე




დანართი დ.12: 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. ნ. ბურჯანაძის ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (ჯეთის-ორდის GI* კოეფიციენტი)




დანართი დ.13: 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები. „ერთიანი ოპოზიციის" ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I)




დანართი დ.14: 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები. „ალიანსი საქართველოსთვის" ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I)




დანართი დ.15: 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები. „ეროვნული საბჭოს" ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I)




დანართი დ.16: 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები. კოალიცია ,,ქართული ოცნების'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I)




დანართი დ.17: 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. გ. მარგველაშვილის ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I)




დანართი დ.18: 2014 წლის მუნიციპალური არჩევნები. კოალიცია ,,ქართული ოცნების'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I)




დანართი დ.19: 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. ა. პატარკაციშვილის ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I)




დანართი დ.20: 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები. ,,ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I)




დანართი დ.21: 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები. ,,ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I)




დანართი დ.22: 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. ნ. ბურჯანაძის ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I)




დანართი დ.23: 2014 წლის მუნიციპალური არჩევნები. ,,გაერთიანებული ოპოზიციის'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I)




დანართი დ.24: 2014 წლის მუნიციპალური არჩევნები.,,საქართველოს პატრიოტა ალიანსის'' ხმების სივრცითი ავტოკორელაციის ადგილობრივი მაჩვენებელი (მორანის ადგილობრივი I)

# მუნიციპალური არჩევნები 2014
## მაჟორიტარი კანდიდატები




დანართი დ.25: 2014 წლის მუნიციპალური არჩევნები. შედეგები მაჟორიტარული ოლქების მიხედვით

# დანართი 26: სადისკუსიო გეგმა თვისებრივი ინტერვიუსთვის

სექცია 1. შესავალი

1.პირველ რიგში გთხოვთ, მოგვიყვეთ თქვენს შესახებ

•ამჟამინდელი საქმიანობა

•განათლება

•პროფესია

სექცია 2: კონკრეტულ ტერიტორიაზე ცხოვრების ისტორია

1.თქვენ ან თქვენი ოჯახი რამდენი ხანია ცხოვრობთ ამ უბანში?

•ხომ არ შეგიცვლიათ საცხოვრებელი ადგილი ამ პერიოდის მანძილზე?

•თუ შეუცვლიათ საცხოვრებელი ადგილი - ახალი საცხოვრებელი იგივე უბანში იყო თუ არა?

2.როგორ აღმოჩნდით / აღმოჩნდა თქვენი ოჯახი ამ უბანში?

•სახელმწიფოს ჩარევა (მაგ. ბინა მისცეს)

•კომერციული აქტივობის შედეგად (ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა)

სექცია 3: ოჯახის და პერსონალური ისტორია

1.გთხოვთ, მომიყევით თქვენი ოჯახის შესახებ, მე მაინტერესებს როგორც თქვენი, ასევე თქვენი მშობლების ისტორია, მათი განათლება, სად მუშაობდნენ და ასე შემდეგ

•რომელი მხარიდან ხართ წარმოშობით? გაქვთ თუ არა ურთიერთობა?

•რა იყო განათლების უმაღლესი საფეხური?

•ძირითადად, რა ტიპის სამუშაოთი იყვნენ დაკავებულები

სექცია 4: ქსელები და სამეზობლო

1. ახლა მაინტერესებს, თუ რამდენად ახლო ურთიერთობა გაქვთ თქვენს მეზობლებთან

•რამდენად ხშირად გაქვთ მეზობლებთან ურთიერთობა?

•რის შესახებ საუბრობთ მათთან ერთად?

•იღებთ თუ არა რაიმე ტიპის გადაწყვეტილებებს ერთად?

•თუ დიახ, რა ტიპის გადაწყვეტილებებია ეს?

•ახდენს თუ არა მეზობლების აზრი თქვენს გადაწყვეტილებებზე გავლენას?

2. ის ადამიანები, რომლებთანაც ახლოს ხართ, მაგრამ არ არიან თქვენი ოჯახის წევრები (მეგობრები, ახლობლები), ძირითადად ამ უბანში ცხოვრობენ თუ სხვაგან?

•იგივე უბანი?

სექცია 5: არჩევნები და გადაწყვეტილების მიღება

1. თქვენი აზრით, საქართველოში რა ახდენს ადამიანების გადაწყვეტილებზე გავლენას, ხმა მისცენ ამა თუ იმ პარტიას ან პოლიტიკოსს?

2. თქვენი აზრით, საქართველოში რამ მოახდინა გავლენა ადამიანების გადაწყვეტილებზე სხვადასხვა არჩვენების დროს?

•2008 წელს (საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები)

•2010 წელს (ადგილობრივი არჩევნები)

•2012 წელს (საპარლამენტო არჩევნები)

3.ხომ ვერ დამისახელებდით, სხვა ადამიანების მაგალითზე, რა იყო ის კონკრეტული ფაქტორები, რომლებმაც მათ გადაწყვეტილებაზე მოახდინეს გავლენა შემდეგ არჩევნებზე:

•2008 წელს (საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები)

•2010 წელს (ადგილობრივი არჩევნები)

•2012 წელს (საპარლამენტო არჩევნები)

•დაზუსტება:

ავტორიტეტები

სამეზობლო

კორპუსის ამხანაგობები

სხვა სოციალური კავშირები

სექცია 6: არჩევნებში მონაწილეობის ისტორია და გადაწყვეტილებები

1.მოდით, ვისაუბროთ თქვენს შესახებ. როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება, მიგეცათ ხმა ამა თუ იმ პარტიის ან პოლიტიკოსისთვის?

•2008 წელს (საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები)

•2010 წელს (ადგილობრივი არჩევნები)

•2012 წელს (საპარლამენტო არჩევნები)

2.რამდენად მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის კონკრეტული მოვლენების როლი ამ გადაწყვეტილების მიღებისას?

•2008 წელს (საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები)

•2010 წელს (ადგილობრივი არჩევნები)

•2012 წელს (საპარლამენტო არჩევნები)

3.არიან თუ არა ადამიანები, რომელთა აზრიც მნიშვნელოვანია, როდესაც თქვენ იღებთ გადაწყვეტილებას ხმის მიცემის შესახებ

•ოჯახის წევრები

•ნათესავები

•მეზობლები

•მეგობრები

ეს ნაშრომი აწყობილია LaTeX სისტემის მეშვეობით

ყველა უფლება დაცულია ©